# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 1 აპრილი 2003 №56 (1827) | ფასი 50 თეთრი






# წავიდა!

## ვის აქვს ორი თავი, ვინ იქნება ნაკრების თავი?

საქართველოს ნაკრები საპირველაპრილო გუნდია: არის და არც არის






შვეიცარიამ თბილისში შტეფან შაპუიზაც (მარჯვნივ) ჩამოიყვანა

# შვეიცარია იღიმის

*გუშინ შვეიცარიული საათის სიზუსტით, საღამოს 16.45 საათზე დაეშვა ავიაკომპანია „სვის ეარის" თვითმფრინავი, რომელმაც თბილისში ნეიტრალური შუაევროპული ქვეყნის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები, ჟურნალისტები და გულშემატკივრები ჩამოიყვანა.*

კოხტად შემოსილ შვეიცარიელებს რეგისტრაციისა და სხვა ფორმალობების მოსაგვარებლად საკმაო დრო კი შემოეხარჯათ, მაგრამ აეროპორტის შენობიდან მაინც ღიმილიანები გამოვიდნენ.

დამხვდურებს პირველად ახალგაზრდული ნაკრების წევრები დაენახვნენ, საყურეებითა და თმის ვარცხნილობით გამორჩეული სტუმრები გაკვირვებით ათვალიერებდნენ იქაურობას.

მალე მათთვის განკუთვნილი ავტობუსიც შეივსო.

მერე ჰაკან იაკინის, შტეფან შაპუიზას, იოჰან ფოგელის და ძმათა მათთა ჯერი დადგა.

საქართველოში ასე თუ ისე ცნობილმა შვეიცარიელმა ფეხბურთელებმა, ირლანდიელთაგან განსხვავებით, ჟურნალისტებს ერთი-ორი სიტყვაც არ დაგვამადლეს და ავტოგრაფებიც უხვად არიგეს. მურატ იაკინი კი ისე გაერთო ჟურნალისტებთან საუბრით, კინაღამ აეროპორტში დარჩათ თანაგუნდელებს.

ძმის შემხედვარე ჰაკანმა ინგლისური ენის უცოდინრობა მოიმიზეზა და იოლადაც ჩამოგვიშორა. იგივე დააპირა ვეტერანმა შტეფან შაპუიზამ, თუმც მას მოგვიანებით ორიოდ სიტყვა მაინც ვათქმევინეთ.

ყველაზე ბოლოს კი მთავარი მწვრთნელი იაკობ კუნი გამოჩნდა. ინტელიგენტური იერის კუნი ჟურნალისტებთან თავშეკავებული ჩანდა. რამდენიმე წუთი შეყოვნდა და ლამაზი თამაშის ნახვის იმედით დაგვშორდა.

თბილისს სულ ორასამდე შვეიცარიელი ესტუმრა. ამათგან ორმოცდაათიოდე ჟურნალისტი და რამდენიმე ათეული გულშემატკივარია.

შვეიცარიელ სტუმრებს სასტუმრო „მარიოტში" კიდევ რამდენიმე თანამემამულე დახვდათ. მათ შორის მზარეულიც, რომელმაც ფეხბურთელებს ჩვეული სადილი დაახვედრა.

აეროპორტიდან შვეიცარიის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები სხვადასხვა მიმართულებით გაემგზავრნენ.

ოლიმპიელებმა პირდაპირ ისნის სტადიონს მიაშურეს, იაკობ კუნის შეგირდები კი სასტუმრო „მარიოტში" დაბინავდნენ და „ლოკომოტივს" სავარჯიშოდ მერელა ეწვივნენ.

და კიდევ. „მარიოტში" მისულ შვეიცარიის ეროვნული ნაკრების წევრებს თვალი თბილისს შემორჩენილმა ირლანდიელებმაც შეავლეს, რომლებიც სასტუმროს ბარში ლუდის სმით იქცევდნენ თავს. ახლა საქმემოლეული კელტები, ალბათ, მათ წაფორხილებასაც ელიან.

**ძახა ზალამბერიძე**

# ფრეს ამზობენ, მოგებას გეგმავენ

**იაკობ კუნი**
**შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი**

— ვფიქრობ, ეს მატჩი ქართველებისთვის საიმისო ბოლო შანსია, ამ შესარჩევ ეტაპზე ვინმეს თავი დაამახსოვრონ. ჩემთვის ცოტა მოულოდნელია თქვენი ასეთი სუსტი თამაში, უფრო მეტს ველოდი.

ამის მიუხედავად, ურთულესი მატჩი გველის. საქართველოს ნაკრებს ჰყავს რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი. მათგან ჯამარაულს გამოვარჩევ.

ვნახე საქართველო — ირლანდიის შეხვედრა და გაორებული შთაბეჭდილება დამრჩა, ორი განსხვავებული ტაიმი იყო. მეგონა, ირლანდია პირველივე ტაიმში შეძლებდა მატჩის ბედის გადაწყვეტას, მაგრამ მერე ქართველებმა უპირატესობა მოიპოვეს და კინაღამ ქულაც აართვეს მეტოქეს.

თბილისში ჩვენც მოსაგებად ჩამოვედით. მე არ მყავს გუნდში აშკარად გამორჩეული მოთამაშე. უფრო გუნდურ თამაშზე ვაკეთებ აქცენტს და, ალბათ, ეს წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, თუმც ქართველებთან წაგებაც არ იქნება ტრაგედია. რა თქმა უნდა, საწყენია ქულების დაკარგვა, მაგრამ ამ მატჩში ფავორიტად მაინც საქართველოს ნაკრები მიმაჩნია. გარდა იმისა, რომ თქვენ მასპინძლები ხართ, მოტივაციაც უკვე საკმაოდ დაგიგროვდათ.

შვეიცარია კი ეცდება, იმ გზას არ გადაუხვიოს, რამაც დღემდე მოგვიყვანა. მით უმეტეს, ახლახან რუსებმაც წააგეს ალბანეთში და კარგი შანსი გვაქვს, კონკურენტს დავუსხლტეთ.

რაც შეეხება ქართველი ქომაგების აგრესიას, იმედი მაქვს, ჩვენ ამის მსხვერპლი არ გავხდებით.

**მურატ იაკინი**

— ცხადია, მოსაგებად ჩამოვედით. დღევანდელი ფეხბურთი ისეთია, ნებისმიერ გუნდთან შეგიძლია წარმატებაზე იფიქრო. თან ჯგუფის ლიდერები ვართ და ვეცდებით, დავამტკიცოთ, რომ პირველობა გვეკუთვნის.



იაკობ კუნი

— **ჩვენს ფეხბურთელებზე რა იცით?**

— ჯამარაული, ნემსაძე, ყაველაშვილი, ქინქლაძე, არველაძე... ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან. განსაკუთრებით ჯამარაულის თამაში მახსოვს. როგორც ვიცი, კალაძე ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს. ეს ჩვენს შანსებს კიდევ უფრო ზრდის.

— **საქართველოს ნაკრებზე რას იტყვით?**

— ჩვენი პირველი შეხვედრა საამისოდ ცუდი მაგალითი მგონია. მაშინ ჩვენ უფრო გაგვიმართლა. მეტოქის გამათანაბრებელ გოლს სწრაფადვე ვუპასუხეთ და ამან ქართველები გატეხა. ამ გოლის შემდეგ მათ წინააღმდეგობა თითქმის არც გაუწევიათ. ვფიქრობ, თქვენს ნაკრებს სერიოზული პრობლემები აქვს დაცვაში. ნახევარდაცვაც ვერ არის სათანადო დონეზე, აი, თავდასხმა კი ძლიერია. ფიზიკურ მომზადებაშიც მოიკოჭლებთ. ყველაზე მთავარი კი მაინც ფსიქოლოგიური მომენტი მგონია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მოთამაშეები რაღაცნაირად დათრგუნულები არიან.

— **რა არის შვეიცარიის ნაკრების წარმატების მიზეზი?**

— ჩვენი გუნდი ძალიან შეკრულია. ატმოსფეროც მშვენიერია და ერთად თამაში ძალიან გვსიამოვნებს. არ გვყავს ისეთი ფეხბურთელი, რომელზეც დამოკიდებულია ამა თუ იმ თამაშის ბედი. ჩვენ ერთიანი ძალებით ვცდილობთ წარმატების მიღწევას და მიხარია, რომ ამას ჯერჯერობით ვახერხებთ.

— **როგორია თქვენი პროგნოზი?**

— ვერ ვიტყვი, რომ აუცილებლად მოვიგებთ, თუმც საამისოდ ცდას არ დავაკლებთ. შანსები თანაბარია. ვნახოთ, ძალიან რთული მატჩი იქნება.

**შტეფან შაპუიზა**

— სამ ქულას ვგეგმავთ და მოხარული ვიქნები, თუ მოგებას შევძლებთ. საქართველოს ნაკრებზე კი ბევრს ვერაფერს გეტყვით. ალბათ, ძალიან გაგვიჭირდება.

**იოჰან ფოგელი**

— ჩვენი პირველი თამაში უნდა დავივიწყოთ. ეს უკვე წარსულია. ახლა უფრო გაგვიჭირდება. საქართველო — ირლანდიის მატჩს ვუყურე და ჩემი აზრით, მეტი შეგიძლიათ. ეტყობა, ქართველები ირლანდიის სახელმაც შებოჭა. ჩვენ კი არ ვართ ასე ცნობილი ნაკრები ევროპაში და, ალბათ, უფრო თავისუფლად ვითამაშებთ. შანსები თანაბარია. თუმც მოგება ჩვენ უფრო გვჭირდება. რუსებს წაფორხილება არ უნდა ვაპატიოთ.



მურატ იაკინი

**ბრუნო ბერნერი**

— საინტერესო და მეტად რთული მატჩი იქნება. ჩვენ მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს, თუმცა ვიცი, ორი ფაქტორის გამო გაგვიჭირდება: ერთი, ემოციური ქართველი ქომაგის თვალწინ ვითამაშებთ, მეორეც — უხარისხო მოედანი.

— **საქართველო — ირლანდია უკვე ნახეთ?**

— გუშინ ვნახეთ ვიდეოჩანაწერი. საქართველო ტექნიკური გუნდია, ფეხბურთელებს ბურთის მიღება-დამუშავება არ უჭირთ, მაგრამ ჩანს, შეუთამაშებლები არიან, გუნდური თამაშისგან შორს იყვნენ. წაგების უმთავრესი მიზეზი ეს მგონია.

— **დარწმუნებული ხართ, რომ საქართველოს თბილისშიც დაამარცხებთ?**

— დარწმუნებული ვარ, რადგან ჩვენ პორტუგალიაში გვსურს თამაში.

— **საქართველოს არ სურს?**

— ალბათ სურს, მაგრამ... ჩვენ მოვიგებთ.

— **საქართველოს ნაკრებში თქვენი სამი თანაკლუბელი თამაშობს. მომავალ შეხვედრაზე თუ გისაუბრიათ მათთან?**

— ფრაიბურგში ვლაპარაკობდით-ხოლმე. კობიაშვილი, ცქიტიშვილი და იაშვილი ირლანდიელებთან მატჩისას საუკეთესონი იყვნენ.

— **თქვენ კობიაშვილის ამპლუის მოთამაშე ხართ და ძირითადში იშვიათად ხვდებით...**

— მწვრთნელი როგორც იტყვის, ისე იქნება. კობიაშვილი მაღალი კლასის ფეხბურთელია. ირლანდიასთან პირველ ტაიმში ხშირად არ ჩანდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ირლანდიელები დაჯაბნა.

**პასკალ ცუბერბიულერი**

— ცხელი თამაში იქნება. შვეიცარიას სხვა გზა არა აქვს, უნდა მოიგოს, რისი დიდი იმედიც მაქვს. თუ მოვიგეთ, პორტუგალია ხელის გულზე გვექნება.

— **მეტოქის შაბათის მატჩი უკვე გაარჩიეთ?**

— ნაწილობრივ. დღეს და ხვალ კი მეტოქეს დაწვრილებით შევისწავლით. ისე, დამაბული მატჩი იყო და ლოგიკური შედეგი 1:1 უფრო იქნებოდა.

— **თქვენთვის უფრო სასურველიც...**

— დიახ, მაგრამ არა უშავს. ოთხშაბათს ჩვენც მოვიგებთ.

**ნინო ძადაგიშვილი**
**ძახა ზალამბერიძე**



შვიდი საათისთვის შეკვეთილი „ლოკომოტივი" შვეიცარიის ნაკრებმა ერთი საათით გვიან დაიკავა და მსუბუქად, ზედმეტი დატვირთვის გარეშე, სულ სიცილ-სიცილით წაივარჯიშა.

მწვრთნელი იაკობ კუნი თბილისს 18 ფეხბურთელით ესტუმრა, ჯანმრთელი და აღნაგი ბიჭებით, თავის ბოდიგარდითა და წვრილმან-მსხვილმანი საქმეებით დაკავებული ათამდე ასისტენტით. თავად კუნი ვარჯიშისას მოედანზე ისე უდარდელად დასეირნობდა, ისე ათვალიერებდა თავის რჩეულთ, იფიქრებდი, ამათ თავი ქუდში აქვთ, საქართველო უკვე დამარცხებულა და რაღა უჭირთ, ქვეყანა მათი ყოფილაო.

კუნის თანაშემწემ შეგირდები ჯერ მოთელვისთვის მოედნის კიდესთან იხმო და ხუთი-ათი წუთი კუნთები გაახურებინა, მერე კვადრატი, ოღონდ ქართული ნაკრებისგან განსხვავებით, უფრო შემჭიდროვებული და უფრო მცირე ფართობზე. ბოლოს კი ელემენტარული კომბინაციის დამუშავება — ცენტრიდან პასი საჯარიმოს მისადგომთან, იქიდან ბურთის უკან, ინსაიდისთვის დაბრუნება, ისევ პასი ფლანგზე და ჩაწოდება, ორი ახლო მელთან, ერთი შორეულთან, ერთიც გადმოვარდნილ ბურთს მოდარაჯე.

ეს იყო და ეს... და კიდევ უბერებელი შტეფან შაპუიზა, თითქოს ფარფატა და ამავდროულად ღონიერი, გონიერ ყოჩი, პარტნიორთათვის სამაგალითო.

ესაა შვეიცარიის ნაკრები, ერთიორი წლის წინ ჩაძირული, უმაქნისი, დღეს კი შესარჩევი ჯგუფის ლიდერი, ხვალინდელი სამი ქულისა [illegible] პორტუგალიის ბილეთების [illegible] ნე. აკი თქვეს კიდეც [illegible] გიგებთო.

**[illegible]ობა ინ[illegible]არიძ[illegible]**



დემიენ დაფმა ქართველი მცველები დაზაფრა

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. მეათე ჯგუფი
თბილისი. 29 მარტი. 19 საათი. ლოკომოტივი. 20 000 (ტევადობა 25 600)

## საქართველო 1:2 ირლანდია

0:1 დაფი (20), 1:1 კობიაშვილი (62), 1:2 დოჰერტი (86)

1 ლომაია

მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე

2 ხიზანეიშვილი 3 შაშიაშვილი 4 ამისულაშვილი

7 ნემსაძე

6 ცქიტიშვილი 5 კობიაშვილი

8 ჯამარაული 10 ქინქლაძე

9 ქეცბაია 11 იაშვილი

7 დაფი 9 დოჰერტი

11 კილბეინი 8 კინსელა 6 ჰოლანდი 10 კარსლი

5 ოში 3 კანინგემი 4 ბრინი 2 კარი

მწვრთნელი ბრაიან კერი

1 გივენი

შეცვლა: ქეცბაია – 15. დემეტრაძე (46), ქინქლაძე – 16. დიდავა (72)

გაფრთხილება: დოჰერტი (34), ხიზანეიშვილი (77)

მსაჯები: კიროს ვასარასი; დიმიტრიოს პაპადოპულოსი, დიმიტრიოს ბოზაციდისი; იოაკიმ ეფტიმიადისი (ყველა საბერძნეთი)

უეფას დელეგატი: გიუნტერ ვისერი (გერმანია)

მსაჯების ინსპექტორი: პიტერ ჯოუნსი (ინგლისი)

ჯარიმა: 12-22; კუთხური: 4-10; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 1-7; თამაშგარე: 4-4

# მითი მოკვდა!

## საქართველოს აღარც ფეხბურთი აქვს, აღარც მაყურებელი ჰყავს

**პაპუნა კედია**

**დავიწყოთ იმით,** რომ გულშემატკივარი, რომელიც მეტოქე გუნდის ფეხბურთელს ტრიბუნიდან დანას ესვრის, კარგი გუნდის და დიდი ფეხბურთის ღირსი არ არის. ამ სიტყვების გამო ბოდიშს ვუხდით ათასობით წესიერ ადამიანს, მაგრამ მოსწონთ მათ ეს თუ არა, მაინც იმ საზოგადოების ნაწილი გამოდიან, სადაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ტრიბუნიდან მეტოქეს დანას ესვრიან.

შაბათ საღამოს „ლოკომოტივზე" ირლანდიელებს ბოთლები და სხვა საგნებიც მრავლად ესროლეს. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ მითი ქართველი ქომაგების განსაკუთრებულობაზე ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ხელში შეგვრჩა ხალხი, რომელმაც არ იცის, რა არის ფეხბურთი. მათ წარმოდგენა არ აქვთ, რომ ფეხბურთი თამაშია და მოწინააღმდეგე შენთან მხოლოდ და მხოლოდ საბურთაოდ ჩამოდის. ბიჭები, რომლებსაც დანა და ბოთლები ესროლეს, მოთამაშეები არიან და ბურთის გადაგდება-გადმოგდებაში ვარჯიშობენ, ხოლო მეორე მხარეს თამაში თუ არ უნდა და არ იცის რას ნიშნავს, შეუძლია, სულ დაანებოს თავი და რაღაც ისეთი აკეთოს, რაშიც უკეთ ერკვევა. და გეთქვლარებით, ნურავინ მოიტანს, ვთქვათ, „ბარსელონა" — „რეალის", ანუ „კამპ ნოუზე" ლუიშ ფიგუშსთვის ნასროლი გოჭის თავის მაგალითს. ეს სულ სხვა შემთხვევაა. ესპანელების და კატალონიელების ურთიერთობა ძალიან განსხვავდება ქართველების და ირლანდიელების ურთიერთობისგან (ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, არც არსებობს) და ეგრეთ წოდებულ მაღალი რისკის შეხვედრას ჩვეულებრივ მატჩში ნუ ავურევთ. გარდა ამისა, სხვათა მაგალითების ძებნა საკუთარი სივიეის გამართლების მცდელობა იქნება, მეტი არაფერი.

ამ თემაზე საუბარი კი ასეთი ჭეშმარიტებით ამოვწუროთ: ქართველებს რომ დენი არ გვაქვს, ქართველებს რომ ფული არ გვაქვს, ქართველებს ტერიტორიები რომ გვაქვს დაკარგული, ქართველები ერთმანეთს რომ ვხოცავთ და ფეხბურთსაც ვაგებთ, ირლანდიელების ბრალი არანაირად არ არის. ერთი სიტყვით, ჩვენი გალიზიანება ჩვენთვისვე შევინახოთ და თუ შეგვიძლია მდგომარეობა გამოვასწოროთ, თუ არა და ჩვენთან არც თამაში მოუნდება ვინმეს და არც ჩვეულებრივი ურთიერთობა.

ახლა ფეხბურთზე: რაც მოხდა, მოსალოდნელი, კანონზომიერი და გასაგები იყო. მიზეზი: ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ გუნდები, რომელთაგან ერთმა იცოდა, როგორ უნდა მიეღწია იმისთვის, რაც სურდა, მეორემ — არა. თამაშის პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ სტუმრები მოედნის შუაზე ამახვილებდნენ ყურადღებას და მასპინძლებისთვის ბურთის იქ წართმევას, მათი თამაშის იქ ჩახშობას ანიჭებდნენ მნიშვნელობას. პირველ ტაიმში პრესის ლოჟაში მსხდომი მე და ჩემი რამდენიმე კოლეგა ვაკვირდებოდით და ვითვლიდით: ყოველ ეპიზოდში, როდესაც საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ბურთს ცენტრში მიიტანდნენ და იქ დახაზული დიდი წრის მიმდებარე ტერიტორიაზე აგორებდნენ, მათ და ირლანდიელთა მეკარეს, შეი გივენს შორის რვა მწვანეფორმიანი იდგა მწყობრად და ყურადღებით. ერთხელაც ვერ მოხერხდა ამ რვაკაციანი ორფა კედლის შეთხელება. რატომ? იმიტომ, რომ ამას წინასწარ მოფიქრებული გეგმა, რამდენიმე კომბინაცია, თამაშის შერჩეული რიტმი და ტემპი სჭირდება. ეჭვი არ შეგეპაროთ, ასეთი ტაქტიკის საწინააღმდეგო სვლები და ვარიანტები სახელმძღვანელოებში წერია, თან დაწვრილებით: თუ 3-5-2-ს თამაშობ რა და როგორ უნდა მოიმოქმედო, თუ 4-4-2-ს რა და როგორ და ასე შემდეგ, მაგრამ სახელმძღვანელოებს და მათ მკითხველ ხალხს თავისი ცხოვრება აქვთ, ქართველებს — თავისი.

შეგახსენებთ, რა ხდებოდა ირლანდიელთა პირველ გოლამდე ანუ მე-18 წუთამდე: მე-5, მე-13 და მე-15 წუთებზე ირლანდიელებმა საქართველოს ნაკრების კარს სახიფათოდ შეუტიეს და სამივე შემთხვევაში ამ ხიფათის მთავარი შემქმნელი სტუმართა მე-7 ნომერი დემიენ დაფი გახლდათ. ახლა გეკითხებით: როდესაც ხედავ, რომ მეტოქის გუნდს ჰყავს კაცი, რომელსაც იმ დღეს ყველაფერი გამოსდის, ხედავ, რომ მან 15 წუთში უკვე სამჯერ შემოგიტია სახიფათოდ, უნდა შეიტანო თუ არა რაიმე კორექცია საკუთარ დაცვაში?

და რა დავარქვათ იმას, რომ მე-18 წუთზე ამ კაცს შენს კარში გოლი გააქვს, შემთხვევითობა?

ასეთ დროს ყველაზე ადვილი იმ კაცზე „ვა, რა მაგარიას", ან საკუთარ მცველზე „ვერ დაუდგას" თქმა გახლავთ — ამას უკლებლივ ყველა შეძლებს, ათეულობით ათასი ადამიანი: ბიოლოგი, ქიმიკოსი, ზეინკალი, პოლიციელი, გამყიდველი, მენაყინე... ყველა, ყველა. ამას სპეციალისტობა არ სჭირდება.

მეორე ტაიმში კი ქეცბაია დემეტრაძით შეცვალეს და მასპინძლებმა რაღაც ხნით თამაში გამოასწორეს. მოდით, დავუკვირდეთ, რატომ. იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრებმა ტაქტიკა შეცვალა? არა, ცხადია. შეიცვალა მხოლოდ ქეცბაია დემეტრაძით. აქ, უბრალოდ, ის მოხდა, რომ დემეტრაძემ, როგორც ამ სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთელს სჩვევია, თამაშს ემოცია შემატა. ესეც არ იყოს, მეორე ტაიმის დასაწყისში ჩამორჩენილ გუნდს, მით უფრო მასპინძელს, რაღაც ხნით მაინც თამაში არ გამოეცოცხლებინის, ასეთი შეხვედრა გახსოვთ? მერე ამას დაემატა ჯარიმა (ისევ დემეტრაძის წაქცევის გამო დანიშნული), რომელსაც დანის და ბოთლის სროლა მოჰყვა, რასაც ამოგეც კობიაშვილის მიერ უზადოდ შესრულებული ჯარიმა გახლდათ — 1:1.

მატჩის ეს მონაკვეთი ძალიან სასიამოვნო გახლდათ, მაგრამ ყველაფერი რომ პირწმინდა ემოციაზე იყო აგებული, მეტისმეტად ნათლად ჩანდა — ტაქტიკა ისევ წამგებიანად რჩებოდა და ამას შეუძლებელი იყო, თავისი შედეგი არ მოეტანა.

მოიტანა კიდეც: რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა შეხვედრა დასასრულს, მით უფრო ემსგავსებოდა თამაში პირველ ტაიმში ნანახს, იმ განსხვავებით, რომ ირლანდიას მოგება სჭირდებოდა და მეტად მოიწევდა საქართველოს ნაკრების კარისკენ. თამაშის დამთავრებამდე დაახლოებით 10 წუთი რომ რჩებოდა, სტუმრებმა ერთი-მეორის მიყოლებით დაიწყეს კუთხურების გათამაშება და როდესაც მე-4 კუთხური ჩააწოდეს, ბურთი ახტა-დახტა და ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც ლოგიკის თანახმად უნდა დასრულებულიყო: გარი დოჰერტიმ ირლანდიელთა გამარჯვების გოლი გაიტანა.



# თავში კინაღამ ბოთლმოხვედრილი კაცის ჩანაწერები



როცა ჭირდა, ირლანდიელები მეტნი იყვნენ

**ფეხბურთის** ყურება ბევრნაირად შეიძლება: ტელევიზორში, ტრიბუნაზე სათადარიგოთა სკამიდან, კარის უკან ფოტორეპორტიორის ადგილიდან. იმის მიხედვით, თუ საიდან უყურებ, თამაშს რამდენადმე განსხვავებულად აღიქვამ, თუმცა საიდან ყურება ჯობია, ძნელი სათქმელია, თითოეულ ადგილს აქვს თავისი უპირატესობა და უარყოფითი მხარეები. ზოგი იმასაც ამბობს, საქართველოს ნაკრების თამაშს რომ არ უყურო, ის ჯობიაო.

ირლანდიასთან მატჩს კარსუკნიდან, მოედნის კიდესთან მდგომმა ვუყურე, სამხრეთ ტრიბუნის მხარეს. პირველ ტაიმში ჩემს წინ შეი გივენი იდგა, მეორეში — გიორგი ლომაია. აქედან იდეალურად ჩანდა საჯარიმო მოედნის შიგნით მომხდარი ამბები, სამაგიეროდ, მოპირდაპირე კარი იყო ძალიან შორს და დანის სროლაც არ დამინახავს. კარგად ვერ გავარჩიე დამიენ დაფისა და ლევან კობიაშვილის გოლები, სამაგიეროდ, იქვე ვიდექი, როცა ლომაიამ სასწაულით მოგერია ლი კარსლის დარტყმული თამაშის განახლებისთანავე, იმავ ლომაიამ ზედ კარის ხაზზე აიღო დამიენ დაფის თავური და, ცხადია, გარი დოჰერტის გამარჯვების გოლი.

პირველი ტაიმი მე და შეი გივენმა მოწყენილობაში გავატარეთ — ქართველებმა ირლანდიელთა კარისკენ პირველად ოცდამეათე წუთზე დაარტყეს, კარში კი ბურთი ერთხელაც არ წასულა. ამიტომ ტელევიზორში ნანახ გივენის ნახტომებს თვალნათლივ ვერაფერი შევკმატე. ერთი ეგ იყო, გივენს რამდენჯერმე მოუხდა დასწრებაზე თამაში და მაშინაც ლიდი ვერაფერი მომენტები იყო. თუმც ერთხელ ნიუკასლელს მანძილის გათვლა გაუჭირდა — მისი კარისკენ წასულ ბურთს ქეცბაია და კანინგემი მისდევდნენ, გივენი გამოვარდა, გაჩერდა, თითქოს უკან დახევაც დააპირა, მაგრამ ისევ ბურთზე წასვლა დააპირა და ქეცბაიას დაასწრო. მეკარის მოქმედების აღწერისთვის რამდენიმე წამი დამჭირდა, სინამდვილეში კი ყველაფერი წამის რაღაც ნაწილში მოხდა. სხვათა შორის, გივენს ერთხელაც არ დაუყვირა თავისი მცველებისთვის „გაატარე", „ჩემია" და მისთანა სიტყვები, რასაც მეკარეები ჩვეულებრივ იძახიან ხოლმე მსგავს შემთხვევებში. ბურთზე, იმ ერთი ეპიზოდის გარდა, თამამად და უსიტყვოდ მიდიოდა, რასაც ალბათ ირლანდიელი მცველებიც გრძნობდნენ.

გივენი მეტწილად მცველებისთვის რჩევების მიცემით იყო დაკავებული. ოღონდ სულ კანინგემს ეძახდა. მხოლოდ ერთი ორჯერ შეუძახა მარცხნივ ჯონ ოშის. მაგრამ რჩევის მიცემა საჭირო არც იყო. დაცვის ხაზის მოწესრიგება კანინგემს ევალებოდა და როცა ირლანდიელები უტევდნენ, მაშინაც ყურადღებით იყო. კანინგემი ორივე ხელს შლიდა, ამ ხაზზე დადექითო. მარცხნივ ოშის გახედავდა, ოშიც პასუხად ხელს გაუშლიდა — ამ ფლანგზე ყველაფერი წესრიგშიაო. მერე კანინგემი მარჯვნივ გაიხედავდა, გარი ბრინისკენ და ისიც ხელის გაშლით პასუხობდა. ერთი სიტყვით, რომელიმე ქართველი ფეხბურთელის ოფსაიდში ჩატოვების მცდელობისას, მცველის უკან ჩარჩენა გამორიცხული იყო და გივენიც კარში მშვიდად იდგა.

მხოლოდ ერთხელ აღელდა. კანინგემმა და ბრინმა მთლად შეთანხმებულად ვერ ითამაშეს და კინაღამ იაშვილი გაექცათ. შეცდომა წამშივე გამოასწორეს. გივენს მათთვის არაფერი უთქვამს, შებრუნდა და რაღაც ჩაიბურდღუნა. რაღაც კი არა, გულიანად შეიგინა, ოღონდ იმ ეპიზოდში დამნაშავე მცველებს ეს არ გაუგიათ.

კობიაშვილის გოლისას რა გითხრათ და, პირველ ტაიმში გივენი მუდამ სწორად ირჩევდა პოზიციას. მძლოლებს შიგადაშიგ ცალი თვალი უკანა ხედვის სარკისკენ რომ გაურბით, ისიც ეგრე იყო, ქართველები შეტევაზე რომ გადავიდოდნენ, წამიერად გახედავდა ხოლმე ახლო ძელს, როგორ ვდგევარო.

ერთი ეპიზოდიც დამამახსოვრდა. ოშის ფლანგიდან იაშვილი ორ მეურვეს დაუსხლტა, კარისკენ შებრუნდა და ბურთი განივად ჩააწოდა, იქ კი სტივენ კარმა კუთხურზე მოიგერია. ჩვეულებრივი ეპიზოდი იყო, რომლის მსგავსებიც არაერთხელ გვინახავს, მაგრამ აკი მოგახსენეთ, კარს უკან რომ დგეხარ, რაღაც-რაღაცეები ცოტა სხვანაირად მოჩანს. იაშვილმა ბურთს ისე დაარტყა, ხმა იყო — გასკდა-თქო, ვიფიქრე. ბურთმა ისეთი სისწრაფით ჩამიქროლა, გახედვა ძლივს მოვასწარი, ზედ კარის წინ, მეკარის ბაქანზე მყოფმა კარმა საშინელი ძალით ამოსცხო და ხარიხას ზემოთ გადაისროლა. ჰოდა, როცა ბურთი ასეთი სისწრაფით მიფრინავს, მცველი კი კართან ძალიან ახლოს დგას, დაფიქრებისა და მოზომვისთვის წამის მეათედი აქვს, ბურთისთვის ოდნავ სხვა წერტილში ამორტყმა შესაძლოა, ავტოგოლით დამთავრდეს. ერთი სიტყვით, ტექნიკასა და გამოცდილებაზე მინდოდა მიმენიშნებინა.

ერთი დაკვირვებაც: კობიაშვილმა რომ გაიტანა, ლომაია კარიდან გავარდა და საერთო მხიარულებაში მონაწილეობის მისაღებად მეტოქის ნახევარზე გადავიდა. ხოლო იქამდე, დაფის პირველი გოლისას, საჯარიმოს წინა ხაზთან მდგარმა გივენმა ერთი კი ასწია ხელები, მერე შემობრუნდა და კარისკენ არაფრის მთქმელი სახით გაბრუნდა.

მეორე ტაიმში უკვე ქართველ მცველებს ვუყურებდი და ლომაიას „შაში, შაში" მესმოდა, შაშიაშვილს აძლევდა რჩევებს. ირლანდიელ მცველთა ურთიერთშეთანხმებულ თამაშზე რომ მოგახსენეთ, ქართველების თანხმობაზე კი რაც არ შემიმჩნევია, რას ვიტყვი. აკეთებდნენ იმას, რაც კლუბებში ასწავლეს, სხვაკლუბელი თანანაკრებელისთვის როგორ გაეგოთ, ეგ კი აღარ იცოდნენ.

ბოლოს ლომაიას კარში გოლი გავიდა და ძელზე ბოთლიც დაიმსხვრა. მეკარე და ბურთის მიმწოდებელი ბავშვები კარგა ხანს კრეფდნენ მეკარის ბაქანზე გაბნეულ ნამსხვრევებს. ერთმა ბოთლმა თავზეც გადამიფრინა და მატჩის ბოლომდე მოედანზე ეგდო. დარჩენილ წუთებში კი, ხიფათით შეშინებული, უფრო ტრიბუნას ვაკვირდებოდი, ემანდ კიდევ ვინმეს არ მოეპრიანოს ბოთლის სროლა-თქო.

**კოტე კეკელია**




# დანა მოფრინავს



**ახალი თაობის** საფეხბურთო პუბლიკა იქამდე დაეცა, რომ მოწინააღმდეგეს დანას ესვრის ტრიბუნიდან!

ადრე ისე იყო, რომ იგივე პუბლიკა ბოთლებს ესროდა ჩვენს გუნდს და სამწვრთნელო შტაბს, ანუ თავისი კულტურული შესაძლებლობების კვალად, პროტესტს გამოხატავდა.

ახლა კი, დამნაშავე გამოდგა ის, ვინც გჯობნის და ქუჩურად კი ეგრეა, რომ როცა გერევიან, დანა უნდა გახსნა. ქუჩურს გარდა კი, ახალი თაობის პუბლიკას არაფერი უნახავს. მას ნამდვილი ფეხბურთისთვის თვალიც არ მოუკრავს სტადიონზე. საერთოდ არ იცის, რა არის სტადიონი. ისე ჰგონია, რომ ჩამოვიდა თერთმეტი განწირული კაცი და ჩვენ ყველამ ერთად უნდა როგორმე ვაჯობოთ, რაღაც ველური განწყობილებების დასაკმაყოფილებლად.

რა, კაროჩე, მაგრები ვართ, ზოგადად და არა ვთქვათ, მაინცდამაინც ფეხბურთში.

ნამდვილი ფეხბურთი არ უნახავთ და რა ქნან? სტადიონზე, თორემ, ტელევიზორში ხედავენ, ცხადია, თუ შუქი იქნა.

მაგრამ ტელევიზორში არ გეტყვიან, დანა არ უნდა ისროლოო, იქ მხოლოდ აცხადებენ, დანა ისროლესო.

ამ დანის გამო ჩვენს სტადიონს დასჯიან, თუმცა, ფეხბურთისთვის ამასაც არა აქვს მნიშვნელობა, რადგან ფეხბურთი არ არის. ამიტომაც, ახალმა პუბლიკამ, სრულიად შეცდომით ფანებს რომ უწოდებენ ხოლმე, არ იცის რა არის ფეხბურთი. ის, რომ დემემ ორჯერ მოატყუა ოში, მესამედ კი ამ უკანასკნელმა ჩვენიანი წააქცია, ფეხბურთია, ხოლო სტუმრისთვის ამის გამო ნასროლი დანა რაც არის, ყველამ იცის.

არცერთი ქართველი ფეხბურთელი ისე არ თამაშობს თავის კლუბში, როგორც ნაკრებში. ანუ, იქ უკეთესად, აქ უარესად. ამას განგებ კი არ აკეთებენ, მეტიც, მათთვის დარდი და შრომაა ნაკრები, ბოლოს და ბოლოს კი სამშობლოს საქმეა. მაგრამ, ასე კი გამოდის, იმიტომ რომ მათ კლუბებში ფეხბურთია, ნაკრებში კი ფეხბურთი არ არის. ეს ყველამ იცის, ვისაც ფეხბურთის გემო ოდნავ მაინც გაუგია. სამწუხაროდ, არ იცის ახალთაობის პუბლიკამ, რომელსაც სამყაროს დასაწყისი გუბერნსკის კაპეპე ჰგონია. ფეხბურთის ადგილი კი არსად არის.

შეიმჩნევა სადღეგრძელოების სიხშირე. სადღეგრძელო კი ფეხბურთს არაფერში გამოადგება. ქართველ მწვრთნელთა მთავარი გამოთქმა გახლავთ: თქვენ ფეხბურთი არ გითამაშიათ, რა უნდა გელაპარაკოთ. ფეხბურთი არც ჟოაო სალდანიას უთამაშია მინდორზე, მაგრამ მწვრთნელებმა არ იციან ხოლმე ვინ იყო ჟოაო სალდანია. არიგო საკი კი იციან, მაგრამ მასაც არ უთამაშია ფეხბურთი ისე, რომ ამ საქმეში ხელფასი აეღო. ძნელი გასაგებია, რატომ არ შეიძლება იყო უბრალოდ კარგი კაცი, რომელსაც ყველა ალალად ადღეგრძელებს, როგორც ძველი სიხარულის ცოცხალ მაგალითს. რა აუცილებელია, რომ წლიდან წლამდე იყოს ერთიდაიგივე, რისი შედეგიცაა მოედანზე გადმოვარდნილი დანა?

ეს დანა უბრალო რამე არ არის.

ცარიელი ბოთლი არ არის.

ეს დანა ძალიან რთული კომბინაციაა, რომლის ახსნაც არავის სჭირდება. საქართველო — ირლანდიის თამაშის გარჩევა საჭირო არ არის. დანის ეპიზოდია საკმარისი, რათა ყველაფერი ცხადად გამოჩნდეს. დანა ოცდაათწამიანი პიესაა, რომელშიაც მთელი ქართული ფეხბურთი ჩაეტევა. ამ ნახევარწუთიანი პიესიდან შეიძლება ტომები გამოდნეს, მაგრამ ესეც არავის სჭირდება, იმიტომ, რომ ფეხბურთი არ არის.

ოდესღაც ფეხბურთი ხალხისა იყო, დღეს ფეხბურთი იმისა ვისაც მოუნდა, რომ მისი ყოფილიყო. ამიტომ, დანის სროლა საჭირო არ არის იმიტომ, რომ, ვის გამოც დანას ისვრი, ის შენი არ არის. ამ ქვეყანაში დღესაც ყველაზე კარგად ლენინის ესმით. ლენინი კი ამბობდა: სწავლა, სწავლა და სწავლაო.

ეს ლიხტენშტაინელმა მეგაწვნეებმაც გაიგეს, რომლებიც მაწვნის დაყენების შემდეგ თამაშობენ ფეხბურთს.

პუბლიკა კი თვალსა და ხელსშუა ეცემა. თბილისში ყოველთვის კარგი მაყურებელი იყო. ერთი ზნე ის ჭირდა, რომ როცა გუნდი აგებდა, დაღუმდებოდა ხოლმე. ახლა, გუნდი რომ აგებს, მტრისკენ დანა მიფრინავს. ამ დროს კი უსაფრთხოება დაცულია, სტადიონზე მობილური არ იჭერს. თუმცა, უსაფრთხოებაც არ არის საჭირო. რა უსაფრთხოება უნდა იმას, რაც არ არსებობს?

ჩვენ კი, თურმე, უნდა დავსხდეთ და ვიფიქროთ, რომ ხვალ შვეიცარიას ვეთამაშებით.

ხვალ არავის ვეთამაშებით, იმიტომ, რომ ვხედავთ იმას, რასაც ვხედავთ.

შვეიცარია ჩამოფრინდა, დანაც.

**ირაკლი გამყრელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანა შაულია!

## მაკდერმოტი რუსებს ქართულ ჯოჯოხეთს უსურვებს

*ირლანდიელი კევინ კილბეინი დაჭრას სასწაულით გადაურჩა. მას დანა არა თბილისის ჩაბნელებულ ქუჩებში, არამედ, „ლოკომოტივის" სტადიონზე, საქართველო — ირლანდიის მატჩისას ესროლეს. ეს ჩვენთვის ახალი ამბავია, აქამდე ქვებსა და ბოთლებს ისროდნენ, ახლა საქმეში დანაც გაერია, თუმც პრინციპული განსხვავება არ არის: კაცის მოკვლა დანითაც და ქვითაც ერთნაირად შეიძლება.*

*შაბათ საღამოს ლოკომოტივზე, დანის გარდა, ცხადია, ბოთლებიც ბლომად ისროლეს.*

*ისიც ცხადია, რომ არც ერთი მსროლელი არ დასჯილა და არც დაისჯება. მიზეზი მარტივია: ის ადამიანები, რომლებიც სტადიონზე წესრიგის დაცვას უნდა ემსახურონ, თამაშის ცქერით არიან გართულები. ჰოდა როცა თავზე ბოთლი გადაუფრენთ, მხოლოდ მაშინ იყურებიან უკან და მსროლელს, აბა, როგორ იპოვიან. ისე, თუ გახსოვთ, რა ხანია იძახიან, ტრიბუნებზე ბოთლიანი გულშემატკივარი არ უნდა შევუშვათო, მაგრამ აქედან რატომღაც არაფერი გამოდის. არც გამოვა და თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.*

*შაბათს თამაშზე ჟურნალისტის აკრედიტაციით ცალკე შესასვლელიდან შევედი და სხვა შესასვლელებში რა ხდებოდა, ვერ მოგახსენებთ, მეორე დღეს კი, რაგბიზე ჩვეულებრივი ბილეთით მისული ასეთ ამბავს შევესწარი: „ეროვნულის" შესასვლელთან ჩამწკრივებულმა პოლიციელებმა კოკა კოლის ბოთლებით არ შეგვიშვეს, მაგრამ რა: ტრიბუნებზე დამსხდართ გამაგრილებელი სასმელებით მოვაჭრეები გვეახლნენ და ვისაც ბოთლი სასროლად სჭირდებოდა, იმავე პოლიციელების თვალწინ არსენალი შეივსო...*

*მოკლედ, სრულ უთავობასთან გვაქვს საქმე, ან პოლიცია ტრიბუნებზე სასმელების გაყიდვის ბიზნესს უწყობს ხელს.*

*„ლოკომოტივზე" მომხდარი ინციდენტების თაობაზე კი რამდენიმე კომენტარს გთავაზობთ*



ქართველმა ვითომქომაგებმა შეი გივენს ბოლოც შეუნთეს

*კევინ კილბეინი, დაზარალებული ფეხბურთელი:*

15-სანტიმეტრიანი გახსნილი ჯაყვა იყო. მხარში მომხვდა — კიდევ კარგი, მჭრელი პირით არა. თავიდან ვერც მივხვდი რა მომხვდა. დავიხარე და ავიღე. ვხედავ — დანაა. იმ წამს ვერც დავიჯერე. იქამდე მსგავსი არაფერი შემმთხვევია. სტადიონზე დაძაბული ატმოსფერო რომ იქნებოდა, ვიცოდი, მაგრამ საქმე აქამდე თუ მივიდოდა, ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

*მაიკ ლი, უეფას კომუნიკაციების დირექტორი:*

მსაჯის პატაკს უკვე გავეცანით. უაღრესად სერიოზული ინციდენტები მოხდარა, რომელთაგან დანის სროლის ფაქტს გამოვარჩევთ. ამ საკითხზე უეფას სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს.

**BBC:**

უეფა საქართველო — ირლანდიის მატჩისას თბილისში მომხდარი ინციდენტების შესწავლას შეუდგა. კევინ კილბეინს დანა ესროლეს, გარი ბრინს „პაჩევნიკი" მოხვდა, დამიენ დაფს პლასტიკური ბოთლი, ხოლო შეი გივენის კარის ძელზე არყის შუშის ბოთლი დაიმსხვრა.

*ჯერი მაკდერმოტი, „აირიშ ინდეპენდენტი":*

„ლოკომოტივის" სტადიონი ნამდვილად არ არის ის ადგილი, სადაც მშვიდად დაჯდები და წაუფილოსოფოსებ. ტრიბუნებიდან მოედანზე მთელი მატჩის მანძილზე ცვიოდა მონეტები, ბოთლები და დანა. ახლა სიტყვა უეფაზეა, ოღონდ თუ ქართველებს სტადიონის დისკვალიფიკაციით დასჯიან, ეს ისევ ჩვენ, ირლანდიელებს დაგვაზარალებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სჯობს ქართველებმა რუსეთის ნაკრებსაც ამ სტადიონზე უმასპინძლონ — დაე, რუსებმაც გამოიარონ ეს ჯოჯოხეთი.

*იზვესტია:*

საქართველოსა და ირლანდიის ნაკრებთა შეხვედრისას, რომელიც თბილისში ჩატარდა, ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ისევ არეულობები მოაწყეს. მას შემდეგ, რაც ირლანდია დაწინაურდა, ტრიბუნებიდან ტრადიციული მონეტებისა და სანთებელების გარდა დანისა და შუშის ბოთლების სროლაც დაიწყეს. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით არავინ დაშავებულა და თამაში არ შეწყვეტილა.

*ვლადიმირ როდიონოვი, რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივანი:*

ჩვენ საქართველო — რუსეთის ოქტომბრის მატჩის მერეც მივმართეთ უეფას და იმ დღეს მომხდარზე ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდეთ. მხოლოდ შუქის გამორთვას არ ვგულისხმობთ: რუსეთის ჰიმნის შესრულებისას მაყურებლები უსტვენდნენ, მატჩის მერე კი ჩვენს ავტობუსს ქვები დაუშინეს. მაშინ უეფამ ვითარების გამწვავება საჭიროდ არ ჩათვალა და გადათამაშება ისევ თბილისში დანიშნა. ჩვენც იძულებული გავხდით, დავთანხმებოდით. ახლა, შაბათის მატჩის შემდეგ, ჩვენ ისევ ლავფიქრდებით და სამომავლო გეგმას შევიმუშავებთ. პირადად მე ვთვლი, რომ თბილისში თამაში არ შეიძლება და ალბათ, უეფას ერთხელაც ვთხოვთ, მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადატანას. თუმცა, ვფიქრობ, უეფა თავადაც იმსჯელებს შაბათს მომხდარის თაობაზე თავის საგანგებო სხდომაზე და ჩვენი ნაკრების გარეშეც სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.



სად, სად, სად მიდიხარ...

*...როცა კევინ კილბეინმა დანა აიღო და მსაჯისკენ წავიდა, გიორგი დემეტრაძემ დაანძუსა, მაგ საქმეს ნუ იზამ. რომელ ნამუსზეა ლაპარაკი...*





## პროტესტი და სოლიდარობა მატჩის შემდეგ

მწვრთნელი ფეხბურთელებისთვის ყველაფერში სამაგალითო უნდა იყოს, მათ შორის პრესასთან ურთიერთობაშიც.

ალექსანდრე ჩივაძე კი ირლანდიასთან წაგებულ მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა — ბრაიან კერს გვერდი ოთარ გაბელიამ დაუმშვენა.

უნდა გენახათ რა ამაყნი, ცხვირაწეულები იყვნენ კელტი ჟურნალისტები. ზოგიერთი მათგანი მატჩის ოქმს ჩასციებოდა და ქართველ ფეხბურთელთა გვარების წარმოთქმით იქცევდა თავს, ზოგმაც მიკროფონი ჩართო და მთელ დარბაზში უშვებდა ხმებს — კისკისებდნენ და ჟარგონით სისინებდნენ, ცხადია, ჩვენზე — ყოველივე ბრაიან კერის მოსვლამდე ხდებოდა, რომელიც ჩვენი თუ იმათი პრესატაშის გარეშე ავიდა კათედრაზე და მატჩზე ლაპარაკს მოჰყვა.

მისტერ კერმა ზოგად ფრაზებს ისიც გაურია, რომ ქართველებს მაღალტექნიკური ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ ჩვენ შევძელით და მანქანასავით ვითამაშეთო.

ჩივაძეს ვუცდიდით და მეკარეების მწვრთნელი გვეახლა. ქართველ ჟურნალისტთა ამქარში ფუსფუსი გაჩაღდა, თითქმის ყველამ დარბაზის დე-



ბრაიან კერი

მონსტრაციულად დატოვება გადავწყვიტეთ და ირლანდიელმა ჟურნალისტებმა ჩვენი ხმადაბალი ლაპარაკი ვერ აიტანეს — ვერ ხედავთ, რომ ჩვენი მწვრთნელი ლაპარაკობსო. თუმც შემოტევა მალევე ჩაეხშო და მერე მასპინძელი ჟურნალისტები გარეთ გამოვედით.

ჯარიმა, რომელიც ჯობია კუთხურს და მარადონა პელეა?! ასეთი ღვაწლმოსილი ხალხი დარბაზში დარჩა, ყველას თავისი აზრი და გეზი აქვს და ვერც ვერავის გავამტყუნებთ.

**დავით თავართქილაძე**

# ჩივაძე მართალია: წავიდა!





მერაბ ჟორდანიამ ოთარ გაბელიას, ალექსანდრე ჩივაძისა და მურთაზ ხურცილავას თხოვნა დააკმაყოფილა

*ხვალ, საღამოს 11 საათზე, შვეიცარიასთან თამაშმოლეული საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩება. განურჩევლად შედეგისა, ეროვნული გუნდის თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე, მწვრთნელები — ოთარ გაბელია და მურთაზ ხურცილავა გადადგებიან. მათ ერთობლივი გადაწყვეტილება ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას გუშინ შეატყობინეს*

**ქართული** ფეხბურთის თავკაცებმა ამ საკითხს გუშინ საღამოსვე საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნეს, თუმც სანამ იქაურ ამბებს მოგითხრობდეთ, მანამ ისევ ეროვნულ გუნდს დავუბრუნდეთ.

გუშინ, საღამოს ექვს საათზე დაიწყო წვრთნა ხალისდაკარგულმა ნაკრებმა. ირლანდიასთან მარცხმა საქართველოს უპირველესი გუნდისადმი ინტერესი ისე გაანელა, რომ არც დიღმის საწვრთნელი ბაზის დაცვის სამსახურისთვის დაუხევიათ მოსეირეებს კალთები, ვარჯიშს დაგვასწარითო და არც ბიჭბუჭობა აკვრია ბაზის ღობეს.

სავარჯიშოდ 18 ფეხბურთელი გამოვიდა. ნაკრების წევრებმა შუა მოედანზე წრე შეკრეს და რაღაცაზე ბჭობა იწყეს. არსად ჩანდა თემურ ქეცბაია, რომელიც გუშინწინ ბაზაზე მივიდა, მწვრთნელ-ფეხბურთელებს დაემშვიდობა, დამთავრდა ჩემი სანაკრებო კარიერაო და კვიპროსს გაემგზავრა. ეროვნული გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი თემურ ქეცბაია ხმაურის გარეშე გაეცალა დამარცხებულ ნაკრებს.

გუშინ არ უვარჯიშია გიორგი ქინქლაძეს. მან თანაგუნდელთა წვრთნას მოედნის კიდედან ადევნა თვალი. როგორც თავად გვითხრა, ფეხი აწუხებს და მისი შვეიცარიასთან თამაშიც საეჭვოა. სამაგიეროდ, მოედანზე იყო შოთა არველაძე, მონდომებითაც ირჯებოდა და ტრავმისაც არაფერი ეტყობოდა.

მწვრთნელები სულ ბოლოს, ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდნენ მოედანზე. სახის გამომეტყველებაზე მიხვდებოდით, რა დალი დაჩნია და რა ენერგია წაელო ირლანდიასთან დამარცხებას. პირველად სწორედ მაშინ აჩურჩულდნენ, მწვრთნელები ნაკრებიდან მიდიანო. ზოგი დანამდვილებით ირწმუნებოდა, ზოგიც სხვის ნათქვამს იმეორებდა.

დიღომში ნაკრების ვარჯიში რომ ხურდებოდა, ფეხბურთის ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია ჟურნალისტებს მოსალოდნელ ახალ ამბავს ამცნობდნენ.

— ჩვენი სასწრაფოდ შეკრების მიზეზს მოგახსენებთ. ეროვნული გუნდის მწვრთნელები ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ გაბელია და მურთაზ ხურცილავა შვეიცარიასთან ნაჩვენები ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, გადადგებიან.

ისინი თავისი ნებით მიდიან, წასვლას ირლანდიასთან წაგებისთანავე აპირებდნენ, მაგრამ შვეიცარიასთან დაპირისპირებამდე ორი დღე, [illegible] და ნაკრები უპატრონოდ არ დატოვეს.

ალექსანდრე ჩივაძემ დღეს დილით პირად საუბარში გამანდო თავისი გადაწყვეტილება. ამას ნამდვილად არ ველოდით და ახლა ვერ გიპასუხებთ, ვინ მოამზადებს ნაკრებს რუსებთან სათამაშოდ. ამისთვის ნამდვილად არ ვართ მზად — ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გუშინ შემცბარი გვეჩვენა.

**— ნაკრები თემურ ქეცბაიამაც დატოვა. მსგავსი გადაწყვეტილება კიდევ რომელიმე მოთამაშეს ხომ არ მიუღია?**

— თემურმა დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება. მისი აზრი ანგარიშგასაწევია და დარწმუნებული ვარ, ქეცბაიამ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა. რაც შეეხება სხვებს, მსგავსი განცხადება ჯერ არც ერთს არ გაუკეთებია.

**— ნაკრებმა შვეიცარიას რომ მოუგოს, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ისევ რჩება. ასეთ შემთხვევაში იქნებ მწვრთნელებმაც შეიცვალონ გადაწყვეტილება?**

— ჩივაძემ თქვა, რომ საქართველო — შვეიცარია მისი ბოლო სანაკრებო მატჩი იქნება და შედეგის მიუხედავად, გადადგება.

**— „ლოკომოტივზე" მომხდარი ინციდენტის შემდეგ ფედერაციის ხელმძღვანელები უეფასგან რა სასჯელს ელით?**

— ფულადი ჯარიმა რომ დაგვეკისრება, ეს უდავოა, თუმც ამას თუ დაგვაჯერეს, კიდევ რა გვიჭირს. არ არის გამორიცხული, მომდევნო საშინაო თამაში ნეიტრალურზე გვათამაშონ. ვფიქრობ, ამ საქმის გასარჩევად უეფას სადისციპლინო კომიტეტი საგანგებოდ შეიკრიბება და პასუხიც მალე გვეცოდინება. ეს რომ პირველი შემთხვევა იყოს, სანერვიულო არაფერი იქნებოდა, მაგრამ მსგავსი ფაქტები დაგვიგროვდა, თანაც მოედანზე ნასროლი დანაც ძალიან ამძიმებს ჩვენს მდგომარეობას. ასე რომ, მკაცრი სასჯელი არ აგვცდება.

**— ეროვნული გუნდის ახალ მწვრთნელს როდის დანიშნავთ?**

— რუსებთან უახლოესი თამაშისთვის გუნდს დროებით დანიშნული თავკაცი მოამზადებს. მერე კი ნაკრებს ახალი მესაჭე ჩაიბარებს. თუმც ახლა ნამდვილად არ ვიცით, ვინ იქნებიან ის მწვრთნელები.

**მამუკა ძვანტალიანი**

# რეზი, პასი, რეზი!

## არველაძეს გუნდში კარლ-ჰაინც რუმენიგე ჰყავს

**საქართველოს** ოლიმპიურ ნაკრებს ელირსა და ორი დღე მინდორზე ვარჯიშობდა — ქართველი ოლიმპიელები „შევარდენის" არცთუ ხარისხიან მოედანს ქაცავდნენ.



მალხაზ ასათიანი

გუშინდელი ვარჯიში საღამოს ხუთის ნახევარზე დაიწყო. გუნდის მთავარი მწვრთნელი რევაზ არველაძე ფეხბურთელებთან ერთად მოითელა და მერე ორმხრივი თამაში გაჩაღდა.

ერთ მხარეს ის თერთმეტეული წარმოდგენდა, რომელიც ირლანდიასთან მატჩში სასტარტოში იყო. მოედნის მეორე ნახევარი ნაკრებში გამოძახებულმა ცხრა მოთამაშემ დაიკავა, რომელთაც არველაძე და მისი თანაშემწე გოჩა ტყებუჩავა დაემატნენ.

არველაძემ მარჯვენა საყრდენად ითამაშა, ტყებუჩავამ მარცხენა საყრდენად. რეზი პასი, რეზი! რეზი კეტეთ! იყო ფეხბურთელთა შეძახილები. თამაშმა დაახლოებით ნახევარ ტაიმს გასტანა და უნდა ითქვას, რომ არველაძეცა და ტყებუჩავაც საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ.

შემდეგ ახალგაზრდულებმა სტანდარტულებზე წაიმუშავეს. ჯერ მარცხენა ფლანგიდან აწვდიდა ჯარიმას ტყებუჩავა — თავს ძირითადის ფეხბურთელები იცავდნენ (ვინც ირლანდიასთან სასტარტოში იყო), საჯარიმო მოედანში „მეტოქეები" რვა-რვაზე იყვნენ, ხოლო იქიდან გადმოვარდნილ ბურთზე კარში დასარტყმელად ალეკო კოშკაძე და ფურცელაძე იყვნენ შემართულნი. მარჯვენა ფლანგიდან კი არველაძე აწვდიდა, ხოლო კარში გუნდის პირველი მეკარე ზურაბ მამალაძე იდგა.

ამის მერე იყო გაჩერებული ბურთით კარში დარტყმები ოციოდე მეტრიდან. სწორედ ამ დროს მალხაზ ასათიანს



რევაზ არველაძე

თანაგუნდელებმა კარლ-ჰაინც რუმენიგე უწოდეს — ალბათ გარეგნობის და კიდევ იმის გამო, რომ ზემიწევნით ალღოიანი მოთამაშეა.

ამას მოჰყვა ფლანგური ჩაწოდებები მაღალი ბურთის კარში დარტყმებით.

შემდეგ არველაძემ შემტევთა ჯგუფი ცალკე იხმო — ირაკლი მოდებაძე, ირაკლი სამხარაძე, მიხეილ ბობოხიძე, ლადო ახალაია, მალხაზ ასათიანი და დავით სირაძე — ისინი ბურთის მიღება-დამუშავებაში და მყის კარის დალაშქვრაში წაავარჯიშა.

ბოლოს არველაძე კარს უკნიდან ისროდა ბურთებს ხელით და ფეხით — ხელით ნასროლი ბურთი შემტევებს თავით უნდა დაერტყათ კარში, ფეხით გადმოგდებული კი ფეხით.

ტყებუჩავამ კი ამის შემდეგ აზიდვებში ავარჯიშა შეგირდები.

სულ ეს იყო, დღეს კი ოცდაერთწლამდელები „ეროვნულზე" ივარჯიშებენ.

**დავით თავართქილაძე**

*შვეიცარიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჩამოსვლისთანავე „ისნის" სტადიონს მიაშურა და იქ ერთი საათი ივარჯიშა. ბერნარ შალანდემ შეგირდებს სასტუმროში დაბინავებაც კი არ აცალა, ისე მიაყენა გუნდი სტადიონს. ნავარჯიშევს შვეიცარიელთა დამრიგებელს მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ და ისიც საუბარზე თავაზიანად დაგვთანხმდა*

# შალანდეს საქართველო ედიდა

**— მომავალ მატჩზე რას იტყვით?**

— ვფიქრობ, ძალიან რთული თამაში გველის, საქართველოს ნაკრები არაფერს დათმობს და ბევრ პრობლემებს შეგვიქმნის, თუმც ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. ცხადია, სამი ქულის წასაღებად ჩამოვედით და დიდი იმედი გვაქვს, რომ შინ გამარჯვებულები გავბრუნდებით.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ ჩვენ ქართველებზე ძლიერები ვართ ან პირიქით. ასე რომ, ყველაფერს მატჩი გამოაჩენს. ჩვენთვის მთავარია, ტექნიკურ ქართველ ფეხბურთელებს არეალი შევუზღუდოთ და შეძლებისდაგვარად გასაქანი არ მივცეთ.

**— საქართველო — ირლანდიის მატჩი თუ ნახეთ?**

— დიახ, ამ მატჩს ვიდეოფირი რამდენჯერმე ვნახე და ბევრი რამ ჩავინიშნე. თქვენ გყავთ ძალიან ტექნიკური ფეხბურთელები, რომლებსაც ბურთი ფეხზე აქვთ მიმაგრებული და ზოგჯერ სასწაულებს სჩადიან. გარდა ამისა, ფიზიკურად ძლიერი და მაღალი ფეხბურთელები აუყვანია თქვენ ახალ მწვრთნელს. ერთი სიტყვით, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში „თავიანი" და ფიზიკურად ძლიერი ბიჭები თამაშობენ. ამასთან თქვენებმა ირლანდიელებს ტოლი არ დაუდეს თავით თამაშში. პირიქით, აჯობეს კიდეც. თანაც, როგორც შევამჩნიე, მოედნის საფარი მძიმე იყო, თქვენები კი ძალიან მაღლა ხტებოდნენ. ეს კი ბევრს ნიშნავს. შარშან ჩვენ რომ საქართველოს ნაკრებს მოვუგეთ, ის გაცილებით სუსტი გუნდი იყო, ვიდრე ახლანდელი.

**— ირლანდიასთან შეხვედრაში რომელი ქართველი მოგეწონათ?**

— სირაძე და ასათიანი. არა უშავდა ახალაიას.

**— თქვენ გუნდში ლიდერები ვინ არიან?**

— ჩვენ არ გვყავს გამოკვეთილი ლიდერი. შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრები გუნდურ თამაშზეა აწყობილი და თავისებურად ყველა ლიდერია. ერთსაც დავამატებ, გუნდში მყავს თექვსმეტი და ჩვიდმეტი წლის ბიჭებიც, რომლებიც უფროსებს ტოლს არაფერში უდებენ.

**— წელან მოედნის საფარი ახსენეთ. ზეგ იმ მოედანზე ითამაშებთ, სადაც საქართველომ ირლანდიას უმასპინძლა...**

— წაგება მოედნისა და მსაჯებისთვის არასდროს დაგვიბრალებია. თუ კარგი ფეხბურთელი ხარ ან კარგი გუნდი გყავს, მარცხის მიზეზი პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ეძებო. რა, მეტოქე იმავე მოედანზე არ თამაშობს, სადაც შენ? თუ წავაგეთ, ეს მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება.

საქართველოც და შვეიცარიაც შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. იმედია, გულშემატკივარს ლამაზ სანახაობას შევთავაზებთ.

**ბაჩო სვანიძე**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## ჩვენი ჯგუფი



კლოდიან დურო სტუმარ ტოჩილინს მარჯვედ ჩაუხტა

# რუსებს ალბანური თაფლი ემწარათ

**ალბანეთი 3:1 რუსეთი**

1:0 რაკლი (20), 1:1 კარიაკა (77), 2:1 ლალა (80), 3:1 ტარე (83)

*დურომ ვერ გაიტანა პენალტი (18, მეკარე)*

**ალბანეთი:** სტრაკოშა, ჩიპი, ბექირი, ალიაი, ლალა, დურო, შკელა (ნ. დედე 84), ბ. ჰასი, მურატი (ბელაი 68), ტარე, რაკლი (მურტაი 71)

**მწვრთნელი:** ჰანს-პეტერ ბრიგელი

**რუსეთი:** ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, სმერტინი (იანოვსკი 73), სემაკი (სოლომატინი 50), ა. ბერეზუცკი, ალდონინი, გუსევი (კარიაკა 59), ტოჩილინი, ლოსკოვი, კერჟაკოვი

**მწვრთნელი:** ვალერი გაზაევი

**გაფრთხილება:** ბერეზუცკი, ნიჟეგოროდოვი

**მსაჯი:** პოლ ალერტი (ბელგია)

16 000 მაყურებელი

**ვოლგოგრადში** მოხრჩობილ ალბანელებთან რიხით ჩავიდნენ რუსები. ჩავიდნენ და კისერიც წაიტეხეს. კარლ-ჰაინც ბრიგელის ბრწყინვალე დებიუტი ყელში გაეჩხირა ვალერი გაზაევს. უპირობო გამარჯვებაში დარწმუნებულ რუსებს ჭკუისსასწავლებელი გაკვეთილი ჩაუტარეს ბრიგელის ყოჩაღმა ბიჭებმა. საფეხბურთო ამბავში ჯუჯა ალბანეთი (რუსთა მატჩამდელი შეფასებით) 90 წუთში ბეჭდაუდებელ ფალავანად წარმოჩინდა გაზაევის უსუსური სამწყსოს ფონზე.

რუსეთს სჩვევია წარმატებული სვლისას მსგავსი ჩაფლავება, მაგრამ შკოდერში ჩრდილოელთა შერცხვენას ბევრი ვერ წარმოიდგენდა. წაგებაცაა და წაგებაც. მორჩილი, ფულგადახდილი მეძავივით დანებდა რუსი.

რუსულმა მედიამ კოლოსკოვის კარზე მიაკაკუნა, მაგრამ პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, გაზაევი ნაკრებში მუშაობას გააგრძელებს, ერთ მარცხს ვერ გადავაყოლებთ, მით უფრო, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვსო.

შკოდერში ყველაფერი მართლაც ცნობილი რუსული მულტფილმივით დატრიალდა — თაფლზე მისულ ვინიპუხს ფუტკრები რომ დაასივებენ. სწორედ თაფლისთვის (სამი ქულისთვის) ჩავიდა დათვი ალბანეთში და ბრიგელის მუშა ფუტკრებმა შერცხვენილი გააბუნძულა უკან.

„პირველ ტაიმში ჩვენ არაფერი გამოგვივიდა, მაგრამ შესვენების შემდეგ მწყობრად ავთამაშდით და უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით" — ამას ამბობს კაცი, რომელმაც სწორედ მეორე ტაიმი წააგო პირწმინდად. როგორც ჩანს, ჯერაც შოკშია ვალერი გაზაევი, თორემ იმასაც არ იტყოდა, მსაჯებმა წაგვაგებინეს თამაში, სამივე გოლი წესების დარღვევით გაგვიტანა მეტოქემო.

მასპინძელთა გოლებში ბელგიელ მსაჯს ნაღდად არ დაუდია წილი, ეგებ, დებიუტში ზედმეტი მოუვიდა, საეჭვო პენალტი რომ დანიშნა სტუმართა კარში, მაგრამ ეს შანსი ოვჩინიკოვმა არ გამოაყენებინა კლოდიან დუროს და სხვამხრივ მსაჯობაზე სტუმრებს საწუწუნო არაფერი უნდა ჰქონდეთ — ალბანეთმა ყველა საფეხბურთო კომპონენტში დააჩოქა ფავორიტი მეტოქე და დამსახურებულად გაიმარჯვა.

ეჰ, წყალწაღებულო საქართველოვ! ჯგუფიდან გასვლაზეც ალაპარაკდა ბრიგელი, თუმც რას ერჩი, პირველივე მატჩში დაამტკიცა ამ კაცმა თავისი სამწვრთნელო შესაძლებლობები, და, ეტყობა სჯერა საკუთარი თავის. გუნდს თუ მწვრთნელი ჰყავს, საქმის კეთებაც არ უნდა გაუჭირდეს და რა ჭირთ ჩვენი დასაძრახი ალბანელებს, „დიარბაქირებში", „ირაკლისებში" და ევროპის მეორეხარისხოვან კლუბებში მოთამეშე ფეხბურთელებით თუ არ უშინდებიან საქმის კეთებას.

რუსებთან რომ ალბანეთი საქმის გამკეთებელი იყო, თავიდანვე გამოჩნდა, მასპინძლებმა გაცუდებული პენალტი არაფრად ჩააგდეს, ფსიქოლოგიურ ტვირთს მხრები არ შეუშვირეს და მწყობრი, გააზრებული შეტევებით ნელნელა შეუდგნენ რუსთა მსხვრევას. ამაში ნაწილობრივ ალბანელებს თავად რუსებიც დაეხმარნენ. გაზაევის უკანახაზელებმა თამაში ჩააგდეს. ნიჟეგოროდოვმა, გუსევმა და ბერეზუცკიმ საზიზღრად ითამაშეს. მეტოქის გოლებს სამივემ შეუწყო ხელი. განსაკუთრებით გუსევი სცოდავდა, ბერეზუცკიმ კი სულაც ორ გოლში მიჰქარა. თუმც მთლად ამათ კისერზე ნუ გადავიტანთ ფავორიტის დამარცხებას, კარიაკას გარდა სხვებსაც არაფრით გამოუჩენიათ თავი. ერთი შეხედვით კერჟაკოვი ბევრს მოძრაობდა, მაგრამ ალბანელთა დაცვას პეტერბურგელი ფორვარდი საიმედოდ ჰყავდა ჩაკეტილი.

გაზაევს კი თითზე საკბენად ჰქონდა საქმე, ახალგაზრდა სიჩოვი ოლიმპიურ ნაკრებს რომ მიუგდო, რუს პაპენად მონათლულ „მარსელის" შემტევს ეგებ ბევრიც ვერაფერი შეეცვალა, მაგრამ უჯიგროდ მობურთალ ტოჩილინს ნაღდად აჯობებდა. მით უფრო, რომ ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან გოლიც შეაგდო და დაამტკიცა, რომ საუკეთესო ფორმაშია.

გაზაევის მიერ ნაქებ მეორე ტაიმში რუსეთმა ერთადერთხელ დაარტყა მეტოქის კარში — ალბანელთა ხუთის სანაცვლოდ და ის ერთი დარტყმაც გოლად აქცია. კარიაკამ სემაკის ზუსტი გადაცემა გამოიყენა და მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში შეჭრილმა აუღებელი დაურტყა ბებერ სტრაკოშას.

წესით და რიგით, ალბანეთი აქ უნდა გატეხილიყო, თუმც უადგილო გამოდგა რუსეთის ტელევიზიის კომენტატორის ისტერიული შეძახილი „ა ტეპერ, პაკაჟიტე, იხ რებიატა!". ვინ ვის აჩვენა, მალე გამოჩნდა. იმ ეპიზოდისას სათადარიგოთა სკამიდან მთელი მატჩის განმავლობაში მესამედ წამომდგარმა ბრიგელმა ოცწამიანი ინსტრუქტაჟი ჩაუტარა შეგირდებს და ალბანეთმაც დაჭრილი მხეცივით გაიწია, გაიწია და გაიტანა კიდეც. ალთინ ლალას თოჯინა არ სჭერია ხელში, თორემ იმასაც მიუგდებდა ბავშვივით მოტყუებულ ბერეზუცკის და იგნაშევიჩს. ჰანოვერელმა სათადარიგომ ოვჩინიკოვსაც შეუსრულა და ჩინეთივით გაწითლებულმა ტრიბუნებმაც იხუვლეს. სამი წუთიც არ იყო გასული და იგლი ტარემ გააბითურა რუსები — 3:1 და რუსი კომენტატორი მაინც „ნი ვსიო პატერენა"-ო ყვიროდა. იმ წუთისთვის გაზაევის გუნდს ყველაფერი დაკარგული ჰქონდა. გადაჭედილ ტრიბუნაზე ორკესტრი უკრავდა — ეს ბრიგელის ორკესტრი იყო.

გამწარებულმა რუსმა ჟურნალისტებმა გაზაევს სერიოზული ნაკლი აღმოუჩინეს — სტუმრად თამაში არ იცისო. ნუ იჩქარებთ, კოლეგებო, აცალეთ ამ კაცს თბილისში ჩამოსვლა...

**პაატა ქვანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:6 | 6 |
| ალბანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

*2 აპრილი: ალბანეთი — ირლანდია*
*საქართველო — შვეიცარია*



სერგეი ოვჩინიკოვმა თანაგუნდელ ნიჟეგოროდოვს ბოროტად გახედა

## ქრთამი!

დამწვრის სუნია. ალბანეთი — რუსეთის მატჩს ბოლი აუვიდა. როგორც თავად რუსები იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს. ცეცხლი კი სად იყო? — შკოდერში, სადაც გაზაევი ჰანს-პეტერ ბრიგელმა დაბუგა. თუმცა ცეცხლის სხვა კერაც შეიძლება არსებობდეს. ალბანურმა ინტერნეტ-გაზეთმა „სპორტი შკიპერიამ" ქრთამის დაძალება დაგვაბრალაო, ამბობენ რუსები. რუსულ ვებგვერდებზე გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს „სპორტი შკიპერიას" გაუვრცელებია ცნობა: მატჩამდე სტუმრებმა 300 ათასი დოლარი შემოგვთავაზეს სამი ქულის სანაცვლოდო. „სპორტ სეგოდნიას" კორესპონდენტის თქმით ზემოთხსენებული გაზეთის რედაქციაში დარეკეს, საიდანაც პასუხად გაოცება მიიღეს, მსგავსი რამ ჩვენს გაზეთში არ ყოფილა და ქრთამის თაობაზე მხოლოდ თქვენგან შევიტყვეთო. ვინ იცის, როგორ იყო.

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

**ალბანეთი 1:4 რუსეთი**

0:1 როგოჩი (30), 0:2 პავლიუჩენკო (54), 0:3 სიჩოვი (82), 0:4 გოგნიევი (86), 1:4 ბოშნიაკუ (90პ)

**ალბანეთი:** დინუ, ნდრეკა, შეტა, მაკაი, აგოლი, ბაბამუსტა, ბულკუ, ბელიშა, მუზაკა (ბოშნიაკუ 68), მანჩაკუ, კაჩი (ბალკო 37)

**მწვრთნელი:** ჰასან ლიკა

**რუსეთი:** გაბულოვი, კუზმინი, როგოჩი, ბელოზეროვი, ევსიკოვი, ბობერი, კუდრიაშოვი (კოლოდინი 58), კუსოვი (იზმაილოვი 46), არშავინი (გოგნიევი 46), სიჩოვი, პავლიუჩენკო

**მწვრთნელი:** ანდრეი ჩერნიშოვი

**მსაჯი:** ანტონიუ მანუელ კოშტა (პორტუგალია)

2 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ალბანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

**I ჯგუფი**

კვიპროსი 2:0 ისრაელი
საფრანგეთი 2:0 მალტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 7:0 | 12 |
| კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ისრაელი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 0:9 | 0 |

**II ჯგუფი**

ბოსნია 1:0 ლუქსემბურგი
რუმინეთი 0:1 დანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ბოსნია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| დანია | 3 | 2 | 0 | 1 | 10:3 | 6 |
| რუმინეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | 3 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:12 | 0 |

**III ჯგუფი**

ჰოლანდია 0:3 ჩეხეთი
ბელარუსი 3:1 მოლდოვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ბელარუსი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ჰოლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

**IV ჯგუფი**

პოლონეთი 3:2 უნგრეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 9 |
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

**V ჯგუფი**

შოტლანდია 1:0 ისლანდია
გერმანია 1:0 ლიტვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| შოტლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ლიტვა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

**VI ჯგუფი**

სომხეთი 2:0 ჩრდ. ირლანდია
უკრაინა 0:0 ესპანეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| უკრაინა | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| სომხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

**VII ჯგუფი**

პორტუგალია 4:2 ინგლისი
მაკედონია 0:2 სლოვაკეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:5 | 6 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| მაკედონია | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 0 |

**VIII ჯგუფი**

ხორვატია 1:1 ბელგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

**IX ჯგუფი**

უელსი 1:0 აზერბაიჯანი
იტალია 1:0 ფინეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| ფინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| უელსი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| სერბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:7 | 4 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:11 | 0 |



# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი



საფრანგეთი — მალტა. ევროპის ჩემპიონთა ახალმა კაპიტანმა ზინედინ ზიდანმა ლუკ დიმეჩი ახლოს არ გაიკარა

REUTERS

## I ჯგუფი

## მშვიდად, ჩვენ მოვიგებთ!

**საფრანგეთი 6:0 მალტა**

**1:0 ვილტორდი (37), 2:0, 3:0 ანრი (39, 54), 4:0 ზიდანი (57პ), 5:0 ტრეზეგე (70), 6:0 ზიდანი (80)**

**საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი (სანიოლი 66), გალასი, სილვესტრი, ლიზარაზუ, მაკელელე, პედრეტი, ზიდანი, ვილტორდი (გოვუ 75), ანრი (როტენი 81), ტრეზეგე**

**მალტა: მუსკატი, ჩიანტარი, კარაბოტი, საიდი, მამო (ჩეტკუტი 71), დიმეჩი, ველა, მალია, დ. ბოგდანოვიჩი (ტურნერი 62), მიფსუდი, ნვოკო**

**მსაჯი: ემილ ბოჟინოვსკი (მაკედონია)**

**36 000 მაყურებელი**

**უნდა ითქვას**, რომ მალტელებმა ევროპის ჩემპიონებს ყოჩაღი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ პირველი ტაიმი დასასრულს რომ მიუახლოვდა, სილვენ ვილტორდმა და ტიერი ანრიმ ორწუთიან მონაკვეთში თითო გოლი გაიტანეს და მოგებულ-წაგებულის ამბავიც იქ გაირკვა.

მეორე ტაიმის მე-9 წუთზე ანრიმ კიდევ ერთხელ შეაგდო — ნაკრების შემადგენლობაში ახლა უკვე 16 გოლი აქვს გატანილი, — 57-ე წუთზე კი ზინედინ ზიდანმა პენალტით ოთხამდე გაზარდა სხვაობა

ამის მერე მალტელების კარში კიდევ ორი გოლი გავიდა: ანრის მოზომილი ჩაკიდებით დავიდ ტრეზეგემ მეხუთე შეაგდო, ხოლო საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე კაპიტნად არჩეულმა ზიდანმა მეექვსე და ბოლო გაიტანა.

„თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი მალტელები თავს დაიცავენ და გოლს მალევე თუ ვერ გავიტანთ, ამის გამო მოთმინება არ დაკარგოთ-მეთქი — თქვა ზიდანმა მატჩის შემდეგ — ორი გოლის გატანამ სასიამოვნოდ მომაგონა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. თან, ისევ თავით შევაგდე...“

ფრანგთა მწვრთნელმა, ჟაკ სანტინიმ კი ზიდანზე ასე ბრძანა: „ზიდანს კაპიტნის სამკლავური ბევრს არაფერს ჰმატებს, ის ისედაც დიდი ფეხბურთელია და არასდროს უცდია პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. აქ, მეტი არაფერია სალაპარაკო“.

ახლა კი ანრის ამბავი მოვყვეთ:

„დასვენებული გახლდით, რადგან სამშაბათს, ინგლისის ასოციაციის თასზე, „ჩელსისთან“, თავიდანვე არ მითამაშია. სანაკრებო შეხვედრაშიც პირველივე წამიდან სხვებთან ერთად ჩავერთე. აი, „ჩელსისთან“ მთელი მატჩის განმავლობაში რომ მერბინა, მაშინ სხვა იქნებოდა. საერთოდ ასეა, თუ კვირას კლუბის შემადგენლობაში თამაშობ, ოთხშაბათს, ეროვნულ გუნდში შებოჭილი და დაღლილი გამოდიხარ“. — თქვა მალტელთა კარში დუბლის ავტორმა.

**პაპუნა ძიძია**

**კვიპროსი 1:1 ისრაელი**

**0:1 აფეკი (3), 1:1 რაუფმანი (61)**

**კვიპროსი: პანაიოტუ, კონაფისი, იოაკიმი (ნიკოლაუ 46; დასკალაკისი 77), სპირუ, თეოდოტუ, ვ. ტომიჩი, ოკასი, მ. კონსტანტინუ, კაიაფასი, ოკარიდისი, ენგომიტისი (რაუფმანი 60)**

**ისრაელი: ავატი, ხარაზი, ბენ-ჰაიმი, ბენადო, ბადირი (აბუქსისი 83), კეისი, ბანინი, რევივო, აფეკი (ბენაიუნი 73), ზანდბერგი (ნიმნი 66), ტალი**

**მსაჯი: მაიკლ მაკკარი (შოტლანდია)**

**14 000 მაყურებელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 17:1 | 12 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კვიპროსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 1:17 | 0 |

*2 აპრილი: სლოვენია — კვიპროსი*
*ისრაელი — საფრანგეთი*

## II ჯგუფი

## ვინც წავიდა, გაუმარჯოს!

### წაგებულის ლოგიკა: ბოდიში მოიხადა და ქუდი დაიხურა

**რუმინეთი 2:5 დანია**

**1:0 მუტუ (5), 1:1 რომედალი (8), 2:1 მუნტიანუ (47), 2:2 გრავესენი (54), 2:3 ტომასონი (73), 2:4 კონტრა (75ს.კ.), 2:5 რომედალი (90)**

**რუმინეთი: ლობონტი, კონტრა, რადოი, ფილიპესკუ, კივუ, პოპესკუ, კოდრია (რებეკამპფი 64), დ. მუნტიანუ, განია, მუტუ, პანჩუ (ბრატუ 71)**

**დანია: სორენსენი, რიტერი (მიკაელსენი 35), ჰენრიკსენი, მ. ლაურსენი, ნ. იენსენი, კ. პოულსენი (ვიგჰორსტი 71), გრავესენი, ლოვენკრანდსი (იორგენსენი 46), ტომასონი, რომედალი, სანდი**

**მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)**

**60 000 მაყურებელი**

**ანგელ იორდანესკუ** მატჩის შემდეგ პოსტიდან გადადგა. იგი გენერლის პუნქტუალურობით გამოცხადდა პრესკონფერენციაზე და თქვა: „ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე. ამ ვითარებაში ერთადერთი ლოგიკური გამოსავალი ისაა, რომ ნაკრებიდან წავიდე. გუნდმა ორი საშინაო მატჩი წააგო. ფეხბურთელებს და გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი. პასუხისმგებლობა მთლიანად მე მეკისრება, ამიტომაც მივიღე ეს გადაწყვეტილება. ნაკრებს მომავალი ნამდვილად აქვს. მას ახალი მწვრთნელი სჭირდება“.

1993-98 წლებში ანგელ იორდანესკუ ერთხელ უკვე წვრთნიდა რუმინეთს. მისი თაოსნობით აშშ-სა და საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზეც უთამაშიათ. გენერალი ნაკრებს შარშან იანვარში მას შემდეგ დაუბრუნდა, რაც გეორგე ჰაჯიმ კორეა-იაპონიის საგზური ვერ მოიპოვა. მთავარ მწვრთნელს ორი ვეტერანიც მიჰყვა — გეორგე პოპესკუ და იულიან ფილიპესკუ. მათ სანაკრებო მოღვაწეობა დაასრულეს.

მატჩის დასაწყისი რუმინელებს ცუდს არაფერს უქადდა. ადრიან მუტუმ მეხუთე წუთზევე მუნტიანუს პასი გოლად აქცია. დანიელებმა მალევე გაათანაბრეს. მარცხენა ფლანგიდან თომას გრავესენმა საჯარიმოში ჩაჰკიდა. ბოგდან ლობონტი გამოსვლაზე შეცდა. ვერ მოიხელთა ბურთი, რომელიც დენის რომედალს მიუგორდა და მასაც გატანა არ გასჭირვებია.

შესვენებამდე მასპინძლებმა რამდენიმე შეტევა კიდევ გაახერხეს, მაგრამ სორენსენის კარს საგოლედ არ დამუქრებიან. თავის მხრივ იონ დალ ტომასონს შეეძლო გატანა, თუმცა ლობონტთან პირისპირ გასულს მეკარემ აჯობა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ადრიან მუტუ ორ მცველს გასცდა, მუნტიანუს მიაწოდა და მან თომას სორენსენს ბურთი კარიდან გამოატანინა. რუმინელების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. საჯარიმოს გარეთ ებე სანდის შესახვედრად ბოგდან ლობონტი გამოვიდა. ბურთი ცენტრისკენ მოიგერია, სადაც მას თომას გრავესენი დახვდა და პირდაპირ კარში დაუბრახუნა. მეკარე, ცხადია, ვერ მიუსწრებდა და ანგარიში გათანაბრდა. ამ გოლს მასპინძელთა კიდევ ორი შეცდომა მოჰყვა. ლაურენტიუ რეგეკამპფმა ბურთი თავით კი დაუგდო მეკარეს, მაგრამ ტომასონმა დაასწრო და „ვიკინგები“ დააწინაურა. ორ წუთში კოზმინ კონტრამ ავტოგოლი მიითვალა და რუმინელები გატყდნენ. გასათანაბრებლად მომართულ დამხვდურებს ჯანი აღარ ეყოთ, მატჩის ბოლოს კი დენის რომედალმა თავისი მეორე გოლიც გაიტანა.

მორტენ ოლსენი, დანიის ნაკრების მწვრთნელი: „რუმინეთის დონის გუნდთან სტუმრად თამაში ძნელია, მაგრამ ჩვენ გაგვიმართლა, რადგან ორჯერვე სწრაფად გაქვითვა შევძელით. ეს ძალიან უცნაური მატჩი იყო“.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ბოსნია 2:0 ლუქსემბურგი**

**1:0 ბოლიჩი (54), 2:0 ბარბარესი (77)**

**ბოსნია: ჰასაგიჩი, ბიშჩევიჩი (ბერბეროვიჩი 68), მუსიჩი, კონჯიჩი, ბაირამოვიჩი, ალიხოჯიჩი, ბოლიჩი (ტურკოვიჩი 82), ბესლია (პრგოვიჩი 80), ბარბარესი, გრუიჩი, ბალიჩი**

**ლუქსემბურგი: ბესიჩი, პეტერსი, ფედერშპილი, ე. ჰოფმანი, შტრასერი, რემი, შულსი, მოლიტორი, გ. ბრაუნი (ს. შნაიდერი 88), ლევეკი (დი დომენიკო 79), კრისტოფი (ჰასი 86)**

**მსაჯი: იუნი პიიტია (ფინეთი)**

**12 000 მაყურებელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12:6 | 6 |
| ბოსნია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:11 | 0 |

*2 აპრილი: ლუქსემბურგი — ნორვეგია*
*დანია — ბოსნია*



REUTERS

რუმინეთი — დანია. თომას გრავესენმა (მარჯვნივ) სტუმართა მეორე გამთანაბრებელი გაიტანა, მერე კი დაიწყო...

## III ჯგუფი

## შეუტიე და არ გაუშვა

### ჩეხები მილანმა იხსნა

**ჰოლანდია 1:1 ჩეხეთი**

**1:0 ვან ნისტელროი (45), 1:1 კოლერი (68)**

**ჰოლანდია: ვატერეუსი, რიკსენი, სტამი, ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი (ვან დერ ვაარტი 39), ზეედორფი, ვან ბომელი, დავიდსი, ზენდენი, ვან ნისტელროი (მაკაი 81), კლუივერტი**

**ჩეხეთი: ჩეხი, გრიგერა, უიფალუში, გალაშეკი, ბოლფი, იანკულოვსკი, შმიცერი (ჟირანეკი 79), პობორსკი, კოლერი (ლოკვენცი 88), როსიცკი (ბაროში 68), ნედვედი**

**მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)**

**46 000 მაყურებელი**

**ჯგუფის** ლიდერები როტერდამში, „დე კუიპზე“ შეიყარნენ. მეტოქეების მეტისმეტი სიფრთხილის გამო მატჩი საგოლე მომენტების სიმწირით გამოირჩა. ძირითადად ბრძოლა მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა და გუნდები არგაშვებაზე ზრუნავდნენ, რადგან წაგება არც ერთს არ სურდა.

პირველად სახიფათოდ კლარენს ზეედორფმა დაარტყა და ბურთმა პეტერ ჩეხის კარის ძელთან ახლოს ჩაიწუილა. მოგვიანებით ფერნანდო რიკსენის პასი რუუდ ვან ნისტელროიმ ვერ შეირგო — მანჩესტერელს მიზანმა უღალატა. მასპინძელთა სადებიუტო ზეწოლის შემდეგ ჩეხებმა თამაში გამოასწორეს და დალაგდნენ, თუმც რონალდ ვატერეუსის კართან ხეირიანი ვერაფერი შექმნეს. ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე დიკ ადვოკაატმ ტრავმირებულია ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი რაფაელ ვან დერ ვაარტით შეცვალა და გოლიც მოიმკო. აიაქსელმა მარცხენა ფლანგზე ედგარ დევიდსი მოძებნა, რომელმაც შორეულ ძელთან ჩაჰკიდა. იქ ბურთს ვან ნისტელროი დაუხვდა და ზუსტი თავურით გაიტანა.

მანჩესტერელს მეორე ტაიმის დასაწყისში სხვაობის გაზრდა შეეძლო, მაგრამ კლარენს ზეედორფის პასი გაანიავა. ორიოდ წუთში სტუმრებს კარგი მომენტი შეექმნათ, ტომაშ როსიცკი საჯარიმოში შეენთო, ბურთი ვატერეუსის გვერდით კი გააპარა, მაგრამ კარის ხაზთან იაპ სტამი დაუხვდა და ხიფათი შორს მოისროლა.

ახლახან მოკეთებული როსიცკი ჯერ საუკეთესო ფორმაში არაა და მწვრთნელმა იგი მილან ბაროშით შეცვალა. კარელ ბრუკნერმა, თავისი კოლეგის მსგავსად, შეცვლა გამოიცნო. „ლივერპულის“ ფორვარდმა იან კოლერს შესვლისთანავე საგოლე პასი გაუჩარხა და ჩეხმა გიგანტმაც ახლოდან გაათანაბრა.

ამის შემდეგ გუნდები საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვას გადაჰყვნენ და პატრიკ კლუივერტის ერთ უხეირო თავურს თუ არ ჩავთვლით, საინტერესო არაფერი მომხდარა.

დიკ ადვოკაატი, ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი: „პირველ ტაიმში მეტი უპირატესობა და საგოლე მომენტებიც გვქონდა. გუნდიც იმას თამაშობდა, რაც დავავალე. არგასაშვები გოლი გავუშვით და მნიშვნელოვანი ორი ქულა დავკარგეთ“.

კარელ ბრუკნერი, ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი: „ვიცოდი, რომ ჰოლანდია ჩვენს გატეხვას თავიდანვე შეეცდებოდა, მაგრამ არც მე მყავს ჯაბანი ფეხბურთელები. მათ დავალებას კარგად გაართვეს თავი და ფრეც დაიმსახურეს“.

**ბელარუსი 2:1 მოლდოვა**

**0:1 ჩებოტარი (14), 1:1 კუტუზოვი (43), 2:1 გურენკო (58)**

**ბელარუსი: ტუმილოვიჩი, კულჩი, ოსტროვსკი, ომელიანჩუკი, ლავრიკი, გურენკო, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, შუნეიკო, გლები (რომაშჩენკო 80), კუტუზოვი (კოვბა 88)**

**მოლდოვა: ხმარუკი, კოვალენკო, რებეჟა, ტესტიმიცანუ, კატინსუსი, პრიგანიუკი, კოვალჩუკი, ოლექსიკი, როგაჩოვი (პოპოვიჩი 25; ბერკო 62), ჩებოტარი (გოლბანი 79), კლეშჩენკო**

**მსაჯი: იოჰან ვერბისტი (ბელგია)**

**8 000 მაყურებელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ავსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

*2 აპრილი: ჩეხეთი — ავსტრია*
*მოლდოვა — ჰოლანდია*

## IV ჯგუფი

**პოლონეთი 0:0 უნგრეთი**

**პოლონეთი: დუდეკი, ი. ბაკი, ჰაიტო, სტოლარჩიკი, შიმკოვიაკი, კალუჟნი, სვიერჩევსკი, კ. კოსოვსკი, ზაიაცი (დავიდოვსკი 71), კუჟბა, ოლისადებე**

**უნგრეთი: კირალი, ჩ. ფეჰერი, ურბანი, დრაგონერი, იუჰარი, ლიპჩეი, დარდაი, ლისტეში, ლიოვი, ა. ტოკოლი (ბოორი 85), კენეშეი (შებოკი 69)**

**მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)**

**48 000 მაყურებელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 4 |
| შვედეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

*2 აპრილი: პოლონეთი — სან მარინო*
*უნგრეთი — შვედეთი*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## V ჯგუფი



REUTERS ნიურნბერგიდან

გერმანია — ლიტვა. ოლივერ კანმა ტომას რაჟანაუსკასისგან ბალტიისპირელთა ისტორიული გოლი გაუშვა

# ბეკენბაუერმა დისკუსია აკრძალა

**გერმანია 1:1 ლიტვა**

**1:0 რამელო (8), 1:1 რაჟანაუსკასი (73)**
**გერმანია: კანი, ფრიდრიხი, რამელო, ვიორნსი, რაუ (ფრაიერი 82), ბ. შნაიდერი, ჰამანი, ფრინგსი, ბიომე (რემერი 46), ბობიჩი (კურანი 72), კლოზე**
**ლიტვა: სტაუჩე, დედურა, ბარასა, ჟვირგჟდაუსკასი, შემბერასი, პეტრენკო (ჯიაუკშტასი 87), მორინასი, რაჟანაუსკასი, მიკალაიუნასი, პუკელევიჩუსი (მაცულევიჩუსი 46), იანკაუსკასი (ფომენკა 90)**
**მსაჯი: ხოსე ესკინას ტორესი (ესპანეთი)**
**40 754 მაყურებელი**

**თუ რამ** მოხდება გერმანულ ფეხბურთში, ფრანც ბეკენბაუერის სიტყვა ყოველთვის წონადია. ამჯერად კაიზერ ფრანცმა გაზეთ „ბილდს" გადაუშალა გული: „გავიხსენოთ რა ხდებოდა კორეა-იაპონიის წინ. ჩვენ მაშინ მოკრძალებულნი გახლდით და ვამბობდით, თუ მეოთხედფინალამდე მივაღწიეთ ამითაც კმაყოფილნი დავრჩებითო — და უცბად ვიცე-ჩემპიონობას მივაღწიეთ. ახლა კი ვხედავთ, რომ ამ მსოფლიო ჩემპიონატმა თავგზა აგვიბნია, თითქოს სწორი გზიდან გადაგვახვევინა".

ბეკენბაუერმა ნაკრების ფეხბურთელებს მებრძოლი სულისკვეთება დაუწუნა და დასძინა: „ლიტვა მისივე სახლში უნდა დავამარცხოთ — არ შეიძლება, ამაზე რაიმე დისკუსია მოვაწყოთ. თავის გასამართლებელი არაფერი გვაქვს. მეტოქე მთელი მატჩის განმავლობაში უნდა მოვაქციოთ ზეწოლის ქვეშ და არა მარტო პირველი 15 წუთი. მტკივნეულია, ასე რომ გავარიავეთ ქულები. ძნელად წარმოსადგენია, რომ ჯგუფში პირველი ადგილი ვერ დავიკავოთ. შოტლანდიას დიდი ტალანტები არ მოეძევება, მაგრამ მათ შეუძლიათ იბრძოლონ, იბრძოლონ და იბრძოლონ. თუ ჩვენი ფეხბურთელები ასევე არ მიუდგებიან საქმეს, ლიტვის ღარ გუნდებზე ხშირად წავბორძიკდებით".

მაშ ასე, ბერტი ფოგტსის შოტლანდიამ გერმანიას გადაუსწრო და ინტრიგაც შეიბრაწა.

ბუნდესნაკრებმა მატჩი კარგად დაიწყო და კარსტენ რამელოს ჭკვიანური გარჯით დაწინაურდა კიდეც. მერე ფიოლერის ბიჭები მოეშვნენ, ერთ-ორი კარგი შანსიც გაანიავეს, ხოლო ბერნდ შნაიდერს მსაჯმა ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა. ლიტველთაგან კი შუახაზელი ტომას რაჟანაუსკასი გამოირჩა და ისტორიული ფრე გაახერხა სამშობლოსთვის.

„ეს ის არ არის, რაც გონებაში გვქონდა. ყველაფერი სხვანაირად მოხდებოდა, მეორე გოლი რომ გაგვეტანა. რაც გავაკეთეთ, საკმარისი არ აღმოჩნდა" — თქვა ნამატჩევს რამელომ.

გერმანელებს ტრავმირებული მიხაელ ბალაკი აკლდათ და ამიტომაც ერთობ ნაცრისფრად ითამაშეს ნახევარდაცვაში. შემტევები ფრედი ბობიჩი და მიროსლავ კლოზე დიდებულ ფორმაში არიან, მაგრამ მოედნის სიღრმიდან მათი პასებით კარგად ვერ კვებავდნენ. 22 წლის ვოლფსბურგელი მცველი ტობიას რაუ კი ხშირად ცდებოდა.

**შოტლანდია 2:1 ისლანდია**

**1:0 მილერი (12), 1:1 გუდიონსენი (48), 2:1 უილკი (70)**
**შოტლანდია: დუგლასი, უილკი, პრესლი, დეილი, ალექსანდერი, ბ. ფერგიუსონი, ლამბერტი, მათჩისონი (დევლინი 66), ნეისმიტი, მილერი (მაკნამარა 82), კროუფორდი**
**ისლანდია: არასონი, ტორსტეინსონი, ლ. სიგურდსონი, ბერგსონი, გუნარსონი (ტ. გუდიონსონი 74), კრისტინსონი, ი. გუდიონსონი, ინგიმარსონი, ვიდარსონი (ი. სიგურდსონი 83), გუდიონსენი (გუდმუნდსონი 89), გრეტარსონი**
**მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)**
**37 548 მაყურებელი**

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ლიტვა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ფარერები | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

*2 აპრილი: ლიტვა — შოტლანდია*



REUTERS გლაზგოდან

შოტლანდია — ისლანდია. კენი მილერმა (ცენტრში) სქოთთა პირველი გოლი გაიტანა და მეგობრებიც გაახარა

## VI ჯგუფი

# ვალერონი ვალერიანის წვეთებს ეძებდა

## კასილიასი — გორშკოვის დარტყმულ ბურთს

**უკრაინა 2:2 ესპანეთი**

**1:0 ვორონინი (11), 1:1 რაული (83), 1:2 ეჩებერია (86), 2:2 გორშკოვი (90)**
**უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ფიოდოროვი, ტიმოშჩუკი, კორმილცევი (კალინიჩენკო 62), დმიტრულინი, გუსინი, გორშკოვი, შევჩენკო (სერებრიანიკოვი 67), ვორონინი, ვორობეი**
**ესპანეთი: კასილიასი, სალგადო, მარჩენა, მ. სესარი, არანსაბალი, ხ. ეჩებერია, ბარახა, ალბელდა (ხავი 65), ვისენტე (ტრისტანი 75), რაული, გუტი (ვალერონი 65)**
**მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)**
**80 000 მაყურებელი**

მატჩის დასრულებამდე წამები რჩებოდა. ანდრეი გუსინმა მარცხნიდან საჯარიმოს წინ ბურთი ჩაჰკიდა, რომელსაც გორშკოვმა ისეთი ძალით ამოუჭირა, რომ ალბათ ცხრა კასილიასიც ვერ აიღებდა. ლამაზმა გოლმა უკრაინელებს ქულა მოუტანა.

ლეონიდ ბურიაკი, ცხადია, გახარებული იყო: „შედეგით კმაყოფილი ვარ. ფანტასტიკური გოლი რომ არა, შეიძლება წაგვეგო, მაგრამ ბიჭებზე აუგს არც მაშინ ვიტყოდი. გულშემატკივართა მხარდაჭერით მეტოქეს ქულა გამოვგლიჯეთ. ძნელია, სიტყვით გამოვთქვა ის, რაც ბოლო წამებზე განვიცადე. მართალია, თავიდან ვიგებდით, მაგრამ თამაშის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი გვაქვს. ზოგიერთ ჩემს ფეხბურთელს პოზიცია შევუცვალე და შეცდომებიც ამით იყო გამოწვეული."

ინაკი საესი იმას მისტიროდა, რამაც ბურიაკი გაახარა: „სამი ქულა თითქმის ჯიბეში გვედო და ბოლოს დასანანი გოლი გავუშვით. ეს მატჩი რომ მოგვეგო, ფაქტობრივად პორტუგალიაში ადგილს ვიბევებდით. სწრაფი გოლით გალაღებულმა მასპინძლებმა პირველ ტაიმში ფეხის განძრევის საშუალება არ მოგვცეს, მაგრამ შესვენების შემდეგ ბურთი ჩვენ მოვიგდეთ და ლოგიკური გოლებიც გავიტანეთ. გორშკოვის გოლი მართლაც შესანიშნავი იყო და მატჩიც სანახაობრივად ლამაზი გამოვიდა."

უკრაინელები ვორონინის გოლით დაწინაურდნენ. ანდრეი შევჩენკომ ბურთი მარჯვნიდან კარის წინ გაისროლა. ესპანელ მცველებს მოგერიებისას ფეხები აებლანდათ და მათ ზურგსუკან ჩასაფრებულ ვორონინს ახლოდან გატანა არ გასჭირვებია. ასეთმა დასაწყისმა პირენეელები გვარიანად არია და პირველი ტაიმის ბოლომდე ქაოსურად უტევდნენ — კარში უხეიროდ ურტყამდნენ, პასები კი არ გამოსდიოდათ.

შესვენების შემდეგ შოვკოვსკის თავის მოსაფხანი დრო არ ჰქონდა. სტუმრებმა მიზანი გაისწორეს და თანდათანობით კლასში უპირატესობაც გამოჩნდა. მასპინძლებს შეხვედრის მიწურულს დაღლა დაეტყოთ. შეცვლაზე შესულმა ვალერონმა და ტრისტანმა თანაგუნდელები აიყოლიეს და უკრაინელთა კართან ხიფათიმაც იმატა. ტრისტანის შორეული დარტყმული მცველის ფეხიდან რაულთან აღმოჩნდა. რეალელს ჭვინტის წაკვრა არ ესწავლება და ურთულესი ვითარებიდან გოლიც გამოწურა. არიქა, სულ არ წავაგოთო, დამხვდურებმა დაცვას მიხედეს, მაგრამ პასით ქებულმა რუბენ ბარახამ ეჩებერიას საგოლედ მააწოდა. ბასკს ერთი შეხება ეყო მეორე გოლის გასატანად, თუმცა უკრაინელებმა ის ქულა, რომელსაც იმსახურებდნენ, მაინც ჩაიჯიბეს.

ხუან კარლოს ვალერონი მეორე ტაიმში შეცვლაზე შეკიდა, მაგრამ დაღლას უჩიოდა: შესარჩევ ეტაპზე ასეთი რთული და დამქანცველი მატჩი ჯერ არ გვქონია, ამიტომ შედეგით კმაყოფილი ვარ და ფრე სწორედაც რომ ლოგიკურიაო.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS კიევიდან

უკრაინა — ესპანეთი. რაულს ჭვინტის წაკვრა არ ესწავლება, წაკვრა და გაიტანა

# რუმინულად შეკაზმული სომხეთი

**სომხეთი 1:0 ჩრდ. ირლანდია**

**1:0 პეტროსიანი (86)**
**სომხეთი: ბერეზოვსკი, მელიქიანი, პეტიკიანი, ოვსეპიანი, ვარდანიანი, ბილიბიო, პეტროსიანი, ვოსკანიანი, სარგსიანი (არტურ მკრტჩიანი 88), არმან ქარამიანი (აგვან მკრტჩიანი 87), ართავაზ ქარამიანი**
**ჩრდ. ირლანდია: მ. ტეილორი, ა. ჰიუზი, გ. მაკკანი, კრეიგანი, დ. უილიამსი, ლომასი, გილესპი, დ. ჯონსონი, ჰილი, ბ. ქუინი (რ. ელიოტი 71), მაკვეიგი**
**მსაჯი: როლანდ ბეკი (ლიხტენშტაინი)**
**10 321 მაყურებელი**

**ახალი,** რუმინელი მწვრთნელით გალაღებულმა სომხებმა პირველი გამარჯვება გაიფორმეს. დიდი ხანი არაა, რაც მიხაი სტოიკიცამ ნაკრები ჩაიბარა და აგერ, სადებიუტო მატჩიც მოიგო. ერთადერთი გოლი მასპინძლებმა შეხვედრის მიწურულს გაიტანეს, მანამდე კი ჩრდილოირლანდიელებსაც შეეძლოთ რომან ბერეზოვსკის დამწუხრება.

სტუმრებს ერევანში თოვლი დახვდათ. თოვა პირველ ტაიმში დაიწყო და შესვენებამდე გაგრძელდა. სომხები თავშივე მიუხდნენ მეტოქეს და მეორე წუთზე არმან ქარამიანმა ხელსაყრელი მომენტი გააცუდა. ირლანდიელებმა მალე გაანელეს დამხვდურთა მონდომება. რამდენჯერმე დაემუქრნენ კიდეც ბერეზოვსკის კარს. ერთ ეპიზოდში მცველის ზურგიდან ასხლეტილი ბურთი ხარიხს ზემოდან დაეცა.

თოვლმა ისედაც ულიმღამო თამაში სულ წაახდინა. სომხები აქტიურობდნენ, თუმცა მაიკ ტეილორს დიდი ჯაფა არ დასდგომია. ძირითადად საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთების მოგერიებით იყო დაკავებული და ორიოდ ზუსტი, მაგრამ სუსტი შორიდან დარტყმულიც მიითვისა.

მეორე ნახევარი მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს. არმან და ართავაზ ქარამიანებმა სტუმართა მეკარე გვარიანად შეაწუხეს. ძმებს კიევის „არსენალის" ლეგიონერმა ალბერტ სარქისიანმაც მხარი აუბა და მეტოქის მცველებს მოსვენებას არ აძლევდნენ. თანაგუნდელებს აჰყვა „იანგ ბოისის" ნახევარმცველი არტურ პეტროსიანი, რომელიც ბურთს აზრიანად დაათრევდა და ჩრდილოირლანდიელთა საჯარიმოში არაერთხელ სახიფათოდ შეძვრა. თავის მხრივ სტუმრებსაც ჰქონდათ შანსი. ბერეზოვსკიმ ქუინის დარტყმული კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია.

დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე არტურ პეტროსიანმა გამარჯვებისა მაინც გაიტანა. საჯარიმოში შეჭრილმა ორ მცველს ჩაურბინა და ბურთი დაბალ კუთხეში შეაპარა. როგორც აღმოჩნდა, ეს იყო სომხეთის ნაკრების პირველი გამარჯვება ოფიციალურ მატჩში ვაზგენ სარქისიანის სახელობის სტადიონზე.

ჩრდილოირლანდიელებს აქამდე ჩატარებულ შვიდ მატჩში გოლი ვერ გაეტანათ და ამჯერადაც ხელმოცარულები დარჩნენ. სტუმართა მწვრთნელმა მატჩის შემდეგ თქვა: „რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ერევანში აუცილებლად გავიტანდით. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ, თუმცა სულ ცოტა, სამი მომენტი გავანიავეთ".

**მაშა ხუციშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| უკრაინა | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 6 |
| სომხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

*2 აპრილი: ჩრდ. ირლანდია — საბერძნეთი; ესპანეთი — სომხეთი*

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## VII ჯგუფი

# თურქს სასულეში ქაბაბი არ გადასცდება



ლიხტენშტაინი — ინგლისი. მაიკლ ოუენმა ბურთს თავი დაჰკრა და გაიტანა

REUTERS

„სანმა" თავისავე საყვარელ ინგლისის ნაკრებზე ლაზათიანად ილაღავა — შველმა კარგი, პროფესიული წარმოდგენა გვიჩვენა იმ გუნდთან, რომელიც სულ უმატებს და უმატებს თამაშსო.

„სანმა" ორიგინალურად დაასკვნა — ინგლისის ნაკრები საერთაშორისო „ლივერპულიაო" — ეს ბრიტანული გაგებით იმას ნიშნავს, რომ ნაკრებს ძველი დიდება და სახელი არ აკლია, მაგრამ უმაღლეს დონეზე ვერაფერი ხვითოა.

კვირაში 60 ათასგირვანქიანი მწვრთნელი და ვარსკვლავები ჩაფლავდნენ, თავს მოეხვიათ თავიანთი მედიდურობა იმ გუნდისთვის, რომელიც სანტექნიკოსებით, კომპიუტერის ამწყობებით და მელვინეებითაა დაკომპლექტებული — ესეც „სანის" მიერ გაკრული კბილია.

ახლა კი თვით სვენ გორან ერიკსონს მოვუსმინოთ: „გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა. სამუშაო კარგად, პროფესიულად შევასრულეთ. ისე კარგად ვერ ვითამაშეთ მატჩის დასაწყისში და ბოლოში, როგორც გვმართებდა — ეს ალბათ კონცენტრაციის ნაკლებობის ბრალი იყო. მაგრამ ჩვენ ორი გოლი გავიტანეთ და მეტიც შეგვეძლო — მოპოვებული სამი ქულით ბედნიერი ვარ".

მაიკლ ოუენი: „ამ საღამოს მოგებას ველოდით და თუ როგორ მოვახერხეთ ეს, მნიშვნელობა არა აქვს. ათი-ოცი წლის წინათ სხვა დრო იყო, ახლა კი ლიხტენშტაინის ყოველი მოთამაშე ათლეტია და მათი გასვლაზე დამარცხება ადვილი სულაც არ არის".

ინგლისის მთავარი კონკურენტი ჯგუფში თურქეთია და „სანმა" ამაზეც თავისებურად წაისისინა:

„თურქი ქაბაბს მიირთმევს და როცა ინგლისის ნაკრებთან პაექრობაზე დაფიქრდება, ქაბაბი ყელში ეჩხირება და იხრჩობა — ჩვენ უბრალოდ არც კი შეგვიძლია, ასეთი რამ წარმოვიდგინოთ".

**დავით თავართქილაძე**

### ლიხტენშტაინი 0:2 ინგლისი

0:1 ოუენი (28), 0:2 ბექჰემი (53)

**ლიხტენშტაინი:** იეჰლე, ტელსერი, ჰასლერი, მიხაელ შტოკლასა, დელია, ცები (ბურგმაირი 62), მარტინ შტოკლასა, გერსტერი, ფრიკი (ნიგი 82), თ. ბეკი, ბუშელი (მ. ბეკი 86)

**ინგლისი:** ჯეიმსი, გ. ნევილი, საუთგეიტი, ფერდინანდი, ბრიჯი, ბექჰემი (მერფი 70), სქოულზი, ჯერარდი (ბათი 65), დაიერი, ოუენი, ჰესკი (რუნი 79)

მსაჯი: გიორგოს კასნაფერისი (საბერძნეთი)

3 548 მაყურებელი

### მაკედონია 0:2 სლოვაკეთი

0:1 პეტრაში (28), 0:2 რეიტერი (90)

**მაკედონია:** მილოშევსკი, ბრაგა, ლაზარევსკი (სტოიკოვი 81), სედლოსკი, მიტრესკი, სუმოლიკოსკი (ნაუმოსკი 52), იანჩევსკი, მ. კრსტევი, ს. კრსტევი (გროზდანოვსკი 61), შაკირი, პანდევი

**სლოვაკეთი:** კონიგი, პეტრაში, კლიმპლი, პლინკა, კარჰანი (ჰანეკი 90), დემო (ლაბანტი 81), ლეიტნერი, შ. ნემეტი (რეიტერი 75), მიხალიკი, იანოჩკო, ვიტეკი

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

10 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| მაკედონია | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

*2 აპრილი: ინგლისი — თურქეთი*
*სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი*

## VIII ჯგუფი

### ხორვატია 4:0 ბელგია

1:0 სრნა (9), 2:0 პრსო (53), 3:0 მარიჩი (68), 4:0 ლეკო (76)

**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი, სიმუნიჩი, რ. კოვაჩი, ტუდორი (ნ. კოვაჩი 77), ჟივკოვიჩი, რაპაიჩი, როსო (ლეკო 46), პრსო (სტანიჩი 70), სრნა, ტ. მარიჩი

**ბელგია:** ვანდენდრიშე, დე კოკი (დეფლანდრე 57), სიმონსი, ვან ბუიტენი, ვან დერ ჰიდენი, ვალგაერენი (ვან დამი 67), ენგლებერტი (ბასეჯიო 55), გოორი, სონკი, ბუფელი, ე. მპენზა

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ბელგია | 4 | 2 | 0 | 2 | 2:6 | 6 |
| ხორვატია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

*2 აპრილი: ესტონეთი — ბულგარეთი*
*ხორვატია — ანდორა*



REUTERS

ბელგიელი ემილ მპენზა (მარცხნივ)
რობერტ კოვაჩის გუნდთან ვერაფერს გახდა

## IX ჯგუფი



REUTERS

იტალია — ფინეთი. კრისტიან ვიერის დუბლმა
იტალია ჯგუფში მეორე ადგილზე აღაზევა

# ტკბილი წყვილი

## ერთი ნახვით შეყვარება

### იტალია 2:0 ფინეთი

1:0, 2:0 ვიერი (6, 23)

**იტალია:** ბუფონი, პანუჩი, ნესტა, კანავარო, ძამბროტა, პეროტა, ძანეტი, კამორანეზი, ტოტი (მიკოლი 87), ვიერი (კორადი 82), დელვეკიო (ბირინდელი 68)

**ფინეთი:** ნიემი, პასანენი, ჰიიპია, ტიჰინენი, საარინენი, რიიჰილაჰტი (ჯ. იოჰანსონი 36), ნურმელა (კოპტეფი 75), კოლკა (კუქი 89), ილოლა, ტაინიო, ფორსელი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

34 074 მაყურებელი

**მართალია** ფინეთთან, მაგრამ ტრაპატონიმ დაამტკიცა, რომ ხმები იტალიის გარდაცვალების შესახებ გადაჭარბებულია. „მატჩამდე ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი — თქვა მწვრთნელმა — და ვარაუდი პირველ ტაიმშივე გამართლდა. სიცილიელი გულშემატკივრების მხარდაჭერა საშაგალითოა. ვფიქრობ, ქომაგებმა მიიღეს ის, რასაც ელოდნენ. ჩემი მწვრთნელობის ხანაში ეს ერთ-ერთი საუკეთესო თამაში იყო. ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი გვაქვს. ვიერი და ტოტი შესანიშნავად გაისარჯნენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელი გუნდი მათ ეხმარებოდა".

იტალიელებმა საქმე ნახევარ ტაიმში მოათავეს. ორჯერ ტოტი-ვიერი ორი გოლით დასრულდა. მეორე ვიერისეული განსაკუთრებულად საამო იყო. თითქმის ცენტრიდან ათრია ბურთი და თხუთმეტიოდ მეტრიდან ცაციათი გაიტანა.

ულიტმანენო ფინელებს რეალური საგოლე მომენტები არ შეუქმნიათ, მიუხედავად იმისა, რომ შესვენების შემდეგ თითქოს უტევდნენ. მასპინძლების ქებული დაცვა შეუვალი იყო და მეტოქის უკბილო შეტევების მოგერიება არ გასჭირვებიათ.

ფრანჩესკო ტოტიმ მატჩის შემდეგ ბრძანა, რომ ვიერისთან შეწყვილება ძალიან ესიამოვნა: „ჩვენ ერთმანეთს ერთი შეხედვით ვუგებდით. მასთან თამაში სიამოვნებაა. ასეთი ტაქტიკა იტალიის ნაკრებზე ზედგამოჭრილია. ნახევარმცველებს თანაბრად შეუძლიათ დაეხმარონ როგორც დაცვას, ისე ფორვარდებს. მეც მეტად გამიადვილდა ჩემი ფუნქციების შესრულება. ვიცოდით, რომ უელსმა აზერბაიჯანს მოუგო და სამი ქულა ჰაერივით გვჭირდებოდა".

გალიმებული დადიოდა კრისტიან ვიერიც: „კარგად ვითამაშეთ. ყველაფერი გამოგვდიოდა და ბურთსაც ვფლობდით. ორი გოლის გატანით ძალიან გავიხარე, თან ეს მხოლოდ ჩემი კი არა, სრულიად გუნდის დამსახურებაა".

ფინელთა მთავარ მწვრთნელს ისღა დარჩენოდა, მეტოქის ძალა ეღიარებინა: „იტალიელები ჩვენზე ძლიერები არიან. საუკეთესო ფორმაში მყოფი ტოტისა და ვიერის წინააღმდეგ ვერაფერი გავაწყვეთ".

**პაატა ხუციშვილი**

### უელსი 4:0 აზერბაიჯანი

1:0 ახმედოვი (ნ.კ.), 2:0 სპიდი (40), 3:0 ჰარტსონი (44), 4:0 გიგზი (53)

**უელსი:** ჯოუნსი, ს. დევისი, მელვილი, პეიჯი, სპიდი (ტროლოპი 46), ოსტერი, სევიჯი (კ. რობინსონი 19), პემბრიჯი, გიგზი, ჰარტსონი, ბელამი (ედვარდსი 71)

**აზერბაიჯანი:** ჰასანზადე, ტ. ახმედოვი, კ. გულიევი, რ. მამედოვი, ჰაჯიევი (ფ. მამედოვი 46), მ. გურბანოვი, ე. გულიევი (იადულაევი 46), იმამალიევი, მუსაევი, გ. გურბანოვი, ალიევი (ტაგიზადე 78)

მსაჯი: ფილიპ ლეობა (შვეიცარია)

73 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| იტალია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| სერბეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ფინეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | 1 |

*7 ივნისი: ფინეთი — სერბეთი*

# რიდსდეილი წავიდა



პიტერ რიდსდეილი

„ლიდს იუნაიტედის" თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგა პიტერ რიდსდეილი, რომელიც ფინანსური პოლიტიკის გაუმართაობას შეეწირა.

რიდსდეილი ექვს წელიწადს იყო [illegible] კლუბის სათავეში და აღაზევა იგი, პრემიერლიგის მოწინავეთა შორის ჩააყენა. მაგრამ ცუდმა სატრანსფერო პოლიტიკამ „ლიდსს" ათეულობით მილიონი გირვანქა ვალი დაადო და წლეულს კლუბს შავი დღე დაუდგა.

შარშან ზაფხულში რიდსდეილმა მწვრთნელი დევიდ ოლირი გაუშვა და სატრანსფერო ხარჯების უთავბოლობა მას გადააბრალა, ათი დღის წინ კი მწვრთნელი ტერი ვენებლსიც წავიდა, ვის ხელშიაც „ლიდსი" ცხრილის ბოლოში ჩაეშვა. რიდსდეილი გადადგა, მაგრამ კლუბის ერთ-ერთ, რიგით დირექტორად მაინც დარჩა.

„ბოლო ექვს თვეს ვერაფერი გავაწყვე — თქვა რიდსდეილმა — ამიტომ, გადაწყვეტილება უნდა მიმეღო."

სწორედ ამ ბოლო ექვს თვეში „ლიდსმა" ხუთი წამყვანი ფეხბურთელი გაასხვისა. ჯამში 51 მილიონ 100 ათას გირვანქად გუნდის თამაში ვერაფრით გამართა წელში.

ახალ თავმჯდომარედ კლუბის ერთ-ერთი დირექტორი, პროფესორი ჯონ მაკკენზი აირჩიეს. ახალი თავმჯდომარე კი წლევანდელ პრიორიტეტს ასე აყალიბებს: „პრემიერლიგაში უნდა დავრჩეთ".

**ირაკლი გამყრელიძე**




ჯონ მაკკენზი

# ამხანაგური მატჩი

# რატომ გააგდეს პატარა ბიჭი?

## სკოლარიმ თვისტომებს 37 წელი გაუხსენა

**პორტუგალია 2:1 ბრაზილია**

1:0 პაულეტა (8), 1:1 რონალდინიო (65პ), 2:1 დეკო სოუზა (82)

**პორტუგალია:** რ. პერეირა, პაულუ ფერეირა, რუი ჟორჟე, მეირა, ფ. კოუტუ, კოშტინია, სიმაო (მიგელი 87), მ. რიბეირუ (ლოურეირუ 77), პაულეტა, რუი კოშტა, ს. კონსეისაუ (დეკო სოუზა 62)

**ბრაზილია:** მარკოსი, კაფუ, ლუიზაო, ედმილსონი, კლებერსონი, რობერტო კარლოსი, რონალდინიო, ჟილბერტო სილვა, რონალდო (ადრიანო 46), რივალდო, ზე რობერტო (ამოროზო 46; ჟუნიორი 85)

**გაძევება:** რობერტო კარლოსი (81)

**მსაჯი:** ალონ იეფეტი (ისრაელი)

**40 000 მაყურებელი**

**1966-ში** ინგლისში მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიამ ბრაზილიას 3:1 მოუგო. მაშინ ორი გოლი ეუსებიომ გაიტანა. მას შემდეგ 37 წელი გავიდა და ევროპელებმა კვლავ შეძლეს ახლა უკვე ხუთგზის ჩემპიონთა დამარცხება.

პორტუში შეკრებილმა გულშემატკივრებმა ალალი ფეხბურთით ისიამოვნეს. მატჩში იყო გოლები, ძელ-ზარიზათა რახარუხი, გაძევება და მასპინძელთა სიხარული. ლუიშ ფელიპე სკოლარი რომ ახირებული კაცია, დუნიამ იცის. ორიოდ კვირის წინ გაპორტუგალიელებულ ბრაზილიელს, დეკო სოუზას, ნაკრებში უხმო. ატყდა რია-რია, ფიგუმ და რუი კოშტამ ცალყბად უკმაყოფილება გამოთქვეს, მაგრამ ამ მატჩის შემდეგ ალბათ სკოლარი ყველას მოაკეტინებს. შეცვლაზე შესულმა დეკომ თავის საფირმო ჯარიმა უზადოდ შეასრულა და მასპინძლები ნანატრ გამარჯვებას აზიარა.

საოცარი იყო რობერტო კარლოსის გაძევება. ძნელად ვინმე თუ გაიხსენებს, როდის გააძევეს ბოლოს ეს მშვიდი, უწყინარი ფეხბურთელი. რობერტო კარლოსი მსაჯმა დააჯარიმა. ჩია ბრაზილიელი აფეთქდა და ალონ იეფეტს წაეჯაჯგურა. ებრაელ არბიტრს ისღა დარჩენოდა, წითელი ბარათით რეალელისთვის გზა დაელოცა. სწორედ ამ საჯარიმოთი იხეირა დეკო სოუზამ.

ანგარიში პედრო პაულეტამ გახსნა. სერჟიო კონსეისაუმ მარცხნიდან ჩაუშრიალა მცველებს და „ბორდოს" მეგოლეს კარის წინ მიაწოდა. მანამდე თავად კონსეისაუმ მარკოსის კარის ძელი შეაქანა.

ბრაზილიამ გასათანაბრებლად გაიწია. რონალდინიომ რიკარდო პერეირას ზურგსუკანაც კი ჩაუშვა ბურთი, მაგრამ კარსაც ააცილა. მსოფლიოს ჩემპიონებმა ნელ-ნელა ტემპს უმატეს. მასპინძელთა მეკარემ კაფუს დარტყმული მოიგერია, რობერტო კარლოსის გასროლილი კი ზარიხას მოხვდა და შესვენებამდე ზანზარებდა. მოგვიანებით რივალდომაც ზარიხას დაუმიზნა. ტაიმის ბოლოს რონალდომ დარტყმულს ძალა ვერ დაატანა და მეკარეს ბურთის მითვისება არ გასჭირვებია.

შესვენების შემდეგ კლებერსონს და შეცვლაზე შესულ ადრიანოსაც ჰქონდათ გატანის შესაძლებლობა. სტუმრებმა მეორე ნახევრის შუაში თერთმეტმეტრიანი მოინადირეს. სიმაო საბროსამ რონალდინიო საჯარიმოში დასცა. პენალტი თავად პსჟ-ელმა უზადოდ შეასრულა. მერე კი შეხვედრის ბოლოს იყო ის, რაზეც თავშივე ვთქვით. დეკომ გამარჯვებისა შეაგდო, ათკაცა ბრაზილიამ კი, მონდომების მიუხედავად, ვეღარ გაათანაბრა.

ლუიშ ფელიპე სკოლარი: „პორტუგალიელებმა ზუსტად ისე ითამაშეს, როგორც ჩავიფიქრე. მათ უშრეტი მებრძოლი სული გამოავლინეს და ეს მთავარია. ქომაგნი ამ დღეს 37 წელიწადი ელოდნენ და მიიღეს კიდეც ზეიმის საბაბი."

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS ფოტოდან

სერჟიუ კონსეისაუ „რეალის" ბრაზილიელ რობერტო კარლოსს დაუსხლტა

## იტალია

### სერია B. XXVIII ტური

**ტერნანა 2:1 ასკოლი**

1:0 დავერსა (38), 1:1 ფონტანა (45), 2:1 ბორგობელო (76)

**ანკონა 3:1 სალერნიტანა**

1:0 განცი (35), 2:0 სკენარდი (38), 3:0 განცი (48), 3:1 ლუიზო (72)

**კალიარი 2:2 პალერმო**

0:1 მორონე (14), 0:2 მანიერო (68), 1:2 კარუზო (88), 2:2 ლორია (90)

**კატანია 1:2 ტრიესტინა**

1:0 ტალდო (17), 1:1 მირო (59ს.კ.), 1:2 ფავა (83)

**ლეჩე 2:1 ჯენოა**

0:1 ბრედა (47), 1:1 ჩევანტონი (53), 2:1 ჯაკომაცი (69)

**სამპდორია 1:1 ბარი**

1:0 ბაცანი (36), 1:1 სპინეზი (43)

**სიენა 1:0 კოზენცა**

1:0 ტ. ფერანტე (27)

**ვენეცია 1:1 ლივორნო**

1:0 ფირმანი (12), 1:1 დანილევიჩუსი (24)

**ვერონა 4:1 მესინა**

1:0 ადაილტონი (11), 2:0 მელისი (32), 3:0 დილიზო (39), 3:1 ძამპანა (68), 4:1 მ. ვიერი (90)

**ნაპოლი — ვიჩენცა**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 28 | 13 | 11 | 4 | 40:22 | 50 |
| სიენა | 28 | 12 | 13 | 3 | 31:20 | 49 |
| ანკონა | 28 | 13 | 9 | 6 | 41:30 | 48 |
| ლეჩე | 28 | 11 | 13 | 4 | 33:25 | 46 |
| ტრიესტინა | 28 | 12 | 7 | 9 | 37:29 | 43 |
| ვიჩენცა | 27 | 11 | 10 | 6 | 39:32 | 43 |
| ტერნანა | 28 | 11 | 9 | 8 | 32:27 | 42 |
| ლივორნო | 28 | 10 | 10 | 8 | 32:24 | 40 |
| პალერმო | 28 | 10 | 9 | 9 | 29:30 | 39 |
| მესინა | 28 | 9 | 10 | 9 | 40:39 | 37 |
| ვენეცია | 28 | 9 | 10 | 9 | 28:32 | 37 |
| კალიარი | 28 | 9 | 9 | 10 | 30:36 | 36 |
| ვერონა | 28 | 8 | 11 | 9 | 33:29 | 35 |
| ასკოლი | 28 | 9 | 7 | 12 | 35:37 | 34 |
| ჯენოა | 28 | 7 | 9 | 12 | 34:36 | 30 |
| კატანია | 28 | 8 | 6 | 14 | 29:41 | 30 |
| ბარი | 28 | 5 | 14 | 9 | 23:27 | 29 |
| ნაპოლი | 27 | 5 | 12 | 10 | 27:36 | 27 |
| კოზენცა | 28 | 7 | 5 | 16 | 21:36 | 26 |
| სალერნიტანა | 28 | 4 | 8 | 16 | 20:46 | 20 |

### სერია C1/A

29-ე ტური: ალბინოლეფე — ჩიტადელა 2:4; კარარეზე — რეჯანა 0:1; ლუკეზე — პიზა 2:0; ლუმეცანე — არეცო 2:0; პადოვა — სპეცია 0:2; პისტოიეზე — პრო პატრია 1:1; პრატო — ალძანო 0:0; სპალ — ტრევიზო 1:3; ვარეზე — ჩეზენა 0:0

### სერია C1/B

29-ე ტური: კიეტი — ტერამო 1:0; ჯულიანოვა — აკილა 1:2; ლანჩანო — ბენევენტო 1:1; მარტინა — ფერმანა 5:2; ტორესი — პესკარა 3:5; სორა — კროტონე 0:0; პაზარო — ტარანტო 1:2; ვიტერბეზე — პატერნო 2:1. აველინო — სამბენედეტეზე *ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე)*

## ინგლისი

### I დივიზიონი. XL ტური

**ჯილინგემი 1:3 იფსვიჩი**

1:0 სმიტი (28), 1:1, 1:2 კუნავო (32, 73), 1:3 მ. ბენტი (78)

**ნორვიჩი 3:2 ბრედფორდი**

0:1 ფორესტი (42), 1:1 რივერსი (59), 2:1 ები (54), 2:2 იორგენსენი (68), 3:2 რივერსი (86)

**შეფილდ უენსდი 2:2 ოუტფორდი**

0:1 სმიტი (33), 1:1 ბრედბერი (66), 1:2 ნორვილი (82), 2:2 მედიქსი (90)

**დერბი ქაუნთი — მილუოლი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 39 | 24 | 11 | 4 | 82:37 | 83 |
| ლესტერი | 39 | 23 | 11 | 5 | 64:35 | 80 |
| შეფილდი | 38 | 20 | 9 | 9 | 61:41 | 69 |
| რედინგი | 39 | 21 | 4 | 14 | 49:38 | 67 |
| ნოტინგემი | 38 | 18 | 11 | 9 | 69:37 | 65 |
| ვულვზი | 39 | 17 | 12 | 10 | 68:38 | 63 |
| იფსვიჩი | 40 | 16 | 13 | 11 | 64:50 | 61 |
| ნორვიჩი | 40 | 17 | 10 | 13 | 54:43 | 61 |
| ჯილინგემი | 40 | 14 | 12 | 14 | 53:61 | 54 |
| უიმბლდონი | 39 | 14 | 11 | 14 | 63:63 | 53 |
| როტერჰემი | 39 | 14 | 10 | 15 | 55:53 | 52 |
| კრ. პალასი | 39 | 12 | 15 | 12 | 49:43 | 51 |
| პრესტონი | 38 | 13 | 12 | 13 | 60:57 | 51 |
| მილუოლი | 39 | 14 | 8 | 17 | 45:59 | 50 |
| ბრედფორდი | 40 | 13 | 10 | 17 | 49:61 | 49 |
| ბარნსლი | 38 | 13 | 10 | 15 | 54:68 | 49 |
| უოტფორდი | 40 | 13 | 9 | 18 | 42:59 | 48 |
| ქოვენთრი | 39 | 12 | 11 | 16 | 42:52 | 47 |
| უოლსოლი | 38 | 12 | 7 | 19 | 49:61 | 43 |
| დერბი ქაუნთი | 39 | 12 | 7 | 20 | 46:62 | 43 |
| ბრაიტონი | 40 | 9 | 10 | 21 | 40:59 | 37 |
| სტოკი | 39 | 8 | 13 | 18 | 38:64 | 37 |
| გრიმსბი | 39 | 9 | 10 | 20 | 44:73 | 37 |
| უენსდი | 40 | 6 | 14 | 20 | 40:66 | 32 |

### II დივიზიონი

მე-40 ტური: ბლეკპული — ქუინზ პარკი 1:3; ბრენტფორდი — ნორთჰემპტონი 3:0; ბრისტოლი — ბარნსლი 2:0; კოლჩესტერი — სუინდონი 1:0; ქრიუ — სტოკპორტი 1:0; მენსფილდი — პიტერბრო 1:5; ნოტსი — ჰადერსფილდი 3:2; ოლდემი — პორტ ვეილი 1:1; ტრანმერი — ჩესტერფილდი 2:1; უიგანი — პლიმუთი 0:1

### III დივიზიონი

მე-40 ტური: სუონსი — ოქსფორდი 3:2; კემბრიჯი — სკანთორპი 1:1; დარლინგტონი — ბერი 3:1; ჰარტლპული — ბორნმუთი 0:0; ლინკოლნი — როჩდეილი 2:1; მაკლსფილდი — კიდერმინსტერი 2:0; რაშდენი — ექსეტერი 1:0; ტორკი — ბოსტონი 1:1; იორკი — საუთენდი 2:0

## რუსეთი

### ლიგის თასი
### 1/8 ფინალი. 1 მატჩები

ტორპედო-მეტალურგი — ლოკომოტივი 3:0; დინამო — ტორპედო 1:1; ზენიტი — ცსკა 2:0; სატურნი — სპარტაკი 3:2; როტორი — კრილია სოვეტოვი 5:2; რუბინი — შინიკი 0:0; ჩერნომორეცი — როსტოვი 2:0; ურალანი — სპარტაკ-ალანია 1:0

## ესპანეთი

### საშუალოდივიზიონი. XXIX ტური

**ხერესი 1:0 კორდობა**

1:0 ზარატე (1)

**ეიბარი 2:1 კომპოსტელა**

1:0 ურანგა (21), 1:1 ლიმა (80), 2:1 მიგელი (90)

**ლას პალმასი 1:1 ალბასეტე**

0:1 ხესუს პერერა (7), 1:1 ბაიანო (29)

**ელჩე 0:2 ლევანტე**

0:1 ეტიენი (24), 0:2 ჩოტა (83)

**ლეგანესი 2:0 პოლი ეხიდო**

1:0 მიგელ ანხელი (21), 2:0 ვილია (83)

**ბადახოსი 2:1 ტენერიფე**

1:0 ხოსე მორენო (19), 2:0 ნენე (23), 2:1 პაუნოვიჩი (60პ)

**ტერასა 2:1 ფეროლი**

0:1 ტორილი (1), 1:1 მონტი (24), 2:1 ხუან კარლოსი (31)

**ალმერია 1:1 ოვიედო**

1:0 ორტისი (31), 1:1 იაგო (40)

**სარაგოსა 3:1 ხეტაფე**

1:0 ჩანი (3), 1:1 კრაიოვიანუ (8პ), 2:1 კომლიენოვიჩი (60), 3:1 ჩანი (77)

**სპორტინგი 1:1 სალამანკა**

0:1 კიკე მარტინი (38პ), 1:1 რუბენი (46)

**ნუმანსია 0:2 მურსია**

0:1 ისმაელი (16), 0:2 ტიტო (21პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 29 | 16 | 7 | 6 | 42:15 | 55 |
| ალბასეტე | 29 | 13 | 14 | 2 | 39:20 | 53 |
| ლევანტე | 29 | 13 | 12 | 4 | 39:25 | 51 |
| სარაგოსა | 29 | 14 | 8 | 7 | 33:26 | 50 |
| ხერესი | 29 | 11 | 10 | 8 | 32:32 | 43 |
| პოლი ეხიდო | 29 | 10 | 11 | 8 | 27:26 | 41 |
| ტენერიფე | 29 | 8 | 16 | 5 | 37:26 | 40 |
| ლას პალმასი | 29 | 9 | 13 | 7 | 38:33 | 40 |
| ტერასა | 29 | 8 | 14 | 7 | 28:30 | 38 |
| სპორტინგი | 29 | 8 | 13 | 8 | 28:26 | 37 |
| ელჩე | 29 | 8 | 11 | 10 | 33:30 | 35 |
| ხეტაფე | 29 | 9 | 8 | 12 | 38:39 | 35 |
| ლეგანესი | 29 | 7 | 13 | 9 | 34:35 | 34 |
| სალამანკა | 29 | 7 | 13 | 9 | 20:21 | 34 |
| ეიბარი | 29 | 7 | 13 | 9 | 23:28 | 34 |
| კორდობა | 29 | 7 | 12 | 10 | 23:22 | 33 |
| ნუმანსია | 29 | 7 | 12 | 10 | 27:34 | 33 |
| კომპოსტელა | 29 | 7 | 11 | 11 | 32:38 | 32 |
| ალმერია | 29 | 7 | 11 | 11 | 33:48 | 32 |
| ბადახოსი | 29 | 8 | 7 | 14 | 20:40 | 31 |
| ოვიედო | 29 | 5 | 11 | 13 | 23:37 | 26 |
| ფეროლი | 29 | 5 | 10 | 14 | 25:43 | 25 |

## ბელგია

### II დივიზიონი

28-ე ტური: გეელი — ვირტონი 1:1; ეუპენი — დაინცე 4:0; დეხელი — რუზელარე 0:0; ვარეგემი — ვიგორი 2:1; რონსე — სტრომბეკი 1:1; ინგელმუნსტერი — პატრო 5:2; სერკლი — ვიზეტი 5:2; ტინენი — ლიეჟი 1:0; დენდერლეუ — ჰეუსდენი 2:0

## შვეიცარია

### B ჯგუფი. გადადებული მატჩი

**ვოლენი 1:2 კონკორდია**

### თასის 1/4 ფინალი

**შაფჰაუზენი 1:0 სენტ გალენი**

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

31-ე ტური: შატორუ — ტულუზი 0:0; ბოვე — ნიორი 0:2; კაენი — სენტ ეტიენი 0:0; კლერმონი — ამიენი 1:1; კრეტეი — მეცი 1:1; გრენობლი — გენიონი 2:0; ლავალი — ისტრი 3:1; ნანსი — რეიმსი 2:1; ვალანსი — ლე მანი 2:2; ვასკეალი — ლორიანი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 30 | 16 | 9 | 5 | 42:18 | 57 |
| მეცი | 31 | 15 | 9 | 7 | 41:26 | 54 |
| შატორუ | 31 | 15 | 9 | 7 | 36:25 | 54 |
| ლე მანი | 31 | 14 | 11 | 6 | 39:31 | 53 |
| ლორიანი | 30 | 14 | 9 | 7 | 35:26 | 51 |
| ლავალი | 31 | 13 | 6 | 12 | 35:34 | 45 |
| გრენობლი | 31 | 10 | 12 | 9 | 33:21 | 42 |
| კაენი | 31 | 9 | 13 | 9 | 37:33 | 40 |
| ამიენი | 31 | 10 | 10 | 11 | 24:27 | 40 |
| კლერმონი | 31 | 11 | 7 | 13 | 35:41 | 40 |
| ვალანსი | 31 | 10 | 9 | 12 | 34:36 | 39 |
| ნიორი | 31 | 10 | 9 | 12 | 32:34 | 39 |
| სენტ ეტიენი | 30 | 8 | 13 | 9 | 27:26 | 37 |
| ნანსი | 30 | 9 | 10 | 11 | 28:36 | 37 |
| გენიონი | 30 | 9 | 9 | 12 | 27:33 | 36 |
| კრეტეი | 30 | 6 | 14 | 10 | 31:35 | 32 |
| ვასკეალი | 30 | 5 | 16 | 9 | 19:25 | 31 |
| ისტრი | 31 | 7 | 10 | 14 | 23:49 | 31 |
| ბოვე | 31 | 7 | 8 | 16 | 15:27 | 29 |
| რეიმსი | 30 | 5 | 13 | 12 | 23:33 | 28 |

### თასის 1/2 ფინალის წილისყრა

**პსჟ — ბორდო; ოსერი — რენი**

*მატჩები გაიმართება 16 აპრილს*

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

გადადებული მატჩი: დენ ბოსხი — დენ ჰააგი 0:1

## შოტლანდია

### I დივიზიონი

გადადებული მატჩები: ალოა — ფოლკირკი 1:3; არბროთი — სენტ მირენი 1:1

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები: ერდრი — ბერვიკი 2:0; ბრეჩინი — სტენჰაუზმური 2:1; ფორფარი — სტრანრარი 2:1

### III დივიზიონი

გადადებული მატჩები: ელგინი — ალბიონი 1:2; პიტერჰედი — ქუინზ პარკი 3:1; გრეტნა — მორტონი 0:1

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩი: ბაბელსბერგი — კილი 1:4

### სამხრეთ რეგიონალლიგა

28-ე ტური: ზაარბრიუკენი — აუგსბურგი 1:2; უნტერჰახინგი — ოფენბახი 2:1; ელვერსბერგი — ნოინკირხენი 2:0; ჰოფენჰაიმი — ვეჰენი 2:0; რეგენსბურგი — ბაიერნი (მ) 2:1; კიკერსი — აალენი 1:2; აინტრახტი (მ) — ერფურტი 0:1; ზიგენი — პფულენდორფი 2:0; დარმშტადტი — შვაინფურტი 2:3

## ამხანაგური მატჩები

**კოსტა რიკა 2:1 პარაგვაი**

1:0 პარკსი (36), 1:1 კასერესი (53), 2:1 ბენეტი (89)

**იაპონია 2:2 ურუგვაი**

0:1 ფორლანი (21), 1:1 ნაკამურა (23პ), 1:2 ლემბო (25), 2:2 ინამოტო (57)

**ანგოლა 1:1 ალჟირი**

1:0 ჟილბერტო (6), 1:1 აკრური (85)

**სამხრეთ კორეა 0:0 კოლუმბია**

**სამხრეთ აფრიკა 2:0 მადაგასკარი**

1:0 მანიატელა (42), 2:0 რამაროხაონა (82ს.კ.)

**ესტონეთი 2:1 კანადა**

0:1 სტალტერი (47), 1:1, 2:1 ოპერი (72, 90)

**აშშ 2:0 ვენესუელა**

1:0 კიროვსკი (54), 2:0 დონოვანი (77)

**ჩილე 1:0 პერუ**

1:0 მიროსევიჩი (45)



REUTERS ფოტოდან

ურუგვაელი დიეგო ფორლანი იაპონელებს ამხანაგური გოლით გაეყარა


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ლევერკუზენი-ჰერტა | 2,45 | 3,2 | 2.6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 18.30 | 002 | ჰანოვერი-ბაიერნი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 18.30 | 003 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 004 | ჰამბურგი-არმინია | 1,55 | 3,4 | 6.5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 18.30 | 005 | ნიურნბერგი-შალკე | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 18.30 | 006 | კოტბუსი-შტუტგარტი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 18.30 | 007 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 2.45 | 3,2 | 2,6 | 1.38 | 1,26 | 1,43 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 20.30 | 009 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 010 | მაინცი-ბურგჰაუზენი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 22.00 | 011 | ბრაუნშვაიგი-დუისბურგი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 22.00 | 012 | ვალდჰოფი-კიოლნი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1.76 | 1,24 | 1,18 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 013 | ობერჰაუზენი-ფიურტი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1.28 | 1,28 | 1,6 |
| 18.00 | 014 | ტრიერი-სტ.პაული | 1.6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 18.00 | 015 | ალენი-აინტრახტი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 18.00 | 016 | ლიუბეკი-ალემანია | 2,4 | 3,1 | 2.8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 017 | უნიონი-კარლსრუე | 1,9 | 3,0 | 4.2 | 1,16 | 1.3 | 1,75 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.15 | 018 | როიტლინგენი-ფრაიბურგი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 029 | ნოინკირხენი-ოფენბახი | 3.8 | 3.4 | 1,8 | 1,79 | 1,22 | 1,17 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 030 | ზიგენი-აალენი | 1.85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 040 | ბოლტონი-სიტი | 2,15 | 3,2 | 3.2 | 1,28 | 1,28 | 1.6 |
| 16.30 | 041 | მანჩესტერი-ლივერპული | 1.65 | 3.5 | 4,8 | 1.12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 042 | ასტონ ვილა-არსენალი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1.77 | 1,26 | 1,17 |
| 19.00 | 043 | ჩარლტონი-ლიდსი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 044 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2.32 |
| 19.00 | 045 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 046 | სანდერლენდი-ჩელსი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 19.00 | 047 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 048 | ევერტონი-ნიუკასლი | 2,4 | 3.2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 049 | ფულემი-ბლეკბერნი | 2,25 | 3,1 | 3.1 | 1.3 | 1,3 | 1,54 |

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 063 | ვიმბლდონი-შეფილდი | 2,5 | 3,2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 075 | ოქსფორდი-კარლაილი | 1,65 | 3.5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2.02 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 076 | ბოსტონი-რექსემი | 2.5 | 3,2 | 2,5 | 1.4 | 1,25 | 1,4 |

### იტალია. სერია "A". XXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 088 | იუვენტუსი-ტორინო | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 089 | იუვენტუსი-ტორინო 0:1 | 1.8 | 3,0 | 3,0 | | | |
| 23.30 | 090 | პარმა-მილანი | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 091 | ბრეშა-ატალანტა | 2,05 | 2,7 | 4.2 | 1,16 | 1,37 | 1,64 |
| 18.00 | 092 | კიევო-უდინეზე | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1.18 | 1,31 | 1,71 |
| 18.00 | 093 | ლაციო-კომო | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 094 | ლაციო-კომო 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |
| 18.00 | 095 | პერუჯა-ბოლონია | 2.0 | 2,8 | 4,2 | 1.16 | 1.35 | 1,67 |
| 18.00 | 096 | პიაჩენცა-მოდენა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.00 | 097 | რეჯინა-ემპოლი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.30 | 098 | ინტერი-რომა | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |

### იტალია. "C1 B"
#### გადადებული მატჩი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 109 | აკვილა-ტარანტო | 2.7 | 2.9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 110 | რეალი-რაიო | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 111 | რეალი-რაიო 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 23.30 | 112 | ბეტისი-ვალენსია | 2.6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 23.45 | 113 | ვილიარეალი-ბარსელონა | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 00.30 | 114 | ესპანიოლი-სელტა | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 115 | ვალიადოლიდი-რეკრეატივო | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 20.00 | 116 | რასინგი-სევილია | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 20.00 | 117 | ალავესი-მალიორკა | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 21.00 | 118 | ბილბაო-ატლეტიკო | 2.35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 21.00 | 119 | ოსასუნა-მალაგა | 2,05 | 3,1 | 3.5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 23.30 | 120 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20.15 | 132 | ლიონი-ლე ავრი | 1,35 | 4,0 | 9.0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 133 | ლიონი-ლე ავრი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 23.00 | 134 | ისტრი-აიაჩო | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.00 | 135 | რენი-ბორდო | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 23.00 | 136 | მარსელი-გენგამი | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 23.00 | 137 | ნანტი-ლილი | 1,6 | 3,2 | 6,5 | 1,06 | 1,28 | 2,14 |
| 23.00 | 138 | სედანი-მონპელიე | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 23.00 | 139 | სოშო-პსჟ | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.00 | 140 | ლანსი-სტრასბური | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 23.00 | 141 | ბასტია-ტრუა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 142 | მონაკო-ნიცა | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |

### პორტუგალია. I ლიგა. XXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22.15 | 153 | მორეირენსე-ბოავიშტა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 01.15 | 154 | ფეირეირა-ბენფიკა | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 155 | ვარზიმ-ბეირა მარი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 20.00 | 156 | ბრაგა-მარიტიმუ | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.00 | 157 | აკადემიკა-ნასიონალი | 1.9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 21.00 | 158 | სანტა კლარა-ლეირია | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 22.15 | 159 | სპორტინგი-გიმარაეში | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 00.30 | 160 | პორტუ-სეტუბალი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 161 | პორტუ-სეტუბალი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 01.00 | 162 | ბელენენსეში-ვილა ვისენტე | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1.17 | 1,26 | 1,77 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 172 | ჰერენვენი-როდა | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 22.30 | 173 | გრააფსხაპი-ფეიენოორდი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 22.30 | 174 | აიაქსი-როზენდალი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 175 | აიაქსი-როზენდალი 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 23.00 | 176 | ვიტესი-გრონინგენი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 23.00 | 177 | ტვენტე-ბრედა | 2,25 | 3,1 | 3.1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 178 | ნაიმეგენი-ექსცელსიორი | 1,55 | 3,6 | 5.6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 17.30 | 179 | ტილბურგი-პსვ | 4.6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| 17.30 | 180 | ზვოლე-უტრეხტი | 2.8 | 3.3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 17.30 | 181 | ვალვაიკი-ალკმაარი | 1.7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |

### ბელგია. I დივიზიონი. XXVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 192 | ლუვიერი-სტანდარდი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.00 | 193 | ლოკერენი-მუსკრონი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 194 | ლოკერენი-მუსკრონი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 23.00 | 195 | ბევერენი-მეხელენი | 1,1 | 4,0 | 8.0 | 1 | 1 | 2,66 |
| 23.00 | 196 | ვესტერლო-გენკი | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 23.00 | 197 | ბრიუგე-მონსი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 198 | ბრიუგე-მონსი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 199 | ბეერსხოტი-ანტვერპენი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 18.00 | 200 | სტ.ტრუიდენი-შარლერუა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 201 | სტ.ტრუიდენი-შარლერუა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 202 | ლიერსი-ანდერლეხტი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

### საბერძნეთი. XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 214 | ირაკლისი-პანათინაიკოსი | 3,8 | 3,1 | 1,95 | 1,7 | 1,28 | 1,19 |
| 19.00 | 215 | აეკ-პროდევტიკი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 216 | აეკ-პროდევტიკი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 19.00 | 217 | ქსანთი-იანინა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 218 | იონიკოსი-პაოკი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 19.00 | 219 | კალითეა-ეგალეო | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 220 | არისი-აკრატიტოსი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 221 | არისი-აკრატიტოსი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 19.00 | 222 | ოფი-პანიონიოსი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.00 | 223 | პანაჩაიკი-ოლიმპიაკოსი | 10,0 | 5,0 | 1,1 | 3,33 | 1 | 1 |

### ჩეხეთი. XXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 17.25 | 224 | ბლშანი-სპარტა | 5,3 | 3,5 | 1,6 | 2,1 | 1,22 | 1,09 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 225 | ლიბერეცი-იაბლონეცი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1.04 | 1,23 | 2,33 |
| 19.30 | 226 | ზლინი-პრშიბრამი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 19.30 | 227 | ჰ.კრალოვე-სიგმა | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.30 | 228 | ბანიკი-ბოჰემიანსი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1.02 | 1,2 | 2,33 |
| | 229 | ბანიკი-ბოჰემიანსი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 19.30 | 230 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 231 | სლავია-ბუდეიოვიცე | 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | |
| 19.30 | 232 | ბრნო-სინოტი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 19.40 | 233 | ჟიჟკოვი-ტეპლიცე | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |

### პოლონეთი. XIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 234 | გროცლინი-ვისლა | 3,3 | 3,1 | 2,15 | 1,59 | 1,3 | 1,26 |
| 18.00 | 235 | გარბარნია-კატოვიცე | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 22.00 | 236 | ლეგია-გურნიკი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 237 | ლეგია-გურნიკი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.00 | 238 | რუხი-ოდრა | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 22.00 | 239 | ვიძევი-პლოცკი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1.73 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 22.15 | 240 | ლეხი-პოლონია | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |

### თურქეთი. XXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 243 | სამსუნი-გაზიანთეპი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 244 | გენჩლერი-მალათია | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 245 | გენჩლერი-მალათია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 246 | ქოჯაელი-ტრაბზონი | 3,5 | 3,4 | 1,9 | 1,72 | 1,23 | 1,21 |
| 21.00 | 247 | ბეშიქთაში-დენიზლი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 248 | ბეშიქთაში-დენიზლი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 249 | ბურსა-ანკარაგიუჯიუ | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 16.30 | 250 | ალთაი-ელაზიგი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 16.30 | 251 | ისთანბული-გიოზთეპე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 252 | დიარბაქირი-გალათასარაი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.00 | 253 | ადანა-ფენერბაჩე | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 254 | დანფერმლაინი-მაზერველი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 255 | ჰარტსი-დანდი იუნაიტედი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 256 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 257 | ლივინგსტონი-აბერდინი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 258 | რეინჯერსი-პარტიკი | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 259 | რეინჯერსი-პარტიკი 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 260 | დანდი-სელტიკი | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 269 | დამბარტონი-სტრანრარი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |

### დანია. XXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 282 | მიდტიულანდი-ოლბორგი | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 283 | ესბიერგი-ორჰუსი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 284 | ფარუმი-აკადემისკი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 18.00 | 285 | კიოგე-ვიბორგი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 18.00 | 286 | სილკებორგი-ოდენსე | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 20.35 | 287 | კოპენჰაგენი-ბრიონდბიუ | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |

### ავსტრია. XXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 288 | აუსტრია-ადმირა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 289 | აუსტრია-ადმირა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 290 | კერნტენი-ბრეგენცი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 18.30 | 291 | რიდი-შტურმი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 292 | ზალცბურგი-რაპიდი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 293 | გრაცერი-პაშინგი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |

### შვეიცარია. A ჯგუფი. V ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 294 | ვილი-იანგ ბოისი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 22.30 | 295 | სერვეტი-ქსამაქსი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19.15 | 296 | თუნი-გრასჰოპერი | 4.4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 19.15 | 297 | ციურიხი-ბაზელი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |

### შვეიცარია. A/B ჯგუფი. V ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 298 | ლუგანო-სიონი | 1,75 | 3.4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 299 | კრიენსი-სტ.გალენი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 17.30 | 300 | დელემონი-აარაუ | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.15 | 301 | ვადუცი-ლუცერნი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. V ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 302 | ივერდონი-ვინთერტური | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.30 | 303 | ლოზანა-შაფჰაუზენი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 304 | ბადენი-ვოლენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 17.30 | 305 | კონკორდია-ბელინცონა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

### შვედეთი. I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 317 | ლანდსკრონა-გიოტებორგი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 318 | აიკ-ენკიოპინგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 319 | აიკ-ენკიოპინგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 320 | იორგრიტე-ჰელსინგბორგი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 321 | ჰალმსტადი-სუნდსვალი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 22.00 | 322 | ჰამარბი-ელფსბორგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 22.00 | 323 | მალმიო-იორებრო | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. გერმანია. 3 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 613 | კიოლნი-მანჰაიმი | 1,85 | 4,2 | 2,8 | 1,28 | 1,11 | 1,67 |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 23.15 | 314 | აისბარენი-კრეფელდი | 1,5 | 4,6 | 4,2 | 1,13 | 1,1 | 2,19 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია. 1 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 617 | დავოსი-ლუგანო | 1,65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი. 1 აპრილი** | | | | | | |
| 22.15 | 622 | ფერიესტადი-ფროლუნდა | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,64 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი. 1 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 626 | ჰამეენლინა-ტაპარა | 1,75 | 4,2 | 3,1 | 1,23 | 1,11 | 1,78 |
| 20.30 | 627 | იოკერიტი-კერპეტი | 1,5 | 4,6 | 4,2 | 1,13 | 1,1 | 2,19 |
| | | **ჰოკეი. NHL 1 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 635 | ოტავა-ბოსტონი | 1,9 | 3,5 | 3,1 | 1,23 | 1,17 | 1,64 |
| 04.00 | 636 | აილენდერსი-რეინჯერსი | 2.35 | 3,4 | 2,4 | 1,38 | 1,18 | 1,4 |
| 04.00 | 637 | ფილადელფია-კოლუმბუსი | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| 04.00 | 638 | ვაშინგტონი-ფლორიდა | 1,75 | 3,6 | 3,4 | 1,17 | 1,15 | 1,74 |
| 04.30 | 639 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | 2,05 | 3,4 | 2,9 | 1,27 | 1,2 | 1,56 |
| 05.00 | 640 | ნეშვილი-ანაჰაიმი | 2,45 | 3,4 | 2,3 | 1,42 | 1,18 | 1,37 |
| | | **კალათბურთი. NBA. 1 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 705 | ტორონტო-დეტროიტი | 2,2 | 12,0 | 1,5 | | | |
| | 706 | ტორონტო-დეტროიტი 4:0 | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 04.00 | 707 | ინდიანა-საკრამენტო | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 05.30 | 708 | სან ანტონიო-ორლანდო | 1,25 | 12,0 | 3,1 | | | |
| | 709 | სან ანტონიო-ორლანდო 0:7 | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 05.30 | 710 | დალასი-ნიუ ორლეანი | 1,2 | 12,0 | 3,5 | | | |
| | 711 | დალასი-ნიუ ორლეანი 0:9 | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 05.30 | 712 | ჩიკაგო-სიეტლი | 1,95 | 12,0 | 1,65 | | | |
| | 713 | ჩიკაგო-სიეტლი 3:0 | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 06.00 | 714 | ფინიქსი-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 | | | |
| | 715 | ფინიქსი-დენვერი 0:9 | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 07.00 | 716 | პორტლენდი-გოლდენ სტეიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 | | | |
| | 717 | პორტლენდი-გოლდენ სტეიტი 0:7 | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 07.30 | 718 | კლიპერსი-იუტა | 2,2 | 12,0 | 1,5 | | | |
| | 719 | კლიპერსი-იუტა 4:0 | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |

## ტური. გატანილი გოლების რაოდენობა

05.04 18.30 2601 გერმანია ბლ (XXVII ტური)
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 16.00 2602 ინგლისი პლ (XXXII ტური)
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 21.00 2603 იტალია "A" (XXVII ტური)
23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
05.04 22.00 2604 ესპანეთი Iდ (XXVIII ტური)
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 20.15 2605 საფრანგეთი Iდ (XXXII ტური)
22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9
05.04 22.15 2606 პორტუგალია Iლ(XXVII ტური)
23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
05.04 22.30 2607 ჰოლანდია Iდ (XXVI ტური)
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 18.30 2608 თურქეთი (XXVI ტური)
26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

## ფორმულა 1-ის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ევრო 2004. შესარჩევი მატჩები

**2 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 332 | ესტონეთი-ბულგარეთი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 21.00 | 333 | ხორვატია-ანდორა | 1,03 | 10,0 | 30,0 | 1 | 1 | 7,5 |
| | 334 | ხორვატია-ანდორა 0:2 | 1,6 | 4,0 | 3,0 | | | |
| 21.00 | 335 | საქართველო-შვეიცარია | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 21.30 | 336 | ალბანეთი-ირლანდია | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,25 | 1,15 |
| 22.00 | 337 | სლოვაკეთი-ლიხტენშტაინი | 1,02 | 11,0 | 30,0 | 1 | 1 | 8,04 |
| | 338 | სლოვაკეთი-ლიხტენშტაინი 0:2 | 1,8 | 4,8 | 2,2 | | | |
| 22.15 | 339 | დანია-ბოსნია | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 340 | დანია-ბოსნია 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 23.00 | 341 | მოლდოვა-ჰოლანდია | 12,5 | 5,3 | 1,2 | 3,72 | 1,09 | 1 |
| | 342 | მოლდოვა-ჰოლანდია 1:0 | 3,6 | 3,6 | 1,5 | | | |
| 23.00 | 343 | პოლონეთი-სან მარინო | 1,02 | 11,0 | 30,0 | 1 | 1 | 8,04 |
| | 344 | პოლონეთი-სან მარინო 0:3 | 2,1 | 4,8 | 1,9 | | | |
| 23.00 | 345 | ლიტვა-შოტლანდია | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 23.00 | 346 | ლუქსემბურგი-ნორვეგია | 17,0 | 7,5 | 1,1 | 5,2 | 1,03 | 1 |
| | 347 | ლუქსემბურგი-ნორვეგია 1:0 | 5,0 | 4,0 | 1,3 | | | |
| 23.15 | 348 | უნგრეთი-შვედეთი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 23.15 | 349 | სლოვენია-კვიპროსი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 350 | სლოვენია-კვიპროსი 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,5 | | | |
| 23.30 | 351 | ჩეხეთი-ავსტრია | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 352 | ჩეხეთი-ავსტრია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 23.45 | 353 | ისრაელი-საფრანგეთი(იტალიაში) | 8,0 | 3,8 | 1,4 | 2,57 | 1,19 | 1,02 |
| | 354 | ისრაელი-საფრანგეთი(იტალიაში)1:0 | 2,5 | 3,2 | 2,0 | | | |
| 24.00 | 355 | ჩრდ.ირლანდია-საბერძნეთი | 3,3 | 3,1 | 2,15 | 1,59 | 1,3 | 1,26 |
| 24.00 | 356 | ინგლისი-თურქეთი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 00.45 | 357 | ესპანეთი-სომხეთი | 1,05 | 9,0 | 25,0 | 1 | 1 | 6,61 |
| | 358 | ესპანეთი-სომხეთი 0:2 | 2,0 | 4,4 | 2,1 | | | |

### ევრო 2004. შესარჩევი მატჩები. 21 წლამდე

**1 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 359 | მოლდოვა(21)-ჰოლანდია(21) | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 18.00 | 360 | ისრაელი(21)-საფრანგეთი(21) (იტ) | 7,0 | 3,8 | 1,45 | 2,46 | 1,2 | 1,04 |
| 18.00 | 361 | ალბანეთი(21)-ირლანდია(21) | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,64 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 362 | პოლონეთი(21)-სან მარინო(21) | 1,01 | 12,5 | 30,0 | 1 | 1 | 8,82 |
| | 363 | პოლონეთი(21)-სან მარინო(21)0:4 | 2,0 | 4,8 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,41 |
| 19.00 | 364 | ესტონეთი(21)-ბულგარეთი(21) | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 19.30 | 365 | ჩეხეთი(21)-ავსტრია(21) | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 366 | ჩეხეთი(21)-ავსტრია(21) 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.00 | 367 | ლიტვა(21)-შოტლანდია(21) | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 21.00 | 368 | დანია(21)-ბოსნია(21) | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 369 | დანია(21)-ბოსნია(21) 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.00 | 370 | სლოვაკეთი(21)-პორტუგალია(21) | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 22.30 | 371 | ლუქსემბურგი(21)-ნორვეგია(21) | 12,5 | 5,3 | 1,2 | 3,72 | 1,09 | 1 |
| 23.00 | 372 | ესპანეთი(21)-სომხეთი(21) | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 373 | ესპანეთი(21)-სომხეთი(21) 0:2 | 2,1 | 4,0 | 2,1 | | | |
| 23.30 | 374 | ჩრდ.ირლანდია(21)-საბერძნეთი(21) | 4,4 | 3,1 | 1,8 | 1,81 | 1,27 | 1,13 |
| 24.00 | 375 | ინგლისი(21)-თურქეთი(21) | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 376 | საქართველო(21)-შვეიცარია(21) | | | | | ანგარიში | 5,0 |
| 19.00 | 377 | სლოვენია(21)-კვიპროსი (21) | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.30 | 378 | უნგრეთი(21)-შვედეთი(21) | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

### ლიბერტადორესის თასი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 05.10 | 379 | ნასიონალი-ორიენტე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 07.30 | 380 | დეპორტივო კალი-ემელეკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 03.10 | 381 | გრემიო-პენიაროლი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 04.40 | 382 | კორინთიანსი-ფენიქსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 383 | სტრონგესტი-კრუს ასული | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 05.10 | 384 | ბოკა ხუნიორსი-კოლო კოლო | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 07.30 | 385 | ბარსელონა-ინდეპენდიენტე | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

### ამხანაგური მატჩები

**2 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 386 | ბელარუსი-უზბეკეთი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 21.00 | 387 | უკრაინა-ლატვია | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 22.45 | 388 | პორტუგალია-მაკედონია(ნეიტ.) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.45 | 389 | ვენესუელა-იამაიკა | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 04.00 | 390 | პერუ-ჩილე | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 05.30 | 391 | ჰონდურასი-პარაგვაი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

**2 აპრილი**

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| 20.00 | 2301 | ესტონეთი-ბულგარეთი | 1,8 | 1,8 |
| 21.30 | 2302 | ალბანეთი-ირლანდია | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2303 | ლიტვა-შოტლანდია | 1,75 | 1,85 |
| 23.15 | 2304 | უნგრეთი-შვედეთი | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2305 | სლოვენია-კვიპროსი | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2306 | ჩეხეთი-ავსტრია | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2307 | ჩრდ.ირლანდია-საბერძნეთი | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2308 | ინგლისი-თურქეთი | 1,8 | 1,8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**2 აპრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.00 | 2401 | ესტონეთი-ბულგარეთი | 2,6 | 1,5 |
| 21.30 | 2402 | ალბანეთი-ირლანდია | 2,3 | 1,65 |
| 23.00 | 2403 | ლიტვა-შოტლანდია | 2,1 | 1,75 |
| 23.15 | 2404 | უნგრეთი-შვედეთი | 1,9 | 1,9 |
| 23.15 | 2405 | სლოვენია-კვიპროსი | 1,2 | 4,0 |
| 23.30 | 2406 | ჩეხეთი-ავსტრია | 1,2 | 4,0 |
| 24.00 | 2407 | ჩრდ.ირლანდია-საბერძნეთი | 2,0 | 1,8 |
| 24.00 | 2408 | ინგლისი-თურქეთი | 1,6 | 2,4 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

**2 აპრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.00 | 2201 | ესტონეთი-ბულგარეთი | 1,7 | 1,9 |
| 21.30 | 2202 | ალბანეთი-ირლანდია | 1,8 | 1,8 |
| 23.00 | 2203 | ლიტვა-შოტლანდია | 1,75 | 1,85 |
| 23.15 | 2204 | უნგრეთი-შვედეთი | 1,8 | 1,8 |
| 23.15 | 2205 | სლოვენია-კვიპროსი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2206 | ჩეხეთი-ავსტრია | 2,0 | 1,6 |
| 24.00 | 2207 | ჩრდ.ირლანდია-საბერძნეთი | 1,7 | 1,9 |
| 24.00 | 2208 | ინგლისი-თურქეთი | 1,8 | 1,8 |

## I ტაიმის შედეგი

**2 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 2001 | ესტონეთი-ბულგარეთი | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| 21.30 | 2002 | ალბანეთი-ირლანდია | 4,6 | 2,15 | 2,25 | 1,46 | 1,51 | 1,09 |
| 23.00 | 2003 | ლიტვა-შოტლანდია | 3.6 | 2,1 | 2,5 | 1,32 | 1,47 | 1,14 |
| 23.15 | 2004 | უნგრეთი-შვედეთი | 3,1 | 2,1 | 3,0 | 1,25 | 1,52 | 1,23 |
| 23.15 | 2005 | სლოვენია-კვიპროსი | 1,6 | 3,0 | 6,0 | 1,04 | 1,26 | 2 |
| 23.30 | 2006 | ჩეხეთი-ავსტრია | 1,6 | 3,0 | 6,0 | 1,04 | 1,26 | 2 |
| 24.00 | 2007 | ჩრდ.ირლანდია-საბერძნეთი | 3,5 | 2,1 | 2,6 | 1,31 | 1,49 | 1,16 |
| 24.00 | 2008 | ინგლისი-თურქეთი | 2,2 | 2,15 | 4,8 | 1,08 | 1,5 | 1,48 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

**2 აპრილი**

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 2501 | ესტონეთი-ბულგარეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.30 | 2502 | ალბანეთი-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2503 | ლიტვა-შოტლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2504 | უნგრეთი-შვედეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2505 | სლოვენია-კვიპროსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2506 | ჩეხეთი-ავსტრია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2507 | ჩრდ.ირლანდია-საბერძნეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2508 | ინგლისი-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 აპრილი** | | | | | | | | | |
| 20.00 | 2101 | ესტონეთი-ბულგარეთი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,3 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 21.30 | 2102 | ალბანეთი-ირლანდია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 23.00 | 2103 | ლიტვა-შოტლანდია | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 23.15 | 2104 | უნგრეთი-შვედეთი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.15 | 2105 | სლოვენია-კვიპროსი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,8 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.30 | 2106 | ჩეხეთი-ავსტრია | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,8 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 24.00 | 2107 | ჩრდ.ირლანდია-საბერძ | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 24.00 | 2108 | ინგლისი-თურქეთი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


სამ თბილისურ ბიუროში
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1 კორპუსი
კრობომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური

# საქართველო 6:19 რუმინეთი

30 მარტი. თბილისი «ეროვნული»

**საქართველო:** ხეხელაშვილი (ხამაშურიძე), ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ი. გიორგაძე, კაცაძე, ჯიმშელაძე, აბუსერიძე; შველიძე, ა. გიორგაძე, რატიანიძე (მთიულიშვილი), მჭედლიშვილი, ნადირაძე (დიდებულიძე), ლაბაძე (ბოლღაშვილი), იაშვილი, ზედგინიძე (კაპ)
**მწვრთნელი:** კლოდ სორელი

**2ს:** ჯიმშელაძე

**რუმინეთი:** დუბრავა, სუანი, მაფტეი, გონტინიაკი (კაპ), ბრეზოიანუ, ტოფანი, მიტუ; ტოდერაშკი (ბელანი), ტინკუ, ფლორია (სოკაჩუ), სოკოლი, კრისტიანი (პეტრიკეი), კირიაკი, მერსოიუ (ბეჟიინი), ტონიტე
**მწვრთნელი:** ბერნარ შარეირი

**3ლ:** ბრეზოიანუ, გონტინიაკი, მაფტეი;
**2გ:** ტოფანი;
**გაფრთხილება:** რატიანიძე

**მსაჯები:** დანიელ ჟიიე, ჟოზე ბეზიგა, ჟან-მარი მარონი (საფრანგეთი)



ძველი სურათი: ეული ქართველი რუმინელთა ჯგროში ჩაიკარგა

# ქართველმა შუბლი კედელს ჰკრა და მერე რა?

**ერთი წუთით** წარმოვიდგინოთ, რომ ვასო კაცაძემ სირბილში მიიღო პასი და გადათელა ერთი დამცველი...

წარმოვიდგინოთ, რომ კაცაძეს მახო ურჯუკაშვილი თამამად შეჰყვა და სანამ ამას მეორე დამცველი შეასკდებოდა, მიიღო მისგან პასი...

დავუშვათ, დააზღვია ურჯუკაშვილი ხეხელაშვილმა, ფეხი აუწყო „მტრის ზურგში" შეჭრილს და მახომაც პასი არ დაუყოვნა.

...კი გაირბენდა ხეხელაშვილი ათიოდ მეტრს და სანამ ბოლო მცველი ფეხებში გაებლანდებოდა, იქნებ მოესწრო მოედნის სიღრმიდან უკანახაზელთა დასახმარებლად მარდად წამოსულ ჩაუქ მორკინალ გია ლაბაძისთვის ბურთის აგდება. მოიგდო ლაბაძემ ბურთი და შეგრიალდა ცარიელ ლელოში...

...გვაპატიოს მკითხველმა, ოცნებებში წავედით, ქილა ერბო განძის სალაროდ წარმოგვიდგა.

ისე, კაცმა რომ თქვას, თუ კი ბორჯღალოსნებში მოიძებნებიან, არადა, ნაღდად მოიძებნებიან, სწრაფი ბიჭები, ძლიერები, მაღლები, მაშ, რატომ არ იყენებენ სწრაფები სისწრაფეს, ძლიერები ძალას და მაღლები სიმაღლეს? ირბინონ ურჯუკაშვილმა და ხეხელაშვილმა და მთელ თამაშს ბურთის აუტებში გადაგდებას ნუ მოუნდებიან.

რაც შეეხება სიმაღლეს, კი გამოიყენეს ბორჯღალოსნებმა სიმაღლე და ძალა, მაგრამ რად გინდა, გვერდიდან შემოტანილი ბურთი ბოლოს და ბოლოს რომელილაც რაქში იკარგებოდა.

იკარგებოდა უამრავი შესაძლებლობა ხაზში ბურთის ბოლომდე ჩათამაშების. დამცველთა ჯგროში იკარგებოდნენ რამდენიმე მოწინააღმდეგეზე შუბლით მისული ბორჯღალოსნები. იკარგებოდა თამაშის მოგების შანსი.

მატჩის ბოლოს, როცა უკვე ყველაფერი დაკარგული იყო, მსაჯმა რვა წუთი დაამატა — დამარცხებულ ბორჯღალოსნებს ერთი ლელოს გატანის შანსი დაუტოვა. ქართველები რამდენჯერმე მიაწყდნენ მეტოქის დაცვის ზღუდეებს. მოწინააღმდეგე კლდესავით იდგა და ბოლოს და ბოლოს ქართველებმა დაკარგეს ბურთი, თამაშიც იქ დამთავრდა.

ეს ხდებოდა 30 მარტს, ამ კვირადღეს რუმინეთთან შეხვედრისას, ეს ხდება აგერ, მერამდენე წელია. შარშაწწინ ბორჯღალოსნებმა იმარჯვეს ბუქარესტში და რუმინელთაგან აქამდე სამჯერ ძლეულნი კვირას მათთან ურთიერთშეხვედრებში სხვაობის შემცირებას ეშურებოდნენ, მაგრამ ამის იმედი მგონი პირველი ტაიმის მიწურულს გაქრა, როცა სტუმრებმა ოსტატურად გაგვიტანეს ლელო.

კლოდ სორელმა მატჩის შემდეგ ბრძანა, ამ მატჩმა დამანახვა, რა მიმართულებით გვმართებს მუშაობაო. საინტერესოა, კიდევ რამდენჯერ უნდა წავაგოთ ამ ოხერ რუმინეთთან, რომ სამუშაოების წარმართვის სწორი მიმართულება დავადგინოთ?

...კვლავ სამი ლელო გავუშვით რუმინელებისგან და მეტოქის შეცდომების იმედად მყოფები ერთხელაც ვერ დავემუქრეთ მათ.

მწყობრ და კარგად დაბალანსებულ რუმინეთს კი თუმც ამ ჯერზე არ ერგო „კუთვნილი" ერთა თასი, მაგრამ უკან კარპატებში წაიღო „ანთიმოზ ივერიელის თასი".

რაც შეეხება ერთა თასს, ის პორტუგალიისაა და მისი იყო ტურნირის ორი ფავორიტის — რუმინეთისა და საქართველოს გუშინწინდელ შეხვედრამდეც. თბილისურ მატჩამდე ერთი დღით ადრე პორტუგალიელმა „მგლებმა" რუსეთში „დათვები" 25:14 დაამარცხეს და ხუთი ცდიდან ხუთი გამარჯვებით სარაგბო სამყარო ააფორიაქეს, ყოველ შემთხვევაში, ევროპული რაგბის ქვესამყარო მაინც.

სადაც 2001 წლის ერთა თასის მოგებამ კლოდ სორელი მსოფლიოს წლის მწვრთნელის კანდიდატებში მოახვედრა, თუ სამართალია, პორტუგალიელთა თავკაცი ტომაშ მორაიში ამ პრიზის მფლობელი უნდა გახდეს. აი, ამ კაცმა ისწავლა საკუთარ შეცდომებზე.

**ირაკლი ფირცხალავა**

## მატჩის შემდეგ

***კლოდ სორელი:*** რუმინელებმა იციან, როგორ უნდა ითამაშონ და მოიგონ. მათ დღეს დამსახურებულად გაიმარჯვეს. პირველ ტაიმში ჩვენ მცირე უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ტაიმის ბოლოს დასანანი ლელო გავუშვით. სამწუხაროდ, მეორე ტაიმში ღირებული ვერაფერი გავაკეთეთ. ამ მატჩმა კარგად დამანახა, სად გადის ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი და საითკენ გვმართებს მუშაობა. უპირველესად გამოსასწორებელია ტექნიკური წუნი. როგორც კი მეტოქე ზეწოლას აძლიერებს, ჩემები ძალიან უხეშ და გაუმართლებელ შეცდომებს უშვებენ. დღეს სწორი ტაქტიკით ვითამაშეთ, უბრალოდ, შესრულება არ ვარგოდა.

***ბერნარ შარეირი:*** მადლობა საქართველოს ნაკრებს ღირსეული და თავდადებული თამაშისთვის. რუმინეთის ნაკრებმა დღეს დამსახურებულად გაიმარჯვა და ამაში სადავო მგონი არაფერია. პირველ ტაიმში ჩვენ ცოტა გაგვიმართლა. ძალიან მნიშვნელოვან მომენტში ძალიან მნიშვნელოვანი ლელო გავიტანეთ, რამაც გატეხა კიდეც ქართველები. შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, რომ ბურთი ფეხით ერტყათ და თამაში მეტოქის ნახევარზე გადაეტანათ. მათ ეს დავალება კარგად შეასრულეს და ქართველები თავიანთ ნახევარზე გამოკეტეს.

***რომეო გონტინიაკი:*** მოლოდინისამბერ მძიმე და ძალიან დაძაბული თამაში გამოდგა. ქართველებთან ყოველთვის გვიჭირს და გამონაკლისი არც ეს მატჩი იყო. პირველი ტაიმის ბოლოს რომ არ გაგვეტანა ლელო, შეიძლება, ეს მატჩი სხვა შედეგით დასრულებულიყო. ჩვენი თამაში ქართველების შეცდომებზე ავაწყვეთ.

***პეტრე მიტუ:*** მართალია, ერთა თასს ვერც ერთი ვეღარ მოვიგებდით, მაგრამ მაინც უშეღავათო და ნაღდი ბრძოლა იყო. სანახაობრივად ცოტა დუნე მატჩი გამოდგა, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან არც ერთს არ გვინდოდა დამარცხება და რისკზე არ მივდიოდით. მიხარია, რომ ანთიმოზ ივერიელის თასი ისევ უკან მიგვაქვს. ეს თასი პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

***ვიქტორ დიდებულიძე:*** ალალად წავაგეთ, რუმინეთმა დღეს ყველაფერში გვაჯობა. ტრაგედიის შექმნა არ ღირს, ჩვენ მსოფლიოს თასისთვის ვემზადებით და ყოველი მატჩი ამ ტურნირისთვის მოსამზადებელი ეტაპია. მთავარია, სწორი დასკვნები გავაკეთოთ და შეცდომები გამოვასწოროთ.

***ილია ზედგინიძე:*** ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. მეორე ტაიმში მეტოქისთვის ფაქტობრივად არც შეგვიტევია. რუმინეთმა დაცვაშიც და თავდამსხმაშიც გამართულად ითამაშა. ამ ბოლო ორ წელში მათ დიდი პროგრესი განიცადეს.

***მალხაზ ურჯუკაშვილი:*** მწვრთნელის დავალებები მხოლოდ პირველ ტაიმში შევასრულეთ. მეორეში კი ავურიეთ და შეცდომსაც ვუმატეთ. მე პირადად რამდენჯერმე შევცდი. ვერც ფეხით თამაში გამოგვივიდა და რუმინელებმაც საგრძნობი უპირატესობა მოიპოვეს.

**ევროპის ერთა თასი 2003**

**რუსეთი 14:25 პორტუგალია**
**ესპანეთი 38:40 ჩეხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 5 | 0 | 0 | + 68 | 10 |
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | + 48 | 6 |
| საქართველო | 5 | 3 | 0 | 2 | + 35 | 6 |
| რუსეთი | 4 | 1 | 0 | 3 | + 5 | 2 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | - 46 | 2 |
| ესპანეთი | 5 | 0 | 0 | 5 | - 110 | 0 |

## ექვსი ერი 2003

*ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ინგლისის ნაკრებმა, როგორც იქნა, ექვსი ერი დიდი სლემით მოიგო და ეს მთავარმეტოქე ირლანდიის დუბლინში ძლევის შემდეგ შეძლო. „ლენსდუნ როუდზე" თასი „ვარდების" კაპიტანმა მარტინ ჯონსონმა აღმართა და დაღვრემილ ირლანდიელებს მადლობა გადაუხადა კაცური ბრძოლისთვის*

# ვარდის ზვავი, ეკლის ტყე

## 18: იაშვილი ნაკლებს არ კადრულობს

**ირლანდია 6:42 ინგლისი**
**30 მარტი. დუბლინი**
**„ლენსდაუნ როუდი"**

**ირლანდია:** 1ს: ჰემფრიზი; 1ს: ჰემფრიზი
**ინგლისი:** 5ლ: დალალიო, ტინდალი, გრინვუდი (2), ლუგერი; 4გ: უილკინსონი (3), გრეისონი; 1ს: უილკინსონი; 2ა: უილკინსონი

**საფრანგეთი 33:5 უელსი**
**29 მარტი. პარიზი**
**„სტად დე ფრანსი"**

**საფრანგეთი:** 3ლ: კასტანედი, კლერკი, მიხალაკი; 3გ: იაშვილი; 4ს: იაშვილი
**უელსი:** 1ლ: გ. ტომასი

**შოტლანდია 33:25 იტალია**
**29 მარტი. ედინბურგი**
**„მარიფილდი"**

**შოტლანდია:** 4ლ: უაიტი, მაკლარენი, ლოგანი, პატერსონი; 2გ: პატერსონი; 3ს: პატერსონი;
**იტალია:** 3ლ: ბერგამასკო, პეცი, პალმერი; 2გ: პეცი; 2ს: პეცი

„დღეს ჩემზე ბედნიერი კაცი მთელ მსოფლიოში არ მეგულება. როგორც იქნა, დიდი სლემით მოვიგეთ ექვსი ერი და თანაც ყოველ მატჩში ერთი თავით ვაჯობეთ მეტოქეს" — ხარობდა ნამატჩევს ინგლისის ნაკრების მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი.

ირლანდია დედაინგლისს მხოლოდ ტაიმნახევარი გაუძალიანდა. პირველი ტაიმის ბოლოს „კელტებმა" ათწუთიანი შტურმიც კი მოუწყვეს „ვარდებს", მაგრამ, „დამჭკნარი ვარდის", ბებერი ლოურენს დალალიოს მეთაურობით სტუმრები მაგრად დადგნენ და „მტრის" მოძალება უკუაგდეს.

მატჩის გმირი გახდა ინგლისელთა მე-10 ნომერი და მსოფლიოში ალბათ ამ ამპლუაში საუკეთესო მოთამაშე ჯონი უილკინსონი. ჯონიმ, ვინც მხრის ტრავმის გამო ათი წუთით მოედანსგარეთ გასვლაც მოასწრო, სისხლი გაუშრო ირლანდიელებს და საჯარიმო-გარდასახვებთან ერთად ორი საოცრად ლამაზი არეკნიც გაიტანა.

უილკინსონს მხარი აუბეს დალალიომ, უილ გრინვუდმა და მულატმა გარემარბმა ჯეისონ რობინსონმა, რომელთა ეშხიანმა ბურთაობამ აღაფრთოვანა ირლანდიელთა მწვრთნელი ედი ოსალივანი: „ცხადია, ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ, რომ წავაგეთ, მაგრამ ასეთი ლამაზი და ღია თამაში კარგა ხანია, არ მინახავს. ეს იყო რაგბის ზეიმი და რაღაც განსაკუთრებული, თითქოს სხვა განზომილებაში ვიყავით და დროს ოცი წლით მაინც გავუსწარით. უილკინსონი, რობინსონი, ლუგერი, ტინდალი, დალალიო... ეს ის ხალხია, ვისი შეჩერება არც კი უნდა სცადო, უბრალოდ, უნდა უყურო მათ თამაშს და ისიამოვნო."

მატჩის გარდამტეხი მომენტი მეორე ტაიმის შუაში დადგა. ინგლისელმა უილი გრინვუდმა თავისიანთა ლამაზი კომბინაცია ეფექტური ლელოთი ასრულა და საბოლოოდ გატეხა ირლანდიელები. ამის შემდეგ მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა, მხოლოდ კლასის ამბავი იყო, რაც ინგლისელებს მოჭარბებულად აქვთ.

ექვსი ერის ბოლო ტურის სხვა თამაშში შარშანდელმა ჩემპიონმა საფრანგეთმა შინ უელსი გაანადგურა. დიმიტრი იაშვილმა ისევ 18 ქულა მიითვალა და ჯამში 36 სანაკრებო ქულა დაუგროვდა. უელსმა კი სამარცხვინო პრიზი, „ხის კოვზი" ირგუნა, რომელიც ყველა მატჩში დამარცხებულ გუნდს გადაეცემა.

და ბოლოს, შოტლანდიამ მოლოდინისამებრ „მარიფილდის" მიწას გააკრა მოყოჩაღებული, მაგრამ ჯერჯერობით მაინც მაჩანალა იტალია.

**ბაჩო სვანიძე**

**ექვსი ერი 2003**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 5 | 5 | 0 | 0 | + 127 | 10 |
| ირლანდია | 5 | 4 | 0 | 1 | + 22 | 8 |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 0 | 2 | + 78 | 6 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 0 | 3 | - 80 | 4 |
| იტალია | 5 | 1 | 0 | 4 | - 85 | 2 |
| უელსი | 5 | 0 | 0 | 5 | - 62 | 0 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




REUTERS ფოტოები

ნიკა ცქიტიშვილმა კარგად სცია მაიკლ ჯორდანს და ერთხელ დაუფარა კიდეც

# ცქიტიშვილმა ჯორდანს დაუფარა

28 მარტი

**ჰიუსტონი 102:89 დენვერი**

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (18 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), მობლი (12), პოუზი (11), გრიფინი (10), მინგი (11); ტეილორი (15), კატო (14), რაისი (8), ნორისი (3)
**დენვერი:** უილიამსი (11), ვაიტი (14), **ცქიტიშვილი** (20 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი, 1 დაფარება), ილარიო (17), კემპი (18 ქულა, 15 მოხსნა); ჰარვი (10), ჰარინგტონი (8), სავოვიჩი (5), ანდერსენი

30 მარტი

**დენვერი 88:72 ვაშინგტონი**

**დენვერი:** ლ. ჰარინგტონი (10), ვაიტი (11), **ცქიტიშვილი** (27 წუთი, 3 ქულა, 7 მოხსნა, 3 დაფარება, 1 პასი), ჰოვარდი (6), ილარიო (13); უილიამსი (15), ჰარვი (11), კემპი (10), ტრეპენჯერი (9), ა. ჰარინგტონი, სავოვიჩი, ანდერსენი
**ვაშინგტონი:** ლუ (9), ჯორდანი (19), სტეკჰაუზი (15), ლეინტნერი (2), ვაიტი (3); ბრაუნი (8), ჰეივუდი (8), დიქსონი (6), საიმონსი (2), რასელი

29 მარტი

**მაიამი 111:84 მინესოტა**

**მაიამი:** კარტერი (10 ქულა, 11 პასი), რ. ბატლერი, კ. ბატლერი (35), გრანტი (11), **სტეფანია** (32 წუთი, 12 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 1 ჩაჭრა); ჰაუსი (18), ჯეიმსი (15), ალენი (10), ბესტი, ჯონსონი, ელისი
**მინესოტა:** ჰადსონი (6), პილერი (16), შჩერბიაკი (10), გარნეტი (17), ნესტეროვიჩი (4); გილი (13), ტრენტი (6), სმიტი, ვაილქსი (6), ჯექსონი (6), ვუდსი

30 მარტი

**მილუოკი 109:87 მაიამი**

**მილუოკი:** პეიტონი (24), კასელი (23), დ. მეისონი (11 ქულა, 11 მოხსნა), ე. მეისონი, პრჟიბილა (4); კუკოჩი (18), რედი (14), ტომასი (10), ჰეისლიპი (4), ჯონსონი (1)
**მაიამი:** კარტერი (6), ჯეიმსი (15), კ. ბატლერი (24), ალენი (11), გრანტი (6); ჰაუსი (12), **სტეფანია** (22 წუთი, 4 ქულა, 10 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი), რ. ბატლერი (3), ლემბლი (2), ბესტი (2), ჯონსონი (2)

პლეი ოფში მოხვედრისთვის ჯაფაში ოფლად დაღვრილმა მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონმა" მისთვის უმნიშვნელოვანესი მატჩი წააგო დენვერში იქაურ „ნაგიტსთან". არადა, ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმა" უკვე გაინაღდა საკუთარ დივიზიონში ბოლო ადგილი და მალე დაიბევებს ზოგადსაკონფერენციო მაჩანჩალის წოდებას. ამდენად „ნაგიტსისთვის" ეს მატჩი ისევე რიგითი და არაფრისმომცემი იყო, როგორც ყველა დარჩენილი ამ სეზონში.

ნიკა ცქიტიშვილს კი დიდხანს არ დაავიწყდება ეს თამაში. მას არ გაუკეთებია 25 ქულა, პირიქით, შეტევაში თამაში არ წაუვიდა და მხოლოდ 3 ქულა მოინაგრა. სამაგიეროდ, ცქიტიშვილი დაცვაში კედლად აღიმართა და 7 მოხსნით და 3 დაფარებით კარიერის ორი რეკორდი დაიმყარა. აი, ისინიც, ვისი სროლებიც უკუაგდო „დენვერის" ფარქვეშეთში ჩასაფრებულმა ცქიტიშვილმა: მაიკ ჯორდანი, ჯერი სტეკჰაუზი, კვეიმ ბრაუენი. თან ჯორდანს და მის დამქაშებს ცქიტიშვილმა ოარწუთიან მონაკვეთში დაუფარა.

213-სანტიმეტრიანი ცქიტიშვილი დაფარებებით როდია განთქმული, მაგრამ ამ დღეებში მან ეს კომპონენტი რამდენჯერმე უნაკლოდ შეასრულა. ჯორდანამდე და „ვაშინგტონამდე" მან „ჰიუსტონთან" შეხვედრაშიც წამოშალა სათადარიგოთა სკამიდან მისი ჩაუქობით აღტაცებული თანაგუნდელები. „ჰიუსტონთან, ნიკამ, თვით იაო მინგს, 226-სანტიმეტრიან ჩინელ გოლიათს დააფარა.

რაც შეეხება „დენვერს", ნიკას გუნდმა ეს თამაში ვერ მოიგო, თუმცა რას ჩივის, „ნაგიტსის" მოგება უფრო გასაკვირია.

ორიდან ერთი თამაში მოიგო ვოვა სტეფანიას „მაიამიმაც". „ჰითმა" შაბათს შინ 27 ქულით გაანადგურა მძლავრი კევინ გარნეტის „მინესოტა". მინეაპოლისელ „მგლებს" და მთავარ „მგელ" გარნეტს ყურებზე ხახვი დააჭრა „მაიამის" ახალბედამ კერონ ბატლერმა, „ვულვზმა" ლაწირაკისგან 35 ქულა მიიღო საკუთარ კალათში, ბატლერმა. კი მოზრდილი ნახტომი გააკეთა სეზონის რჩეული ახალბედას პრიზისკენ.

ჩვენებურმა ვოვა სტეფანიამ ის თამაში დამწყები ხუთეულის წევრად მოილია და 12 ქულა და 5 მოხსნა მოაქუჩა. სტეფანია რიგიანად ირჯებოდა ერთი დღის შემდეგ „მილუოკისთან" წაგებულ შეხვედრაშიც, სადაც მოხსნები უფრო აგროვა, ვიდრე ქულები — ათი ოთხის წილ.

28 მარტი

**ლეიკერსი 108:94 ვაშინგტონი**
**იუტა 103:90 მილუოკი**
**ბოსტონი 104:95 კლივლენდი**
**ფილადელფია 98:102 გოლდენ სტეიტი**
**პორტლენდი 112:95 დალასი**
**სიეტლი 95:71 მემფისი**
**ნიუ იორკი 101:122 ნიუ ჯერსი**
**დეტროიტი 91:94 ფინიქსი**
**ტორონტო 92:101 ნიუ ორლეანი**
**ინდიანა 140:89 ჩიკაგო**

29 მარტი

**ნიუ ჯერსი 109:97 გოლდენ სტეიტი**
**ატლანტა 89:110 ფილადელფია**
**სან ანტონიო 101:81 იუტა**
**ჩიკაგო 92:107 საკრამენტო**
**კლივლენდი 106:110 ბოსტონი**

30 მარტი

**სიეტლი 119:98 ლეიკერსი**
**დეტროიტი 99:88 საკრამენტო**
**ინდიანა 92:81 ფინიქსი**
**მინესოტა 95:119 დალასი**
**კლიპერსი 102:100 მემფისი**
**ნიუ ორლეანი 90:92 სან ანტონიო**
**ტორონტო 95:86 ნიუ იორკი**

## საქართველოს ჩემპიონატი

# ქართველი ბავშვები ცელქები ყოფილან

## ხორვატ ბიძიას დებიუტი ჩაუშხამეს

**ნაკრებში** ზარ-ზეიმის ჩამოყვანილი, შემდეგ კი „დინამოშიც" გამწვრთნელებული დრაჟენ ბრაიკოვიჩის საკლუბო დებიუტი, რბილად რომ ვთქვათ, უიღბლო გამოდგა. ხორვატმა მწვრთნელმა და მისმა შეგირდებმა კვირას დიდი სირცხვილი ჭამეს — ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი უიმედო აუტსაიდერთან, 24 მატჩიდან ორად ორის მომგებ „აკადემიასთან" დამარცხდა და ხალხს სალაპარაკო გაუჩინა.

ლაპარაკით კი მართლაც რომ ბევრს ლაპარაკობდნენ. დინამოელთა გაუგონარ დამარცხებასთან დაკავშირებით კალათბურთის მცოდნე თუ უბრალო გულშემატკივარი საკუთარ აზრს გამოთქვამდა. ამბობდნენ, რომ ახალი მწვრთნელის ახლებურ ტაქტიკას კალათბურთელებმა ალღო ვერ აუღესო, ან კიდევ, ბრაიკოვიჩთან ყველა თავის გამოჩენას ცდილობდა და ინდივიდუალიზმმა დინამოელები დაღუპაო. ზოგი დინამოელთა მარცხს ფსიქოლოგიურ მომენტსა და მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობას აბრალებდა, ისეთებიც იყვნენ, ამ თამაშს რაღაც ცუდი სუნი უდიოდაო, რომ ამბობდნენ. მოკლედ, ყველამ თავისებურად ახსნა ვიცე-ჩემპიონის საარაკო მარცხი და გამოთქმულ აზრთაგან ალბათ არც ერთია ხელაღებით გამოსარიცხი.

რაც უნდა მომხდარიყო, დინამოელებს მაინც არ უნდა წაეგოთ, ისინი ხომ კლასით და გამოცდილებით ისე მაღლა დგანან აკადემიელებზე, რომ ასიდან ალბათ ერთ შეხვედრას, ისიც შემთხვევით თუ წააგებენ. ის ერთიც მაინცდამაინც ბრაიკოვიჩის დებიუტს დაემთხვა უცნაურად.

დინამოელები შესაძლოა მართლაც ისეთ რამეს ისმენდნენ ახალი თავკაცისგან, რაც ძველი მწვრთნელის, ლევან მოსეშვილის ხელში არასდროს გაეგოთ, მაგრამ იქვე იყვნენ ბრაიკოვიჩის აქაურ კალათბურთში საკმაოდ გამოცდილი თანაშემწენი, ზურაბ ტომარაძე და ვაჟა მხეიძე, რომლებსაც შეეძლოთ, აქტიურად ჩარეულიყვნენ საქმეში, როცა „დინამოს" წაგების სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

საფრთხე კი მთელი თამაში თან სდევდა „დინამოს". აკადემიელები გაცილებით ძლიერ მეტოქეს თავიდანვე მაგრად დაუდგნენ და ბოლომდე არ გამტყდარან. ბრაიკოვიჩმა წუთშესვენებებიც აიღო, შეცვლებიც აკეთა და ბლომადაც იყვირა, თუმც შეგირდები მაინც ვერ გამოაფხიზლა — დინამოელთა შემართება თითქოს სადღაც გამქრალიყო, არნახულად უგულოდ ირჯებოდნენ.

ბრაიკოვისთვის ეს მარცხი იმითაც იყო მწარე რომ მან მინი-დუელი წააგო „აკადემიის" თავკაც დავით უსტიაშვილთან, რომელიც მის მეორე თანაშემწეა, ეროვნულ ნაკრებში. მაგრამ „დინამოს" ამ წარუმატებლობაში, ჩვენი აზრით ბრაიკოვიჩი ყველაზე ნაკლებადაა დამნაშავე. ხორვატი თავად ვერ გავიდოდა მოედანზე და კალათბურთელების ნაცვლად ბურთებს ვერ ჩაყრიდა, თუმც თუ ამას გააკეთებდა, დინამოელებზე ცუდად ნაღდად რა გამოუვიდოდა.

აკადემიელ გმირებზე კი ალალია ეს გამარჯვება. მათი დიდი მონდომება და თავდაუზოგავი ბრძოლა საკადრისად დაფასდა. „აკადემიის" ლიდერი ვიქტორ სანიკიძე კი კიდევ ბევრს გაუშრობს სისხლს, ბრაიკოვიჩს ალბათ არ გამოეპარებოდა ამ ყმაწვილში ჩაბუდებული პერსპექტივა, რომელიც ადრე თუ გვიან, შესაძლოა სანაკრებოდაც გამოადგეს.

„აკადემიასთან" მარცხი მავანთ შესაძლოა საკმარისი მტკიცებულება ჰგონებოდათ, იმისა რომ სანამ ახალი მწვრთნელი თავის წეს-ტაქტიკას მოარგებდა გუნდს. „დინამოში" ბევრი რამ აირეოდა, თუმც მეორე დღესვე „დინამო" სრულიად სახეცვლილი წარსდგა მაყურებელის წინაშე, ბრაიკოვიჩის გუნდს მეტოქედ საჩემპიონოდ მომართული „სტუ-ჯეოსელი" ჰყავდა და საკმაოდ იოლადაც დაამარცხა.

დინამოელთა სათამაშო სტილში შესამჩნევი ცვლილებები გამოჩნდა, რომელიც, რა თქმა უნდა, ჯერ არაა სრულყოფილი, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია. „დინამომ" ძლიერი დაცვა ითამაშა, საიდანაც სწრაფად ეწყობოდა თავდასხმაზე. მართალია, სტუ თითქმის თამაშის ნახევარზე მეტ ხანს ლიდერობდა, მაგრამ „დინამო" დინჯად მიჰყვებოდა კუდში და ბოლო მეოთხედში სტუდენტებს ორწუთიანი ელეთმელეთი მოუწყო. ვლადიმერ ბეჟანიშვილმა, რომელიც მთელი პირველი ტაიმი არ გამოჩენილა მოედანზე, ირაკლი ხოშტარიასთან ერთად დინამოელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. სწრაფი კონტრშეტევებით ამ კალათბურთელებმა ბოლო მეოთხედს შუაწელში ბრაიკოვიჩის გუნდს 10-ქულიანი ლიდერობა დაუბევეს და დარჩენილ დროში „დინამოს" ყოჩაღ დაცვას ამ ფორის შენარჩუნება აღარ გასჭირვებია.

**ირაკლი პერტაია**






მურაზ ფილფანაშვილის ფოტოები

დრაჟენ ბრაიკოვიჩი შეგირდებით უკმაყოფილო დარჩა

30 მარტი. ვერის ბაღი

**სსუ 67:107 სტუ**

15:28, 13:24, 15:24, 24:31
**სსუ:** სორდია (5), პატარაია (4), ბარბაქაძე (6), ერქვანია (8), აბულაძე (10); ჩიტაშვილი, მურჯიკნელი, ქვილითაია (9), მ. ხოშტარია (7), კანკია (14), ლუკავა (4)
**სტუ:** მარხვაშვილი (6), ხეცურიანი (16), ლოსაბერიძე (14), ნოზაძე (9), ახალკაცი (7); ლაფანაშვილი (3), გაგნიძე (8), ტულუში (15), ოთიურიძე (8), ტუჯანი (8), დავითულიანი (13)
**მსაჯები:** ზურაბ ანდრიაძე, ხათუნა გაბედავა
**კომისარი:** რონალდ გელოვანი

**დინამო 67:68 აკადემია**

15:19, 23:12, 19:18, 10:19
**დინამო:** თორთლაძე (7), ი. ხოტშარია (10), რ. ჩხეიძე (9), მუპე (9), ვენსკუნასი (6); ბეჟანიშვილი (2), მარკოიშვილი (6), ჩუბინიძე (2), ნინიაშვილი (16)
**აკადემია:** გამყრელიძე (6), ლეჟავა (7), საყვარელიძე (16), ვ. სანიკიძე (26), გვიმრაძე (6); ჩხატარაშვილი (5), ჯანეზაშვილი, ბექაური (2), გიორგობიანი
**მსაჯები:** ლიკა ქაჯაია, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** მურმან ქორიძე

30 მარტი. რუსთავი

**აზოტი 99:79 მაკაბი**

27:22, 20:19, 21:21, 31:17
**აზოტი:** ჟლენტი (24), გოგობერიშვილი (21), ჯიმშელეიშვილი (7), ბერუაშვილი (13), ჯაფარიძე (21); გაბისონია (2), ტყეშელაშვილი (5), ჩაჩუა, არწივიძე, მაჭარაძე (6)
**მაკაბი:** ნინოშვილი (14), ანდღულაძე (13), კონჯარია (13), ფიცხელაური (14), სუხიშვილი (18); აკოლაშვილი (5), ვაშაკიძე, ქოქოსაძე (2)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ზურაბ ანდრიაძე
**კომისარი:** რონალდ ხომერიკი

30 მარტი. ბათუმი

**ბასკო 101:76 თსუ**

31 მარტი. ვერის ბაღი

**მაკაბი 74:83 სსუ**

14:20, 16:20, 23:20, 21:23
**მაკაბი:** ნინოშვილი (10), ანდღულაძე (14), კონჯარია (7), ფიცხელაური (19), სუხიშვილი (13); ქოქოსაძე (3), აკოლაშვილი (6), ვაშაკიძე (2)
**სსუ:** სორდია (22), კანკია (8), ბარბაქაძე (22), ქვილითაია (6), აბულაძე (21), ჩიტაშვილი (4), ლუკავა
**მსაჯები:** ხათუნა გაბედავა, ზურაბ ანდრიაძე
**კომისარი:** რონალდ გელოვანი

**სტუ 74:84 დინამო**

20:16, 18:18, 18:24, 18:26
**სტუ:** ტულუში (18), ხეცურიანი (16), ლოსაბერიძე (3), ტუჯანი (9), მუშკუდიანი (16); მარხვაშვილი (2), ოთიურიძე, დავითულიანი (8), ახალკაცი (2)
**დინამო:** აბრამიძე (15), ხოშტარია (27), რ. ჩხეიძე (1), მინაშვილი (4), ვენსკუნასი (10); ბეჟანიშვილი (13), თორთლაძე (2), მუპე (7), ნინიაშვილი (2), სიროვინა (5)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** რონალდ ხომერიკი

**აკადემია 73:77 აზოტი**

13:21, 20:13, 21:20, 19:23
**აკადემია:** გამყრელიძე (11), ლეჟავა (4), საყვარელიძე (15), ვ. სანიკიძე (26), გვიმრაძე (13); ჯანეზაშვილი (2), ჩხატარაშვილი (2)
**აზოტი:** ჟლენტი (16), გოგობერიშვილი (21), ჯიმშელეიშვილი (3), ბერუაშვილი (7), ჯაფარიძე (25); გაბისონია, ტყეშელაშვილი (1), არწივიძე, მაჭარაძე (4)
**მსაჯები:** ლიკა ქაჯაია, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** მურმან ქურიძე

31 მარტი. ბათუმი

**ქუთაისი 85:101 თსუ**

## ჩოგბურთი


ჯენიფერ კაპრიატი



სერენა უილიამსი

# აგასიმ ცოლს აჯობა

**NASDAQ-100 OPEN**
**კი ბისკეინი. მაგარსაფარი კაცები**
**საპრიზო 3,25 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

ანდრე აგასი (2, აშშ) — იუნეს ელ აინაუი (19, მაროკო) 7:6 (8:6), 4:6, 6:1

**ნახევარფინალი**

აგასი — ალბერტ კოსტა (9, ესპანეთი) 6:2, 6:4; კარლოს მოია (5, ესპანეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (13, ტაილანდი) 6:4, 6:2

**ფინალი**

აგასი — მოია 6:3, 6:3

„როგორც იქნა, მას რაღაცაში მაინც ვაჯობე" — ასე ამბობდა კარლოს მოიასთან მოგებული ფინალური შეხლის შემდეგ ანდრე აგასი.

უებრო არმენოამერიკელი „მასში" თავის ლეგენდარულ მეუღლეს, შტეფი გრაფს ჰგულისხმობდა.

შტეფის, ვინაც დიდი ჩოგბურთიდან 1999 წელს წავიდა, 1987 წლიდან 1996-მდე მაიამურ მაგარსაფარზე ხუთი ტიტული ეშოვა. ამდენივე ჰქონდა ჯადო ანდრანიკს, სანამ წლევანდელ მაიამობაზე ჩავიდოდა.

ნაამაიამობევს კი ის უკვე ერთადერთი მეჩოგნეა, „მეხუთე სლემტურნირად" წოდებული შეჯიბრიდან მეექვსე ტიტული რომ წაიღო.

ეს აგასის ზედიზედ მესამე იქაური გამარჯვებაა. პირველად კი მან მაიამიში 1990 წელს იმარჯვა, როცა ჯერაც 19 წლისა იყო და ბეჭზე ფაფარი ეყარა.

მეექვსე კიბისკეინურმა ჯილდომ მისი საკარიერო ტიტულჩამონათვალი 57-მდე გაზარდა და ყველა დროის ყველაზე მეტჯერ მეტიტულეთა სიაში ის მეშვიდე ადგილზე მყოფ დიად რუმინელს, ილიე ნასტასეს ჩაეზიარა.

შეგახსენებთ, რომ ამ სიას 109 ტიტულით მოთავეობს შეუდარებელი ჯიმი კონორსი, მეორეზე (კარიერის დამლევს გაამერიკელებული) ჩეხი ივან ლენდლია (94), მესამე საფეხური ჯონ მაკინროის უპყრია (77), მეოთხეზე პიტ სამპრასი (64) დგას, ხოლო მეხუთე-მეექვსე ადგილებს შვედი ბიორნ ბორგი და არგენტინელი გილერმო ვილასი (62) იყოფენ.

ამ უკანასკნელთა დაწევას — თუკი ჯანმა არ უმტყუნა და ვერაგი ტრავმა არ გამოუტყვრა — საუცხოოდ მოჩოგნავე არმენოამერიკელი სავარაუდოდ მომავალ სეზონში მოახერხებს.

ბარემ აქვე მოგაგონებთ, რომ აგასიმ წლეულს მასთან შეხლილი 19 მეტოქიდან გამარჯვება მხოლოდ შვედ ტომას ენკვისტს დაანება (სკოტსდეილური ტურნირის პირველ წრეში). მის მიერ მოგებულ 18 შეხვედრაზე კი — მაიამური ტიტულის გარდა — ავსტრალიის ღია პირველობისა და სან ხოსეურ მაგარსაფარზე ნალვაწი ჯილდოებიც მოდის.

შტეფის ქმარი, რომელიც 33 წლისა 29 აპრილს შესრულდება, მაიამური ტურნირის უკანასკნელ სამ დღეში სამ სერიოზულ მეტოქეს გაუსწორდა და ეს ისე ნატიფად, ბრძნულად და დამაჯერებლად გააკეთა, რომ თავის უპირატესობაში არავინ დაუეჭვებია.

ყველაზე დიდი წინააღმდეგობა მას წლინახევრით მასზე უმცროსმა ელ აინაუიმ გაუწია. ზორბა და გლაჯუნა მაროკოელი რვაგზის მესლემტიტულე მეტოქეს ორი სეტის განმავლობაში თანაბრად ედავებოდა, მაგრამ გადამწყვეტ სეტში ილაჯი მოისაკლისა და ჩოგანი დახარა. ტურნირის ეს საუკეთესო მატჩი მათი მეოთხე შებმა გახლდათ და აგასიმ არაბს მეოთხეჯვე აჯობა.

უფრო მსუბუქი კეჭნაობები ელოდა მას ნახევარფინალსა და ფინალში, სადაც ჯერ შარშანდელ მეროლანგაროსე ალ კოსტას ჩაუარა, ხოლო მერე კარლოს მოიას მოულოდნელად იოლად და შუშპრად — სულ რაღაც 71 წუთში სძლია.

კოსტას აგასი უკვე 4:1 უგებს, ხოლო მასა და მოიას აქამდე ორჯერ ეთამაშათ და ერთი ამას მოეგო, ერთიც — იმას.

ნამიწევ ბურთებზე დახვეწილმა, ზედმიწევნით შემიზნულმა ხათქუნმა, გაუმჯობესებულმა, გაბასრებულმა მოწოდებამ და სიბრძნემ, რაიც მას ასაკით უმცროს მეტოქეებთან ნიადაგ ტოლსწორად პაექრობის საშუალებას აძლევს, ანდრე აგასის ამ ჯერზე 500 ათასი დოლარიც მოახვეჭინა. წარმატებული ხვადისთვის ტურნირის მეფულეებს სწორედ ასეთი ჩაროზი დაეთქვათ.

და კიდევ — 12-თვიან მცოცავ რეიტინგსიაში აგასის უკვე 4295 ქულა დაუგროვდა და პირველადგილოსან ლეიტონ ჰიუიტს მხოლოდ 115 ქულითღა ჩამორჩება. ჩემპიონთა რბოლაში კი მას 336 ქულა აქვს და მეორეზე მდგომ რაინერ შუტლერს 103 ქულით უსწრებს.

**ქალები**
**საპრიზო 2,96 მილიონი $**

**ფინალი**

სერენა უილიამსი (1, აშშ) — ჯენიფერ კაპრიატი (6, აშშ) 4:6, 6:4, 6:1

სერენა უილიამსზე უკვე ალარაფერი მოქმედებს, და სხვათა შორის — ალარც „პირველი სეტის ფაქტორი". ბოლო ერთი წელია, ეს გოგო ტიტულებისა და ტუგრიკების „საჭრელ დაზგად" გადაიქცა და გასულ შაბათს წლის მე-3, ხოლო კარიერის 22-ე ტიტულთან ერთად მორიგი 393-ათასდოლარიანი ტრანშიც მიიღო.

ქალთა ჩოგბურთის შავ ბაყბაყდევს წლეულს ერთი შეხვედრაც არ წაუგია და, მართალია, მის ბოლოდროინდელ ჩოგნაობას სრულყოფილი და აბსოლუტური სულაც არ ეთქმის, მაგრამ მასზე ხელის აღმართვას მაინც ვერავინ ბედავს.

ეს ვერც მის მიერ შარშანდელ ფინალში ძლეულმა ჯენი კაპრიატიმ გაბედა.

ჯენიმ, რომელიც იმ დღეს 27 წლისა შესრულდა და შანსი ჰქონდა, სერენას ძლევით საკუთარი თავისთვის უმსუყესი საჩუქარი გაეკეთებინა.

ვაგლახ!

ეს ჯენის 28-ე ფინალი იყო და — უკვე მეთხუთმეტე დამარცხება. 28-ე ფინალშივე გაირჯა ამქრის მეპირველეც, ვინაც მეტოქეთათვის მხოლოდ 6 გადამწყვეტი შეხლა დაუთმია.

ერთმანეთს კი ისინი უკვე მეთორმეტედ დაეტაკნენ — ჯენის 4 მოგების წილ სერენამ მერვე გამარჯვება მიითვალა.

**ლევან ძელაურაძე**

## ჰოკეი

**რეგულარული ჩემპიონატი**

— 28 მარტი —

აილენდერსი 2:5 ტორონტო 1:2 1:1 0:2
მინესოტა 4:3 ჩიკაგო 1:1 0:0 2:2 1:0
ატლანტა 1:1 ნიუ ჯერსი 0:0 0:0 1:1 0:0
ბუფალო 4:1 მონრეალი 1:0 3:0 0:1
ოტავა 2:3 ვაშინგტონი 1:1 1:2 0:0
ედმონტონი 4:0 კოლუმბუსი 1:0 2:0 1:0

— 29 მარტი —

ბოსტონი 1:3 რეინჯერსი 0:1 1:1 0:1
მონრეალი 1:3 ოტავა 0:0 1:2 0:1
ტამპა 1:1 ფლორიდა 0:0 0:0 1:1 0:0
კოლორადო 6:1 ფინიქსი 3:1 2:0 1:0
ტორონტო 4:3 ვაშინგტონი 0:0 1:1 2:2 1:0
კაროლინა 1:3 ბუფალო 1:2 0:1 0:0
ფილადელფია 3:0 პიტსბურგი 1:0 1:0 1:0
ნეშვილი 2:3 ატლანტა 0:2 1:1 1:0
კალგარი 4:6 კოლუმბუსი 0:2 3:3 1:1
ლოსანჯელესი 1:5 ვანკუვერი 1:1 0:2 0:2
სან ხოსე 3:4 დალასი 1:2 1:1 1:1
სენტ ლუისი 2:6 დეტროიტი 1:2 0:1 1:3

— 30 მარტი —

ნიუ ჯერსი 6:0 აილენდერსი 2:0 1:0 3:0
ჩიკაგო 4:4 ედმონტონი 1:1 2:0 1:3 0:0
ანაჰაიმი 3:1 ვანკუვერი 2:0 0:1 1:0

## ფეხბურთი

**იტალია**

**სერია B. XXVIII ტური**

ნაპოლი 2:1 ვიჩენცა

**სერია C1/B. XXIX ტური**

აველინო 1:0 სამბენედეტეზე

## ფიგურული სრიალი

# შენაშური რუსები

## ლეგენდებსაც აშინებენ, სარსაც ყლაპავენ და სადამსაც ყინულზე ასრიალებენ

**ერთ კვირას** გასტანა და გუშინწინ დასრულდა ფიგურულ მოსრიალეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. უფრო სწორად, გუშინწინ, კვირას, საჩვენებელი გამოსვლები იყო, მედლები კი საბოლოოდ შაბათს (ვაშინგტონის დროით) განაწილდა. კენტად მოსრიალე ვაჟთა და სპორტულ წყვილთა შორის გამარჯვებულებზე წინა კვირაშივე მოგახსენეთ და ისიც ვთქვით, მსაჯობისადმი წაყენებული უამრავი ბრალდების მიუხედავად, მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო ღირსეულმა ხალხმა მოიხვეჭა-თქო. და თუ ევგენი პლუშჩენკოსა და ჩინური დუეტის, შენ ხუესა და ზაო ჰონგბოს ვირტუოზულ სრიალს ტელეეკრანზე ადევნეთ თვალი, მათ ღირსეულობაში ეჭვი ძნელად თუ შეგეპარებათ.

მოცეკვავე წყვილებს შორის, მოკლე პროგრამის შემდეგ, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონები, ირინა ლობაჩოვა და ილია ავერბუხი ლიდერობდნენ და მათი წლეულსა უოქროოდ დარჩენა სენსაციათა რანგში გავიდა. როცა საბოლოო შედეგები გამოცხადდა და მედლებიც დარიგდა, თვალში გეცემოდათ: ახალი მსოფლიოს ჩემპიონები, კანადელები, შაე-ლინ ბურნი (სახელი კი აზიური აქვს, მაგრამ ევროპული იერის გოგოა) და ვიქტორ კრააცი, პოდიუმზე, ცხადია, გაბადრული სახეებით იდგნენ, მესამეადგილოსანი ბულგარელებიც ფრიად კმაყოფილები ჩანდნენ, მეორეზე დარჩენილებზე კი რა გითხრათ — ლობაჩოვა ნაძალადევად იღიმებოდა, ხოლო ავერბუხი სარგადაყლაპულივით იდგა.

ყინულზე ცეკვა ოლითგანვე რუსთა სახეობაა. 1984 წლის მერე, როცა დიადებმა, ჯეინ ტორვილმა და კრისტოფერ დინმა დიდი სპორტი მიატოვეს, არარუსებმა ამ დისციპლინაში ოდენ სამჯერ იმარჯვეს. ახლაც ოქრო უეჭველად რუსებს უნდა დარჩენოდათ. საბოლოოდ კი ცხრა მსაჯიდან ხუთმა პირველ ადგილზე კანადელები გაიყვანა, რუსები — ოთხმა. სულ ერთი ხმა...

— ყველაფერი ჩაწყობილი იყო — თქვა ლობაჩოვასა და ავერბუხის მწვრთნელმა გენადი კარპონოსოვმა — ვაშინგტონში ჩამოსვლის დღიდან, ჩემპიონობის დათმობას გვთხოვდნენ, გვთავაზობდნენ უფრო მეტ ფულს გადაგიხდით, ვიდრე ოქროს მოგების შემთხვევაში მიიღებთო. გვეუბნებოდნენ, მაინც ვერ მოიგებთ და სჯობს ლობაჩოვამ და ავერბუხმა სრიალზე უარი თქვან და მსოფლიოს ჩემპიონებად დატოვონ დიდი სპორტიო.

მაგრამ მოტივი? რუსთა ვერსია ასეთია: კანადის საფიგურსასრიალო ფედერაციას ტელეკონტრაქტის ვადა უსრულდებოდა, იქაური სპორტსმენები კი ღირებულს ვერაფერს იგებდნენ. ჰოდა, თუ კანადელები მსოფლიოს ჩემპიონები გახდებოდნენ... ისიც ითქვა, ბურნმა და კრააცმა ჩემპიონატის მერე კარიერის დასრულების თაობაზე რომ გააკეთეს განცხადება, მსაჯებმაც ამიტომ შეიცოდეს და ოქრო უბოძესო. რუსები უფრო შორსაც წავიდნენ: ამ საქმეში პოლიტიკაა გარეული. აქაოდა, ამერიკელები რუსებს ერაყისთვის იარაღის მიყიდვაში გვადანაშაულებენ და ამიტომაც არ გვწყალობენო. რა ვთქვათ? სადამ ჰუსეინის ხსენება ირონიას იწვევს — ამერიკელთა დაუკითხავად ჩინელებიც ვაჭრობენ, მაგრამ მათი ქვეყნის სპორტსმენთა გამოსვლას ვაშინგტონში ხალხი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს. სპორტიდან წასვლასა და შეცოდებაზე ლაპარაკი კი უზნეობაა — თავის დროზე, 1980-ში, იმავე კარპონოსოვმა ზუსტად მაგ ხრიკით ჩაიჯიბა ოლიმპიური ოქრო, მერე კი აღმოჩნდა, რომ სპორტიდან წასვლა გუნებაშიც არ გაუვლია (სხვათა შორის, ლობაჩოვამ და ავერბუხმაც თქვეს, მივდივართო) და რა რჩება? ტელეკონტრაქტი — ერთადერთი, საფუძვლიანი არგუმენტი საფიგურსრიალო კორუმპირებულ სამყაროში. მაგრამ მეორე მხრივ, ბურნმა და კრააცმაც რომ ჩინებულად ისრიალეს და ოქროს ალალად იმსახურებდნენ?

მოკლედ, კმარა, მსოფლიოს ყინულზე ცეკვაში ახალი ჩემპიონები ჰყავს და თან არ ერგებოდაო, ვერ ვიტყვით.

უკაცო ქალებს შორის კი ზეობა ამერიკელ მიშელ კვანს დარჩა. მეორე რუსი ელენა სოკოლოვა იყო — ბრწყინვალე მოსრიალე და მართლაც ლამაზი გოგო. საგულისხმო ფაქტია: თავისუფალ პროგრამაში ბოლოსწინა გამოსვლა კვანისა იყო და დიდებულად იბზრიალა, სოკოლოვა ბოლო გახლდათ და მისი სრიალის მერე, სანამ საბოლოო შედეგებს გამოაცხადებდნენ, ჩინელ-ამერიკელი კვანის სახე უნდა გენახათ — გაქვავებული იჯდა, სოკოლოვასი ნაღდად ეშინოდა.

შეაშინო კვანი, დიდი საქმეა, რადგან კვანი ფიგურსრიალობის ლეგენდაა, ამ სპორტში ის იგივეა, რაც ფორმულაში მიხაელ შუმახერი — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია და წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოს მისი ღარი არავინ ჰყოლია. არადა, მიშელ კვანი მხოლოდ 22 წლისა.

**თეიმურაზ უშაძოვი**



შაე-ლინ ბურნი და ვიქტორ კრააცი
დიდი სპორტიდან მსოფლიოს ჩემპიონებად გასრიალდნენ


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთალაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამარ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფიფიხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge